ბიბლიოთეკა

ვიზიტი

„ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთან პარტნიორობა"

26 სექტემბერს მთავრობის „კრწანისის" რეზიდენციაში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერტსონის პირისპირ შეხვედრა. საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

— მე ადრეც ვყოფილვარ თქვენს მშვენიერ და სტუმართმოყვარე ქვეყანაში. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა კვლავ ვსტუმრებოდი საქართველოს, ამჯერად როგორც ნატოს გენერალური მდივანი,— განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა შეხვედრის დასასრულს გამართულ ბრიფინგზე.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, პირისპირ შეხვედრისას საინტერესო და საქმიანი საუბარი გაიმართა: განიხილეს რეგიონული პრობლემები, იმსჯელეს საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

გრძელდება 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესი

2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე ლეშეკ ბალცეროვიჩის წარმომადგენელმა ჯერსი მილერმა და კონსულტანტმა ბიუჯეტის საკითხებში ვიტოლდ სკროკმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ბიუჯეტის ფორმირება კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში უნდა მოხდეს. ამავე დროს აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს, როგორც რეალისტური და შესრულებადი საფინანსო კანონი.

ბალცეროვიჩის წარმომადგენლები ერთი კვირის განმავლობაში გააგრძელებენ კონსულტაციებს საქართველოს საფინანსო და ეკონომიკური უწყებების ხელმძღვანელებთან, რის შემდეგაც მოამზადებენ ანგარიშს 2001 წლის ბიუჯეტის ფორმირების მიმდინარეობის შესახებ.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

იმსჯელეს ცენტრალურ ბიუჯეტში დეფიციტის შესახებ

საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში დეფიციტის, ჩვენი ქვეყნის შიდა და საგარეო ვალების და ქვეყნისათვის სხვა აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზებზე იმსჯელეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა და ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფის წევრებმა 26 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე.

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

ამ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 4990 მკითხველი. მათ შორის, 60% აშშ-დან, 29% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №260 (3661) ოთხშაბათი, 27 სექტემბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

პარლამენტის თავმჯდომარე

ნატოსთან ურთიერთობა პრიორიტეტული მიმართულება

26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ნატოს გენერალური მდივანი ლორდი ჯორჯ რობერტსონი.

პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრაზე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საქართველოს პოლიტიკურ კურსში ნატოსთან ურთიერთობის პრიორიტეტულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს კურსი, ისევე როგორც პანევროპულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოში ყველა პოლიტიკური ძალის კონსენსუსის საგანი და უცვლელი პრიორიტეტია. ზურაბ ჟვანიამ სრულად გაიზიარა სტუმრის აზრი იმის თაობაზე, რომ ისეთი საკითხები, როგორიც თავდაცვა და უშიშროებაა, არ შეიძლება პოლიტიკური შეჯიბრის თემად იქცეს.

იხ. მე-2 გვ.

რაც იყო

7 წლის წინათ დაეცა სოხუმი.

საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ ფაქტში განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა დღევანდელ თაობათა მოურჩენელი ტკივილი — ყველასი ერთად და თითოეულის ცალ-ცალკე.

27 სექტემბერი — გულზე ჭრილობა ყველასი — ნებისმიერი ლტოლვილიდან დაწყებული საქართველოს პრეზიდენტით დამთავრებული.

ტრაგედია, რომლითაც, სამწუხაროდ, სპეკულირებენ ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები — პარტიებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებს მიტმასნილი მედროვენი — ჩვენი დროის გაუგებარი და სამარცხვინო ანომალია.

სოხუმის დაცემა, რა თქმა უნდა, იყო შედეგი იმ ისტორიულ პერიოდში საქართველოს შიგნით და ქვეყნის გარეთ განვითარებული უმძაფრესი პროცესების, რომლებმაც ნაფოტივით აიტაცეს ის-ის იყო თავისუფლებამოპოვებული საქართველო. მაგრამ, ამასთან ერთად, ეს იყო, აგრეთვე, შედეგი იმ ისტორიული ნეგატივიზმისა, რომელიც ნაცარწაყრილი ნაღვერდალივით მაშინ იქცეოდა ხანძრად და ჩაფერფლავდა ქვეყნის გამაერთიანებელ ხიდებს, როდესაც საბედისწერო ზარი დარეკავდა.

სამწუხაროდ, ასეც იყო.

წლების განმავლობაში „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ანალიტიკურ წერილებში, ინტერვიუებსა თუ რეპორტაჟებში ომიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად ვცდილობდით მივახლოვებოდით ჭეშმარიტებას, ობიექტურად გაგვერკვია ჩვენი მკითხველებიც და მთელი საზოგადოებრიობაც ამ ტრაგიკული ფაქტის მიზეზებში.

დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს გენერალური პროკურატურის დასკვნის „1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის გადაადგილების და სამხედრო დამარცხების მიზეზების შესახებ" პირველ ნაწილს.

შეგახსენებთ, რომ 1993 წლის ოქტომბერში შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, საქართველოს გენერალური და მთავარი სამხედრო პროკურატურების, უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროების, პროფესიონალი და გამოცდილი მუშაკების შემადგენლობით. თავიდანვე ჯგუფს ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალი ალექსანდრე შუშანაშვილი, 1997 წლიდან კი საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი ანზორ ბალუაშვილი.

კოლოსალური მოცულობის სამუშაო, რომელიც ამ ჯგუფმა შეასრულა საფუძვლად დაედო დოკუმენტს, რომელსაც დღეს გთავაზობთ.



იქ, იმ ომში — ედუარდ შევარდნაძე „სახალხო ლაშქრის" წევრებთან ოჩამჩირეში. სერგო ედიშერაშვილის ფოტო. (ქვეყნდება პირველად).

დასკვნა

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის გადაადგილების და სამხედრო დამარცხების მიზეზების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხების გამომწვევი გარემოებების დასადგენად აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა:

აგრესიული სეპარატიზმი აფხაზეთში ათეული წლების განმავლობაში ინერგებოდა და ვითარდებოდა. ამ ამორალური, ანტიხალხური მოძრაობის სათავეებთან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები იდგნენ, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ რუსეთის იმპერიულ ძალებთან.

60-იანი წლებიდან აფხაზეთის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობისა და სხვა პირებისაგან ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ექსტრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვას და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალისმიერი გზით გამოყოფას.

იხ. მე-3 გვ.

პრეზიდენტი

27 სექტემბერი — ხსოვნისა და იმედის დღე

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას „საქართველოში 2000 წლის 27 სექტემბერს „ხსოვნის და იმედის" დღის აღნიშვნისა და მოწყობის ღონისძიებათა შესახებ".

მეშვიდე წელია, ნათქვამია განკარგულებაში, აფხაზეთის ძირძველი ქართველი მოსახლეობა დევნილობაში ხვდება აფხაზეთის ტრაგედიის დღეს – 27 სექტემბერს.

ეს დღე თითოეული ჩვენგანის, განსაკუთრებით დევნილი თანამემამულეებისათვის მოუშუშებელი ტკივილის, უმძიმესი განცდის, შვილების, მშობლების, უახლოესი ნათესავების, საკუთარი კარ-მიდამოს დაკარგვასთან, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთანაა ასოცირებული. ამიტომ იგი უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ტრაგედიაგამოვლილი ადამიანებისადმი, მათი პრობლემებისადმი განსაკუთრებული ყურადღებითა და თანადგომით. ეს დღე უნდა იქცეს ჩვენი დევნილი თანამემამულეების, სრულიად საქართველოს ერისა და ბერის უპირველესი ამოცანის – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცებისათვის, ყველა პროგრესული და კონსტრუქციული ძალისა და საშუალების გაერთიანების დღედ.

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს „ხსოვნისა და იმედის" დღის აღნიშვნასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მაღალორგანიზებულად მოწყობის მიზნით, პრეზიდენტის განკარგულებით მოწონებულია საქართველოს საპატრიარქოს, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომელთა მიხედვითაც ამ დღეს, დილის 9 საათზე, „ხსოვნისა და იმედის" ზარები ერთდროულად დაირეკება საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარსა და ეკლესიაში; გაიმართება აფხაზეთის ომში ყველა დაღუპულის სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები,

იხ. მე-2 გვ.

ენერგეტიკა

ჩამოყალიბდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სპონსორთა ჯგუფი

ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის სარეალიზაციოდ სპონსორთა ჯგუფი პრაქტიკულად ფორმირებულია, რომელშიც აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის ყველა მონაწილე შედის, „ლუკოილისა" და „ექსონ მობილის" გარდა.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ უთხრა, „ექსონ მობილის" გადაწყვეტილება, შესაძლოა, საბოლოო არ აღმოჩნდეს, რაც შეეხება „ლუკოილის" ნაბიჯს, ეს, ალბათ, ყაზახეთის „თენგიზის" ნავთობის ნოვოროსიისკის მიმართულებით ტრანსპორტირების პროექტში ამ კომპანიის მონაწილეობით აიხსნება, რომლის რეალიზაციაც 2001 წელს უნდა მოხდეს, ანუ სამი წლით ადრე, ვიდრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.

ჭანტურიას თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საქართველოს მონაკვეთზე, ოქტომბერში საინჟინრო პროცესები ინტენსიურად განხორციელდება და რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ყველაზე ხელსაყრელი აირჩევა.

პრაიმ-ნიუსი.

გიხაროდენ!

ერთ კვირაში - 96 ახალშობილი



ბოლო სამი დღის განმავლობაში წუთი შესვენება არ ჰქონიათ დედაქალაქის სამშობიარო სახლებს.

№4 სამშობიარო სახლიდან მთავარი ექიმის მოადგილემ დალი გაბიძაშვილმა გვაცნობა, რომ იქ 36 ბავშვი დაიბადა. ჭარბობენ ბიჭები.

აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და სამეანო-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან ბებია-ქალმა ცირა უგრეხელიძემ შეგვატყობინა, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში აქ 60 ბავშვი დაიბადა, აქედან 33 – ბიჭია. ცირამ ისიც გვახარა, ლტოლვილ 19 წლის ინგა ჭოხონელიძე-რეხვიაშვილსა და რუსთაველ ლელა გიგაურ-არაბულს ტყუპი ბიჭები შეეძინათ. ოთხივენი ჯანმრთელია და თავს კარგად გრძნობენ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სიდნეი - 2000

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველმა ფალავანმა აკაკი ჩაჩუამ (63 კგ.) ჩვენს ქვეყანას მესამე ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

უკანასკნელ საათს

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ჯანმრთელად არის და დღეს კლივლენდის კლინიკიდან, სადაც იგი გამოსაკვლევად იწვა, ბაქოში დაბრუნდება.

ინტერფაქსმა წუხელ გადასცა ინფორმაცია, რომ იუგოსლავიის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მილოშევიჩი და კოშტუნიცა.

გუშინ ინგუშეთში მთვრალმა რუსმა ჯარისკაცებმა დაცხრილეს გაეროს ჰუმანიტარული მისიისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ავტომანქანები. შემთხვევით არავინ დაზარალებულა.

ინფორმაცია

გარი კუპალბას ასე ჰგონია

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გარი კუპალბამ, ნატოს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით, სოხუმის სამხედროჩინოსანთა უარყოფითი შეფასების შესახებ განაცხადა.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში გარი კუპალბამ თქვა, რომ ნატოს მიერ საქართველოსათვის ცალმხრივი დახმარება, რომელიც „აფხაზეთთან ფაქტობრივ საომარ მდგომარეობაში იმყოფება", აფხაზეთის ხელისუფლების შეშფოთებას იწვევს.

მისი თქმით, სოხუმში თვლიან, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში არ უნდა მონაწილეობდეს. „ეს რუსეთის სამშვიდობო ძალების პრეროგატივაა", – აღნიშნა მან.

ძალიან ხელგაშლილი „იტერა"

საერთაშორისო კომპანიათა ჯგუფ „იტერას" დელეგაცია კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, თბილისს დღეს ეწვევა.

როგორც პრაიმ-ნიუსს „იტერას" საქართველოს წარმომადგენლობაში აცნობეს, ამ ვიზიტისას, სავარაუდოდ, სს „თბილგაზის" პრივატიზაციის საკითხს განიხილავენ.

ამასთანავე, დელეგაციის წევრები მონაწილეობას მიიღებენ სს „საქგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში.

„იტერა" თანახმაა, „თბილგაზის" აქციების 75 პროცენტი შეისყიდოს და შესაბამისად 1,5 მლნ აშშ დოლარი გაიღოს.

ოთარ ლორთქიფანიძე - ჰუმბოლტის პრემიის ლაურეატი

ცნობილი ქართველი მეცნიერის – არქეოლოგის, პროფესორის ოთარ ლორთქიფანიძის მაღალ რეგალიებს ახლახან კიდევ ერთი – ჰუმბოლტის სახელობის პრემია შეემატა. ეს მეტად საპატიო ჯილდო, რომელიც გერმანიის სამეცნიერო წრეების წარდგინებით ენიჭებათ განსაკუთრებული ღვაწლის მქონე მეცნიერებს, ოთარ ლორთქიფანიძეს გერმანიის ქალაქ კონსტანცის უნივერსიტეტის რეკომენდაციით მიენიჭა.

ჩვენი ძველი მეგობარი საარბრიუკენი

თბილისისა და საარბრიუკენის დამეგობრების 25-ე წლისთავი „თბილისობის" დღესასწაულის ფარგლებში 28-29 ოქტომბერს აღინიშნება.

როგორც პრაიმ-ნიუსს თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრე იაშვილმა განუცხადა, ამ დღეს, საარბრიუკენის დელეგაცია - ქალაქის მერის ხაიო ჰოფმანის ხელმძღვანელობით, თბილისს ეწვევა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.

კონტაქტები

ამზადებენ ქართულ ვარიანტს

საქართველო უახლოეს ხანში უპასუხებს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტას ორ ქვეყანას შორის სავიზო შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკების დაწყებასთან დაკავშირებით. ეს განაცხადა 26 სექტემბერს ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს ელჩმა რუსეთში ზურაბ აბაშიძემ. როგორც მან თქვა, ქართულ მხარეს სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მოყვანილი არგუმენტები „მაინცდამაინც დამაჯერებლად" არ მიაჩნია. „მაგრამ რუსეთის გადაწყვეტილება ბიშკეკის შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ მისი სუვერენული უფლებაა, და ჩვენ გაგებით ვეკიდებით მას", – აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ. იგი იმედოვნებს, რომ მხარეები შეთანხმდებიან. „ჩვენ გვაქვს რუსეთის ვარიანტი ხელშეკრულების პროექტის შესახებ, ჩვენი ექსპერტები კი ახლა ქართულ ვარიანტს ამზადებენ. და, ბუნებრივია, მოლაპარაკების პროცესის დროს შევეცდებით მივაღწიოთ კომპრომისს", – მიაჩნია ელჩს.

საქინფორმი.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +7+12;
დღისით +18+23.
მთაში: ღამით +5+10;
დღისით +14+19.
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +10+15;
დღისით +19+24.
მთაში: ღამით +6+11;
დღისით +15+20.
თბილისში
ღრუბლიანი ამინდი, დღისით ხანმოკლე წვიმა.
ღამით +13+15;
დღისით +22+24.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

27 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	0.9024 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9700 ლარი
ევრო	1	1.7650 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0707 ლარი

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეალიზებული იქნა გამოთვლითი ტექნიკა. გთხოვთ გაგვარკვიოთ, იბეგრება თუ არა ეს ოპერაცია დამატებითი ღირებულების გადასახადით?

გიორგი კურტანიძე, თბილისი.

– საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის „ქ" პუნქტის თანახმად განთავისუფლება ეხება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის იმპორტს და არა მის მიწოდებას, ანუ აღნიშნული ტექნიკის მიწოდება ამ შემთხვევაში დაიბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

ინტერპანორამა

პრაღაში არეულობასა და პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა სხვადასხვა ქვეყნების მემარცხენე პარტიების წარმომადგენელთა, ე. წ. ანტიგლობალიზატორების დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათ შორის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინააღმდეგ, რომელთა სესიაც ამ ქალაქში გაიხსნა. არიან დაჭრილები და დაზარალებულები.

გუშინ ინგლისში ერთი დოლარით გაიაფდა ბარელი ნავთობი. გერმანიაში კი აპოგეას მიაღწია ავტომძღოლების აქციამ, რომლებიც ბენზინის გაიაფებას მოითხოვენ.

გუშინ მოსკოვში გარდაიცვალა ლეგენდარული რადიოდიქტორი და პირველი ტელეწამყვანი ოლგა ვისოცკაია. სწორედ მან ლევიტანთან ერთად 1945 წლის მაისში გამარჯვებულ ქვეყანას ამცნო ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის შესახებ.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

ვიზიტი

„ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთან პარტნიორობა"

(პირველი გვერდიდან)

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობით, რომელიც დღეისათვის ნატოს „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს.

— კავკასია მნიშვნელოვანი რეგიონია მსოფლიოსათვის,— განაცხადა ჯორჯ რობერტსონმა,— ვწუხვარ, რომ იუგოსლავიაში შექმნილი მდგომარეობის გამო საშუალება არ მომეცა, ვწვეოდი აზერბაიჯანსა და სომხეთს. თუმცა, ამ ქვეყნებში ჩემი ვიზიტი აუცილებლად გაიმართება მომავალი წლის დამდეგს.

სტუმარმა ნატოს სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტსა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას იმ ჯარისკაცებისათვის, რომლებიც დღეს კოსოვოში სამშვიდობო ბატალიონში მსახურობენ.

— ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთან პარტნიორობა. ჩვენ ერთად ვესწრაფვით უფრო ინტენსიურ თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცებას,— განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

* * *

საქართველოში ვიზიტად მყოფმა ნატოს გენერალურმა მდივანმა ლორდმა ჯორჯ რობერტსონმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომლის თემა იყო: „კავკასია დღეს: რეგიონული თანამშრომლობისა და ნატოსთან პარტნიორობის პერსპექტივები".

კონფერენცია გაიხსნა 26 სექტემბერს, დილას სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში".

სხდომის თავმჯდომარემ, უშიშროების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველების საბჭოს მეთაურმა, გადამდგარმა გენერალმა სერ პარი ჯონსონმა, რომელმაც გახსნა კონფერენცია, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფორუმს ესწრება ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გენერალური მდივანი. მან სიტყვა მისცა ლორდ ჯორჯ რობერტსონს.

ლორდ ჯორჯ რობერტსონის სიტყვა

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

დიდად სასიხარულოა ჩემთვის, რომ ახლა აქ ვიმყოფები. ბევრი რამ მსმენია საქართველოს დიდებულ წარსულზე, მის თერმულ წყაროებზე, მის შესანიშნავ ღვინოებსა და ლეგენდარულ სტუმართმოყვარეობაზე. დიდად მახარებს, რომ ყველაფერი ეს მართალი აღმოჩნდა. სრულიადაც არ მიკვირს, რომ იაზონმა არგონავტებთან ერთად სწორედ აქ, საქართველოში იპოვა ოქროს საწმისი.

საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი სხვა თვალსაზრისითაც იზრდება: ეს ახალგაზრდა, დამოუკიდებელი სახელმწიფო მტკიცედ და წარმატებით გარდაიქმნება თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ. ქვეყანაში რეფორმები მთელ რიგ შემთხვევებში მტკივნეულად, მაგრამ მტკიცედ ხორციელდება და შედეგიც არ აყოვნებს. ფეხზე დგება საქართველოს ეკონომიკა. იზრდება ინვესტიციები. დემოკრატიის დარგში თქვენი მიღწევები კი აღტაცებას იმსახურებს. არჩევნები პატიოსნად ეწყობა, ამომრჩევლები ფართოდ მონაწილეობენ მასში, პრესა თავისუფალი და შეუბორკავია. ეს მიღწევები უმეტესწილად პრეზიდენტ შევარდნაძის დამსახურებაა, რომელმაც საერთაშორისო გაერთიანების პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა. ვულოცავ მას და მთელ ქართველ ხალხს, დღეისათვის ყველა იმ წარმატებას, რომლებიც მოიპოვეს უფრო დემოკრატიული, უფრო აყვავებული და უფრო სტაბილური სახელმწიფოს შენების გზაზე. საქართველოში რომ მომავალს წარმატებით ჩაეყარა საფუძველი, ეს, საერთოდ, ევროპის უშიშროების სერიოზული შემოწმებაა. რატომ?

— იმიტომ, რომ გვესმის, ჩვენი უშიშროება განუყოფელია სხვა სახელმწიფოების უშიშროებისაგან. მიგვაჩნია, რომ უშიშროების უზრუნველყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში და მის გარშემო სივრცეზე იქნება სტაბილურობა და პრობლემათა ერთობლივი გადაჭრისადმი ერთგულება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტი უშიშროების პირობები აქვთ ჩვენს მეზობლებს, მით უფრო მეტი უშიშროების გარანტია გვაქვს ჩვენ.

აი, რატომ არის, რომ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და დიალოგი ევროპის უშიშროების მთავარ კონსტრუქციულ ელემენტებად გადაიქცა. თანამშრომლობა აღარ არის მეორეხარისხოვანი საქმიანობა; 21-ე საუკუნეში იგი ჩვენი ფხიზელი პოლიტიკის საძირკველს ქმნის. ცალკეული სახელმწიფო ვერ შეძლებს მხოლოდ საკუთარი ძალებით უზრუნველყოს მთლიანად უშიშროება. მხოლოდ თანამშრომლობა — როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო — უქმნის სახელმწიფოს უშიშროებისა და სტაბილურობის აუცილებელი გრძელვადიანი პირობების შესაძლებლობას. მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის იქნება უზრუნველყოფილი აყვავება, რომლებიც ორიენტირებული არიან გარე სამყაროზე და მას უკავშირებენ თავს.

საქართველომ გამოიტანა თავისთვის ეს დასკვნა. და საკითხებისადმი თქვენი მიდგომა სანიმუშო იყო. 1992 წლიდან საქართველო ეუთოს წევრია. 1999 წელს იგი ევროპის საბჭოში შევიდა. მან, აგრეთვე, ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროპის კავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ნატოც ღრმად არის დარწმუნებული, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას, როცა საქმე ეხება უშიშროებას. ამის მკაფიო მაგალითია ბალკანეთში მშვიდობის დაცვის ოპერაციები. როგორც ყველასთვის ცნობილია, ამჟამად ბოსნიასა და კოსოვოში ერთდროულად ხორციელდება ორი ოპერაცია მშვიდობის დასაცავად, რომლებშიც ჩაბმულია თითქმის 70000 სამხედრო მოსამსახურე. ამ ძალების ბირთვს შეადგენენ ნატოს წევრი ქვეყნების კონტინგენტები. მაგრამ ამ ოპერაციებში ბევრი სხვა სახელმწიფოც მონაწილეობს. სინამდვილეში ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, და თქვენ წარმოიდგინეთ აზიის სამხედრო მოსამსახურეებიც დასახულ ამოცანებს ასრულებენ ერთიანი სარდლობით, მათ შორის საქართველოს მოტოქვეითი ოცეულიც. ეს თავისებურად ერთადერთი, საერთაშორისო კოალიცია ნელა, მაგრამ მტკიცედ აყენებს ამ რეგიონს მყარი მშვიდობის გზაზე.

არ არსებობს ამ კოალიციაზე უკეთესი მაგალითი ევროპის უშიშროების ძირეული თვისებრივი ცვლილებების თვალსაზრისით. წარსულში ერთმანეთის მოწინააღმდეგე ქვეყნები ახლა ბუნებრივი პარტნიორები არიან. თანამედროვე ისტორიაში პირველად ხდება, რომ ევროპული სახელმწიფოები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ შეუძლიათ გაერთიანებული ძალებით უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება. პირველად გამოიკვეთა ნამდვილი ერთობლივი დაინტერესება თანამშრომლობით, რომლის მიზანია საერთო პრობლემების გადაჭრის გზების გამონახვა.

ის ფაქტიც, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოები და ის ქვეყნები, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში, ესოდენ მჭიდროდ და ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თვით ნატოს თვისების ძირეული ცვლილების დადასტურებაც არის. სინამდვილეში, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციის დასრულების დროიდან მოყოლებული ნატო არნახულად შეიცვალა. იმ ორგანიზაციის ნაცვლად, რომლის მიზანი იყო ერთი ამოცანის შესრულება — მოწინააღმდეგისაგან კოლექტიური თავდაცვა — ნატო გახდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის მამოძრავებელი ძალა უშიშროების დარგში და პოლიტიკურ ცვლილებათა კატალიზატორი. იგი უშიშროების მიმართ დაადგა ახალ პოზიციებს, რომლებიც ეფუძნება სხვა ორგანიზაციებთან და იმ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის პრინციპს, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში. ნატოს საქმიანობას კი სარგებლობა მოაქვს მთელი ევროატლანტიკური სივრცისათვის, მათ შორის კავკასიისათვისაც.

ექვსი წლის წინათ დაწყებული „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამა ძირითადი ინსტრუმენტია, რომლის მეოხებითაც ავითარებს ნატო თანამშრომლობას. არსებითად, ეს არის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამა ნატოსა და იმ ცალკეულ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში. ამ ინიციატივის ხორცშესხმით ნატოს წევრი სახელმწიფოები ისწრაფვოდნენ, გაეზიარებინათ თავიანთი სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მათი საზღვრებიდან აღმოსავლეთისაკენ მდებარე ქვეყნებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში ამ ქვეყნებიდან ბევრი პირველად ამუშავებდა თავის ეროვნული უშიშროების პოლიტიკას, ქმნიდა საკუთარ თავდაცვის სამინისტროებს. არ გვიცდია, ვინმესთვის თავს მოგვეხვია ჩვენი შეხედულებები. მაგრამ ვფიქრობდით, რომ ამ ქვეყნებში შეეძლებოდათ ესარგებლათ ნატოს წევრი ქვეყნების დიდი გამოცდილებით, რითაც დახმარებას გავუწევდით ამ სახელმწიფოებს მათი განვითარების გარდამავალ ეტაპზე. იმიტომ, რომ ამ გარდამავალი ეტაპის წარმატებით დაგვირგვინება ჩვენი საკუთარი უშიშროების ინტერესებს შეესაბამება. კვლავ მინდა გავიმეორო: რაც უფრო უშიშრად არიან ჩვენი მეზობლები, მით უფრო მეტი უშიშროების პირობებში ვიცხოვრებთ ჩვენც.

ახლა „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის განხორციელების დაწყებიდან ექვს წელზე მეტი ხნის შემდეგ, მის მონაწილეთა რიცხვი 26-მდე გაიზარდა და იგი მოიცავს პლანეტის ყველა მხარის სახელმწიფოებს და სხვადასხვა ტრადიციას უშიშროების დარგში. ამიტომ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნატოს ცხრამეტ წევრ სახელმწიფოსა და მშვიდობისათვის პარტნიორობის 26 მონაწილეს შორის პარტნიორობა არის სამხედროებს შორის ყველაზე ინტენსიური თანამშრომლობის პროგრამა, ისეთი თანამშრომლობისა, როგორსაც ოდესმე ვინმე ძნელად თუ წარმოიდგენდა. ამ პროგრამის მეოხებით შესაძლებელი გახდა დაჩქარებულიყო რეფორმირების პროცესების ტემპი ბევრ პარტნიორ ქვეყანაში, კერძოდ, დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და მათდამი კონტროლის პრაქტიკის თვალსაზრისით. ამ პროგრამამ უზრუნველყო ტექნიკური და კონცეფციური თვალსაზრისით ჩვენი შეიარაღებული ძალების ოპერატიული შეთავსების ისეთი დონე, როგორიც ადრე არ არსებობდა. ერთი სიტყვით, „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამამ სათავე დაუდო ახალ კულტურას ევრაზიის სივრცეზე უშიშროების დარგში — კულტურას, რომელიც ეფუძნება უშიშროების დარგში თანამშრომლობის პრაქტიკას.

„მშვიდობისათვის პარტნიორობის" განვითარების კვალობაზე, ნიადაგ ფართოვდება პროგრამის ჩამოყალიბებაში პარტნიორების მონაწილეობის შესაძლებლობებიც. „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის არსებობის ადრეულ ეტაპებზე, ძირითადად, ნატო პარტნიორებს სთავაზობდა არჩევანს ღონისძიებათა ჩამონათვალიდან. დღეს პარტნიორებს საკუთარი ძალების მეტი რწმენა აქვთ და ცდილობენ პროგრამა ჩამოაყალიბონ მოკავშირე ქვეყნებთან ერთად. პარტნიორები ხელს უწყობენ პარტნიორობის სამუშაო პროგრამის შემუშავებას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მათ გააცნობიერეს, რომ ისინი თავად წყვეტენ, რამდენად ფართოდ და ღრმად უნდა განავითარონ თანამშრომლობა, ამის კვალობაზე კი გარკვეულ წილ პასუხისმგებლობას კისრულობენ ამ საქმიანობის მომავლისათვის. სწორედ ამიტომაც არიან ისინი ასე დაინტერესებული და ამიტომ იჩენენ ასეთ აქტიურობას.

საქართველო „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამას შეუერთდა 1994 წელს და, იქიდან მოყოლებული, მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. ჩვენი ერთობლივი მუშაობა წარმოებს საგანგებო სამოქალაქო დაგეგმვის, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის, თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის, სამხედრო რეფორმების ხაზით. არის რეზერვები უფრო ნაყოფიერი თანამშრომლობისთვისაც.

პოლიტიკურ დონეზე ნატოს თანამშრომლობა პარტნიორებთან ხორციელდება ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში, რომელიც უზრუნველყოფს ნატოელი მოკავშირეებისა და პარტნიორების მიერ იმ საკითხთა განხილვის პლატფორმას, რომლებიც საერთო შეშფოთების საგანია. იგი აგრეთვე ქმნის „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის პოლიტიკურ ფორმატს.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს დღის წესრიგი მოიცავს ისეთი ფართო წრის საკითხებს, როგორიც არის რეგიონული უშიშროება, ენერგეტიკული უშიშროება, საგანგებო სამოქალაქო დაგეგმვა. საქართველომაც ისარგებლა იმ საშუალებებით, რომლებსაც ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო იძლევა და მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე გახდა. მართლაც, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს პირველი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა რეგიონული უშიშროების საკითხებს, საქართველოში გაიმართა. რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო იყო ის ადგილი, სადაც ეწყობოდა ამ საბჭოს ღონისძიებანი, მათ შორის, მაგალითად, კავკასიის რეგიონული უშიშროების უზრუნველყოფისათვის თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი მნიშვნელოვანი სემინარი, რომელიც გაიმართა 1998 წლის ოქტომბერში გუდაურში, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სემინარი კი, რომელიც მიეძღვნა თავდაცვის საბიუჯეტო დაფინანსებას, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ მოეწყო. არანაკლებ შთამბეჭდავია იმ ღონისძიებათა რაოდენობა, რომლებიც გაიმართება საქართველოს ინიციატივით ან მის ტერიტორიაზე 2001 წელს. ამგვარი კონფერენციები კარგი მაგალითია იმისა, თუ რა პოტენციური შესაძლებლობები აქვს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს დიალოგისათვის ხელშეწყობისა და იმ პირობების შექმნის საქმეში, რომლებიც აუცილებელია რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. ნატოს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს და არც აქვს პრეტენზია, წამყვან როლს ასრულებდეს ამ რეგიონის მშვიდობიანი პროცესის მოგვარებაში. ამისათვის პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, ეკისრებათ იმ მხარეებს რეგიონში, რომლებმაც უნდა გამონახონ მშვიდობის გზაზე წინსვლისათვის მორიგების საშუალებები. რა თქმა უნდა ეუთო და გაერო ძირითად როლს ასრულებენ ამ რეგიონში, ისევე როგორც სუუამის ქვეყნების ჯგუფი. მშვიდობისათვის პარტნიორობისა და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს მექანიზმების მოშველიებით ნატო მზად არის მხარი დაუჭიროს ყველა ამ ძალისხმევას, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ ეს რეგიონი იმსახურებს მშვიდობასა და სტაბილურობას, აგრეთვე ინვესტიციებს ეკონომიკაში და კეთილდღეობას, რომელიც ყოველივე ამის შედეგი იქნება.

რეალობაა ისიც, რომ რეგიონში უთანხმოების ყოვლისმომცველ მოწესრიგებას ვერ მივაღწევთ, თუ ამ პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს, მისმა უდიდესმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, ბუნებრივია, რუსეთმა. სავსებით ცხადია, რომ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას საარსებო მნიშვნელობა აქვს. ნატოს დადებით ნაბიჯად მიაჩნია საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ტექნიკის გატანა და იმედოვნებს, რომ ეს დამთავრდება სტამბოლში ეუთოს სამიტზე მიღწეულ მორიგებათა შესაბამისად. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ შეგვიძლია წინ წავიწიოთ, და ძალგვიძს საკითხი მოლაპარაკების გზით გადავწყვიტოთ.

ამავე პრინციპს ეფუძნება რუსეთთან ნატოს ურთიერთობა. კოსოვოს კრიზისის დროს ჩვენმა უთანხმოებამ ცხადყო, რომ ნატოსა და რუსეთის ურთიერთობას ჯერ კიდევ ამძიმებს „ცივი ომის" სტერეოტიპები. მაგრამ ვცდილობთ მათ დაძლევას, რადგან გვესმის, რომ საბოლოო ანგარიშით, ვერ მივაღწევთ მეტ უშიშროებას ევროპაში ან კავკასიაში ურუსეთოდ, და მით უმეტეს, მასთან დაპირისპირებით. რუსეთს კი, თავის მხრივ, შეგნებული აქვს, რომ ნატოსთან თანამშრომლობა აუცილებელია, რათა ამ უზარმაზარმა ქვეყანამ წარმატებით დაძლიოს თავისი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდამავალი პერიოდი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკვე რამდენიმე წელია, ნატოსა და რუსეთის ჯარები მხარდამხარ ასრულებენ ამოცანებს ადგილებზე ბალკანეთში. ეს მოწმობს, რომ ნატოს და რუსეთს შესწევთ თანამშრომლობის უნარი იქ, სადაც ეს საჭიროა, და რომ ისინი თავს ნებას არ მისცემენ, უგულებელყონ ერთმანეთი.

სწორედ ასეთი თანამშრომლობის ლოგიკით ხასიათდება ნატოს სხვა კავშირურთიერთობანი თანამშრომლობის ხაზით, რომლებიც ჩამოყალიბდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში: განსაკუთრებულია ურთიერთობა უკრაინასთან, მაგალითად, „დიალოგი სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან". ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენს თანამშრომლობას თავისი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები აქვს, მაგრამ მოტივი ყოველთვის ერთი და იგივეა: რაც უფრო მეტი უშიშროებაა ჩვენი მეზობლების ტერიტორიაზე, მით უფრო მეტი უშიშროების გარანტია გვაქვს ჩვენ.

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

დასასრულ, ნება მიბოძეთ, შემდეგი მოგახსენოთ. ჩემს მოკლე სიტყვაში, შევეცადე, გამეზიარებინა თქვენთვის აზრი იმის თაობაზე, თუ რაოდენ სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ პარტნიორობის ლოგიკას. მეტად კმაყოფილი ვართ იმ გარემოებით, რომ ჩვენი თანამშრომლობა აქ, კავკასიაში ვითარდება ისევე, როგორი წარმატებითაც ვითარდება იგი ევროპაში. საქართველოსთან ნატოს ურთიერთობა დინამიკურია და მისი განვითარება აკმაყოფილებს როგორც ნატოს, ისე საქართველოს.

უეჭველია, რომ კავკასიას ახასიათებს თავისი სპეციფიკა და საკუთარი დინამიკა. ნატოს არ გააჩნია რეცეპტები ყველა ადგილობრივი პრობლემის, ისევე როგორც სხვა ადგილებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ თანამშრომლობის პოლიტიკა განამტკიცებს უშიშროებას ყველასთვის. ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა საიმისოდ, რომ ევროპა გადავაქციოთ თანამშრომლობისა და სტაბილურობის რეგიონად, სადაც თითოეულ სახელმწიფოს ექნება ხმის უფლება და არც ერთ მათგანს არ ექნება საფრთხის შეგრძნება. ნატო აპირებს ითანამშრომლოს საქართველოსთან და რეგიონის ყველა სახელმწიფოსთან ამ მაღალი მიზნის მიღწევისათვის.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ლორდ რობერტსონს საქართველოში ვიზიტისა და საინტერესო, შინაარსიანი გამოსვლისათვის. მინისტრმა აღნიშნა, რომ დღეს მსოფლიოში ვითარდება გლობალიზაციის, კონსოლიდაციის პროცესები, რომელთა მეოხებით კაცობრიობა შეძლებს მნიშვნელოვანწილად წინ აღუდგეს კრიზისულ მოვლენებს. ეს ითქვა, შეახსენა დამსწრეთ ირაკლი მენაღარიშვილმა, „ათასწლეულის სამიტზეც", რომელიც ამას წინათ შეერთებულ შტატებში მოეწყო. ადამიანებმა საერთო ძალისხმევით უნდა გადაწყვიტონ ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანაც, როგორიც არის მშვიდობის დამყარება, უშიშროების საიმედო სისტემის შექმნა.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, თქვა მინისტრმა, სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებში საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი. ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მათს მზარდ როლს საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ, ამ სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ მთელი პოსტსაბჭოური სივრცისათვის დამახასიათებელი მრავალი პრობლემა. მათი ეფექტიანი გადაჭრა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალებით, საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერით. დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის, სხვა ტრანსეროვნული პროექტების რეალიზაცია კარგ საფუძველს უქმნის ამას. რეგიონული თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში კონფლიქტების მოწესრიგებას. კონფლიქტები კავკასიაში, ხაზგასმით აღნიშნა ირაკლი მენაღარიშვილმა, მარტო რეგიონის პრობლემა როდია. არანაკლებ არის დაინტერესებული საერთაშორისო გაერთიანება მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიით. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს ნატოსთან —იმ ორგანიზაციასთან ამიერკავკასიის სახელმწიფოთა პარტნიორობის განვითარებას, რომელიც სამართლიანად ითვლება მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში უშიშროების ძირითად გარანტად.

მინისტრმა განაცხადა, რომ „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ბლოკი აქტიურად ავითარებს პარტნიორობას ახალ სახელმწიფოებთან. არც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებია გამონაკლისი. საქართველოში მიესალმებიან ამ თანამშრომლობის გაღრმავებისათვის გამიზნულ ყველა ღონისძიებას. პირველი წელი როდია. რაც საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობენ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის". თანამშრომლობა ვითარდება სხვა მიმართულებებითაც.

გამოცდილება ცხადყოფს, აღნიშნა ირაკლი მენაღარიშვილმა, რომ კონფლიქტების მოწესრიგებისათვის ნატოს საქმიანობა შეიძლება მეტად ეფექტიანი იყოს. ამის მაგალითად გამოგვადგება ბალკანეთის კონფლიქტი. ამ რეგიონის სიტუაციის სტაბილიზაციის პროცესში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველომაც. მინისტრმა გამოთქვა აზრი, რომ დადგა დრო, დავიწყოთ ნატოსა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, კერძოდ, საქართველოს შორის თანამშრომლობის იმ დამატებითი ღონისძიებების შემუშავება, რომელთა მეოხებითაც მოწესრიგდება „გაყინული კონფლიქტები" ამ ქვეყნების ტერიტორიაზე. ასეთი პარტნიორობა სხვადასხვა ფორმით წარიმართება, მთავარია, რომ მან რეალური შედეგი მოგვიტანოს.

დასასრულ მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსთან, რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან ნატოს თანამშრომლობა დინამიკურად და ეფექტიანად განვითარდება. მან წარმატება უსურვა ახლანდელ კონფერენციას, რომელიც მოწოდებულია კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი გახდეს რეგიონული პარტნიორობის გაღრმავების, ჩრდილოატლანტიკურ ბლოკთან ამიერკავკასიის სახელმწიფოთა დაახლოების გზაზე.

პირველ დღეს კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა მოხსენებები თემებზე: „რეგიონული უშიშროების მიმდინარე საკითხები" და „ნატოს როლი სამხრეთ კავკასიაში", გამართეს დისკუსიები ამ გამოსვლებთან დაკავშირებით.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

* * *

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ნატოს გენერალური მდივანი ლორდი ჯორჯ რობერტსონი 26 სექტემბერს ესაუბრა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. მისი შეხვედრა სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან თავისუფალ ვითარებაში შედგა თბილისის ცენტრის ერთ-ერთ ლუდხანაში.

სტუმარმა უპასუხა სტუდენტთა კითხვებს, რომლებიც უმთავრესად ეხებოდა საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ურთიერთობის განვითარებას. მან ხაზი გაუსვა, რომ ნატო დიდი ხანია წარმატებით თანამშრომლობს საქართველოსთან მრავალი მიმართულებით, კერძოდ, „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში. ლორდ რობერტსონის აზრით, საქართველომ შედარებით მოკლე დროში მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, შეძლო ისეთი სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს სახელი მოეპოვებინა საერთაშორისო გაერთიანების თვალში, რომელშიც მიმდინარეობს სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები.

ჯორჯ რობერტსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო გაერთიანება დაინტერესებულია კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებით, აქ კონფლიქტების მოწესრიგებით. შეეხო რა რუსეთის ფაქტორს კავკასიაში, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა შეიძლება რუსეთის ფედერაციასა და ამიერკავკასიის სახელმწიფოებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის მაგალითი გახდეს.

საუბრის დროს შეეხნენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის მსოფლიოში, კერძოდ, ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენები, აგრეთვე ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გაფართოება.

ლორდი ჯორჯ რობერტსონი დაინტერესდა საქართველოს ახალგაზრდობის ცხოვრებით, ქართველი სტუდენტების სწავლის პირობებით.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ოფიციალური ვახშამი გამართა ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერტსონის პატივსაცემად.

ვახშამზე იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

დამთავრდა ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერტსონის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. 26 სექტემბერს საღამოს იგი თბილისიდან გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარი გააცილეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა, თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ამავე დღეს დილით ჯორჯ რობერტსონი ესაუბრა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს.

ვიზიტის ფარგლებში ლორდი რობერტსონი ეწვია საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის რეზიდენციას, სადაც შეხვდა ნატოს წევრი ქვეყნების საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურებს.

საქინფორმი.

სურათებზე: ლორდ რობერტსონი თბილისში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

პრეზიდენტი

27 სექტემბერი — ხსოვნისა და იმედის დღე

(პირველი გვერდიდან)

მათ საფლავებს, ძმათა სასაფლაოებსა და ობელისკებს გვირგვინებით შეამკობენ; ტრადიციისამებრ გვირგვინებით შეამკობენ ეროვნული გმირის ჟიული შარტავას საფლავსა და მემორიალებს; გაიხსნება დევნილი მხატვრების გამოფენა „გახსოვდეთ აფხაზეთი!"; მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპულთა, მარჩენალდაკარგულთა ოჯახის წევრებს; დღის პირველ საათზე თბილისში, გამარჯვების პარკში გაიმართება დევნილი მოსახლეობის მიტინგი. გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებების მოწყობაც.

პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსთან ერთად უზრუნველყონ ქალაქებსა და სოფლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, დევნილთა განსახლების ადგილებში აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ხსოვნის, პატივმიგების, მათი ოჯახის წევრებთან შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობა.

საქართველოს განათლების სამინისტროს დაევალა 27 სექტემბერს ქვეყნის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელში პირველი გაკვეთილები, ლექციები მიუძღვნას თემას „გვახსოვდეს აფხაზეთი!"

საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ქ. თბილისის მერიამ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მიმდინარე წლის 27 სექტემბერს „ხსოვნისა და იმედის" დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოსაწყობად უნდა უზრუნველყონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს წინადადებების საფუძველზე საკონცერტო-საგამოფენო დარბაზების, თეატრების, სოფლის კლუბების, სპორტული მოედნების გამოყოფა და მომსახურება.

თბილისის მერიას დაევალა უზუფრუქტის წესით გადასცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ქ. თბილისის ფარგლებში მიწის 4 ნაკვეთი სტაციონარული სტენდების დასამონტაჟებლად (გმირთა მოედანი, დიდუბე — ქალაქში შემოსასვლელი, ორთაჭალა — ჰესის მიმდებარე ტერიტორია პეტრე ბაგრატიონის ძეგლის წინ, მეტრო „ავლაბარი") აფხაზეთის პრობლემათა ამსახველი თვალსაჩინოებისა და სხვა მასალის განსათავსებლად მერიის მიერ დაწესებული სტანდარტების ფარგლებში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში აფხაზეთის თემაზე აღნიშნული სტაციონალური სტენდების დამონტაჟებას.

საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობას, საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურს ეთხოვა აფხაზეთის თემის, „ხსოვნისა და იმედის" დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფართო გაშუქება.

პარლამენტის თავმჯდომარე

ნატოსთან ურთიერთობა პრიორიტეტული მიმართულებაა

(პირველი გვერდიდან)

ლორდ ჯორჯ რობერტსონის განცხადებით, ყველა ქვეყნის უშიშროების სისტემის ფორმირებაში პარლამენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო საქართველოს პარლამენტთან აქტიურ კონტაქტებს ნატოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ: მისი შეფასებით, საქართველოს ურთიერთობას სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე ირანთან უნიკალური მნიშვნელობა აქვს და ეს რეგიონში სამშვიდობო პროცესების გაღრმავების საგულისხმო ფაქტორია. ლორდმა რობერტსონმა სრულად გაიზიარა პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებანი საქართველოდან უცხოეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესთან დაკავშირებით და ინტერესით გაეცნო ქვეყნის ხელისუფლების პოზიციას არსებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივის საკითხში.

შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველო-ნატოს თანამშრომლობის კონკრეტული ასპექტების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს ნატოს გენერალურმა მდივანმა ლორდმა ჯორჯ რობერტსონმა ჩანაწერი დატოვა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში.

საქართველო-ქუვეითის თანამშრომლობა ფართოვდება

26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ქუვეითის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის დელეგაცია.

საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა აჰმად ნასარ ალ შერაინიმ აღნიშნა, რომ ქუვეითში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს იმ პოზიციას, რომელიც მისმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს ათასწლეულის სამიტზე ჩამოაყალიბა, და ამასთანავე სრულად იზიარებენ საქართველოს ლიდერის აზრს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მომავლის შესახებ. სტუმრებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ედუარდ შევარდნაძის პრინციპული პოზიცია სპარსეთის ყურეში კონფლიქტის დროს. მათი აზრით, ორი ქვეყნის პარლამენტების თანამშრომლობის შედეგად ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება.

თავის მხრივ, ზურაბ ჟვანიამ ხაზგასმით აღნიშნა არაბულ სამყაროსთან, კერძოდ, ქუვეითთან საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა და იმედი გამოთქვა, რომ ქუვეითის კაპიტალი აქტიურად იქნება გამოყენებული საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროექტების რეალიზაციისათვის. მისივე შეფასებით, სახელმწიფო, რომელიც დიდ როლს ასრულებს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფაში, უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ქუვეითის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ჟვანიას ქუვეითის პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური მიწვევა გადასცა.

საქინფორმი.

სახელმწიფო. მინისტრი

იმსჯელეს ცენტრალურ ბიუჯეტში დეფიციტის შესახებ

(პირველი გვერდიდან)

აღნიშნული ჯგუფი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას პრობლემათა გადაჭრის თავის ვერსიებს სთავაზობს. კერძოდ, ლეშეკ ბალცეროვიჩის წარმომადგენლის ჯერსი მილერის აზრით, საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელია ქვეყნის შიდა და საგარეო ვალების დაფარვა, რისთვისაც ბალცეროვიჩის ჯგუფი მთელ რიგ წინადადებებს შეიმუშავებს.

— საქართველოს ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს წინა წლებში დაგროვილი ვალებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო სამი თვის მაჩვენებლით ჩვენს ქვეყანას თითქმის არავითარი შიდა ვალი არ დაუგროვდა, ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა. თუმცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არის მოუგვარებელი პრობლემები და მათს გადაჭრაში ხელშეწყობას საქართველოს ხელისუფლება, გამოცდილი პოლონელი ექსპერტებისგანაც მოელის.

ლეშეკ ბალცეროვიჩის წარმომადგენელთა თხოვნით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან, მათი შეხვედრები თვეში ერთხელ მაინც გაიმართება და მსჯელობის საგანი საქართველოს საკეთილდღეოდ უკვე ხორცშესხმული და სამომავლოდ განსახორციელებელი საქმეები იქნება.

საქინფორმი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

(პირველი გვერდიდან)

ამ დანაშაულებრივი მიზნების განხორციელების გასაადვილებლად და საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად, ექსტრემისტები განზრახ, მეთოდურად ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ისტორიის ფაქტებს, მიმართავდნენ პოლიტიკურ ინსინუაციებს, მოვლენების მიკერძოებულ ინტერპრეტაციას, თხზავდნენ ლეგენდებს ქართველთაგან აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის, აფხაზური ეთნოსის, ჩაგვრისა და ფიზიკური განადგურების მცდელობის შესახებ.

სეპარატისტები ათეული წლების განმავლობაში ქადაგებდნენ და ამკვიდრებდნენ ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრების შეუძლებლობის კაცთმოძულე დოქტრინას, საბოლოო გაუცხოების მისაღწევად მათ ერთმანეთს აპირისპირებდნენ.

სახელმწიფო პოლიტიკად იქცა „თვითგამორკვევის უფლებათა რეალიზაციისათვის“ ფაშისტური მეთოდებით შეიარაღებული ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი დარღვევა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით. საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის დანაშაულებრივი გზით გამოყოფის სასარგებლოდ „სამართლებრივ არგუმენტებს“ სეპარატისტებმა ფსევდოსამართლებრივი მექანიზმები დაუდეს საფუძვლად, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სეპარატიზმი აფხაზეთში სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა. 1990 წლის 25 აგვისტოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“, რომელმაც ცალმხრივად, საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების საწინააღმდეგოდ, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა ფაქტობრივად გამოაცხადა. ამ ე.წ. „დეკლარაციით“ აფხაზეთის უზენაეს საბჭოში უზრუნველყოფილი იქნა იმ ერის ინსტიტუციური წარმომადგენლობა, რომელმაც სახელწოდება მისცა რესპუბლიკას.

შეთქმულთა სეპარატისტული მიზნები აშკარად გამოიკვეთა, აგრეთვე, 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებაშიც „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“.

საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გაუმართლებლად დათანხმდა 1991 წლის კანონს „უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თაობაზე“, რომელშიც მანტაჟითა და ძალადობით შეიტანეს ცვლილებები. ამ „კანონით“ არჩევნების ჩატარებისას 28 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებად მონაწილეობა მხოლოდ აფხაზებს შეეძლოთ, 26 ოლქში კი ქართველებს, დანარჩენ ოლქებში კენჭს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები იყრიდნენ. ამ „კანონით“ აფხაზებმა ხელოვნურად მიიღეს უპირატესობა უზენაეს საბჭოში და ხელყვეს ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების, როგორც უმრავლესობის უფლება. გარდა ამისა, 1991-92 წლებში, აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით მიიღეს კანონები და დადგენილებები, რითაც პრაქტიკულად შეზღუდეს საქართველოს იურისდიქცია და ხელყვეს მისი ტერიტორიული მთლიანობა. ეს ნორმატიული აქტები იყო: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულადსაკრედიტო რეგულირების“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის“, „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის“, „საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესახებ“ და სხვა, ასევე, საგარეო ეკონომიკური და რესპუბლიკებს შორის ურთიერთობათა კომიტეტის, საბაჟო სამსახურის, აფხაზური ეროვნული მონოეთნიკური გვარდიის, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის აფხაზურ ბატალიონ „აიდგილარას“ შეიარაღებული ძალების შექმნის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჯარისო და მილიციის ნაწილების, უშიშროების, სახელმწიფო, ქონების მართვისა და პრივატიზაციის კომიტეტების დაქვემდებარების შესახებ, სამწუხაროდ, ამ სამართლებრივ დივერსიას თავის დროზე არ მიეცა ჯეროვანი შეფასება და არ აღიკვეთა. უფრო მეტიც: 1992 წლის 23 ივლისს, ქართველ დეპუტატთა ნების საწინააღმდეგოდ, ხმათა უბრალო უმრავლესობით გააუქმეს აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და „აღადგინეს“ ე.წ. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც სპეციალისტების დასკვნით, პრაქტიკულად არც არასოდეს ამოქმედებულა.

„მშვიდობიანი ხერხებით“ დემოგრაფიული ვითარების შეცვლის და აფხაზი მოსახლეობის მექანიკური ზრდის მისაღწევად, ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ მიიღო მრავალი დისკრიმინაციული ხასიათის დადგენილება: „აფხაზეთში მოქალაქეთა ჩაწერის შეზღუდვის“, „გვარის და ეროვნული კუთვნილების შეცვლის შესახებ“ და სხვა, რითაც რეგიონში თითქმის აკრძალა არააფხაზი ეროვნების პირთა ცხოვრება. ეს დადგენილებები არ ვრცელდებოდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც პირადობის დამადასტურებელი ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე თავს აფხაზებად ასაღებდნენ. მათი მუდმივად ჩაწერა ხდებოდა უაღრესად გამარტივებული და საიდუმლო წესით. მარტო 1992 წლის მარტში სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა რაიონებში მუდმივად ცხოვრების ნება დართეს სირიიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ 1000-ზე მეტ ბოევიკს. ეს უკანონობა ინტენსიურად გრძელდებოდა. სეპარატისტები აქტიურად ემზადებოდნენ ომისათვის, იძენდნენ საბრძოლო იარაღსა და ტექნიკას. ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას უწევდა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის საჯარისო შენაერთების კორუმპირებული სარდლობა, რომელიც შესაბამისი გასამრჯელოს ფასად, ხალისით უთმობდა მათ იარაღითა და საბრძოლო მასალებით სავსე საწყობებს.

1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოს დედაქალაქში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, 1992 წლის თებერვლიდან დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონში ჩამოყალიბდა მყარად ორგანიზებული ბანდები, რომლებიც ალიჭურვნენ სახელმწიფოს ძალისმიერი სტრუქტურების ქვედანაყოფებზე სისტემატური თავდასხმებით, ასევე, უკანონოდ დამზადების და შეძენის გზით მოპოვებული სამხედრო ტექნიკით, ავტომატური, ადამიანთა მასობრივი განადგურებისათვის გამიზნული სხვა იარაღით, საბრძოლო მასალით, კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო საშუალებებით. ისინი სისტემატურად ახდენდნენ ბანდიტურ თავდასხმებს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ცალკეულ პირებზე, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე, იტაცებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონებას – ტვირთებს, სტრატეგიულ ნედლეულს და შეიარაღებას. მწყობრიდან გამოჰყავდათ მაღალი ძაბვის ანძები, სარკინიგზო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები, აფეთქებდნენ სარკინიგზო და საავტომობილო გზებს, ხიდებს, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მიზნით იტაცებდნენ მაღალი რანგის თანამდებობის და სხვა პირებს, ხელყოფდნენ ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა.

დადგინდა, რომ 1992 წლის თებერვალ-აგვისტოში აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეწყდა სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მიმოსვლა. საქართველო და სომხეთი ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

კელასურ-დრანდის, ტამიში-ოჩამჩირის, დრანდა-აძიუბას, ცაცხვი-ინგირის, ინგირ-ზუგდიდის მონაკვეთზე სარკინიგზო ხიდების და გზების თითქმის ყოველდღიური აფეთქება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1992 წლის იანვრიდან 14 აგვისტომდე სამეგრელოში ათი, აფხაზეთში ცამეტი დივერსიული აქტი განახორციელეს, რამაც ასეულ მილიონობით ზარალი და სხვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიწვია.

საქმეზე დართული და გამოკვლეული მასალებით, საბუღალტრო დოკუმენტებით, ექსპერტიზის დასკვნებით, მრავალრიცხოვან მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებით, ობიექტურად დადგინდა, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთში გაგრის, ბზიფის, განთიადის, გუდაუთის, დრანდის, გალის, აჩიგვარას, სალხინოს, სოხუმის, ეშერის, ოჩამჩირის, ინგირის, ზუგდიდის და სხვა რკინიგზის სადგურებიდან შეიარაღებული თავდასხმით გაიტაცეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებისათვის განკუთვნილი 12 მილიარდი მანეთის (იმდროინდელი კურსით) 1923 ვაგონი ტვირთი. 1992 წლის პირველ ნახევარში თავდასხმების და აფეთქების 1242 ფაქტი დაფიქსირდა. აქედან მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე 759 ბანდიტური თავდასხმა.

საქართველოს სახელმწიფოს საზიანოდ მყარად ორგანიზებული ბანდები აფხაზ აგრესორ-სეპარატისტებთან წინასწარი შეთანხმებით ერთდროულად გეგმავდნენ და ახორციელებდნენ ქვეყნის გამანადგურებელ აქციებს.

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში დაგეგმილი იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან. იმავე დღეს შეიარაღებული ბანდა თავს დაესხა საქტელერადიოდეპარტამენტსა და სატელევიზიო ანძას. იმავე რიცხვში და იმავე საათებში სოხუმში უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ ე.წ. „აფხაზურმა გვარდიამ“ ფორსირებულად შეუტია და დაიკავა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა, ხელყვეს შს მინისტრის სიცოცხლე. პრაქტიკულად მოახდინეს სამინისტროს პარალიზება, რითაც ბანდფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლის გადაუდებელი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა აღუკვეთეს.

გარდა ამისა, ტერორისტთა და დივერსანტთა ბანდები რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურების ქმედითუნარიანობის მოშლის, ანარქიის და ქაოსის გამოსაწვევად ხელყოფდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის, თანამდებობის პირთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ადამიანის კანონიერ უფლებებს.

1992 წლის 9 ივლისს ჩხოროწყუს რაიონში ტერორისტთა ბანდა თავს დაესხა საქართველოს იმჟამინდელ ვიცე-პრემიერს ალექსანდრე კავსაძეს და მის თანმხლებ პირებს, თავდამსხმელებმა მოკლეს ა.კავსაძესთან მყოფი ჩხოროწყუს რაიონის გამგებელი კანდიდ გოგუა, ხოლო კავსაძე გაიტაცეს და გადამალეს ჯერ სამეგრელოში, შემდეგ აფხაზეთში.

სამოქალაქო მშვიდობის და ეროვნული თანხმობის დასამკვიდრებლად 1992 წლის 3 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამოსცა მანიფესტი. ეროვნული ერთობის და საყოველთაო თანხმობის უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდნენ ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერნი და წარმომადგენლები მიუხედავად ქვეყნისა და ხალხის წინაშე მათ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისა. აღნიშნულის მიუხედავად, ბანდიტთა ფორმირებები ქვეყანაში, განსაკუთრებით, სამეგრელოსა და აფხაზეთში, კვლავ აგრძელებდნენ ორგანიზებულ შეიარაღებულ თავდასხმებს, რასაც შედეგად მოჰყვა აღნიშნულ ტერიტორიებზე მმართველობის ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების პარალიზება, თანამდებობის პირთა დევნა-ტერორი. სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშვიდობიანი მოსახლეობის კუთვნილი შენობების დანგრევა, ხანძრის გაჩენა, სარკინიგზო მაგისტრალების და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების განადგურება, მოსახლეობის დარბევა-აწიოკება, განზრახ მკვლელობები, სახელმწიფო-საზოგადოებრივი, კერძო ფირმების, მოქალაქეთა პირადი და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით სხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების გატაცება, ბანკების დარბევა-ძარცვა.

სამეგრელოსა და აფხაზეთში დისლოცირებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილებზე რაიონების და ქალაქების შს განყოფილებებზე, ცალკეულ მუშაკებზე, ბანდიტური თავდასხმებით გაიტაცეს: ქვემეხები, ყუმბარმტყორცნები, სხვადასხვა მოდიფიკაციის 686 ავტომატური იარაღი, 324 პისტოლეტი, ათეულობით სადაზვერვო, სადესანტო, ქვეითი ჯარის საბრძოლო სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა. საქართველოს ხელისუფლების დავალებით სამეგრელოს რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტით გათვალისწინებული მიტევებისა და შერიგების ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების საკითხებზე, ასევე სარკინიგზო და ავტომაგისტრალების დაცვასთან და ჯერ კიდევ ადრე მოტაცებული და უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი ალექსანდრე კავსაძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, 1992 წლის 11 აგვისტოს ქ. ზუგდიდში სვანეთის ქ. №41-ში მცხოვრებ გრიგოლ ქობალიას სახლში ბანდფორმირებების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის საკოორდინაციო შტაბის უფროსი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში დავით სალარიძე, შს სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე – ვალერიან როგავა, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილე ტარიელ მწარიაშვილი, ინფორმაციისა და დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი მამია ალასანია და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის რწმუნებული სამეგრელოს რეგიონში ზიბერტ ხაზალია.

ბანდის წევრებმა ალყაში მოაქციეს სამშვიდობო მოლაპარაკების მონაწილენი, ფსიქიკური ზემოქმედების მიზნით, სახლის ირგვლივ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან გახსნეს ინტენსიური ცეცხლი, დაატყვევეს უიარაღო პარლამენტარები, უცენზურო სიტყვებით მიაყენეს შეურაცხყოფა, სცემეს, დაადეს ხელბორკილები, მოიტაცეს და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ზუგდიდის და გალის რაიონის სხვადასხვა სოფლებში.

შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმების, ადამიანთა მოტაცების და სხვა უმძიმესი დანაშაულის ჩადენის ზემოთმითითებული ფაქტები დადასტურდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამ დანაშაულობებზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შემდეგ დადგენილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენებით.

ბანდების თარეშის აღკვეთის, რკინიგზის ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის, კანონიერების და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების ნორმალიზაციის მიზნით, ხელისუფლებამ რესპუბლიკის რკინიგზაზე 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით შემოიღო საგანგებო წესები, რომლის განხორციელება თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულ ძალებს, საქართველოს რკინიგზის სამმართველოს გასამხედროებული დაცვის ნაწილებს დაეკისრათ.

სახელმწიფო საბჭომ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს კატეგორიულად მოთხოვა არ დაეშვათ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში შეიარაღებული ძალების და ტექნიკის დისლოცირება. საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღებასთან დაკავშირებით 1992 წლის 10 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა:

„საჭიროა ლესელიძიდან სამტრედიამდე ორი-სამი ბანაკი მოეწყოს, ერთ-ერთი ბანაკი უნდა იყოს ლესელიძეში... არც ერთი მათი წარმომადგენელი არ შევა ქალაქებში, სოფლებში, ყველა ეს ბანაკი ქალაქიდან იზოლირებული იქნება. ქალაქებსა და სოფლებში წესრიგის დაცვა რჩება ადგილობრივ მილიციას, ხაზს ვუსვამ, რომ ქალაქებში, სოფლებში, თავშეყრის ადგილებში სამხედრო ნაწილები გამოყენებული არ იქნება და ისინი უშუალო კონტაქტში მოსახლეობასთან არ შევლენ... მხედველობაშია ის, რომ გაძლიერდება ხიდების დაცვა, გადასასვლელების დაცვა და მთელი ის ინფრასტრუქტურა, რომელიც დაკავშირებულია რკინიგზის მოძრაობასთან. აქ ჩვენ გვიჭირდა ფინანსური საკითხის მოგვარება. აი, ბატონ თენგიზთან (სიგუა) ერთად დიდხანს ვთათბირობდით ამაზე და მივედით დასკვნამდე, რომ გვირჩევნია დაცვაზე გავხარჯოთ მეტი ფული, რადგანაც ზარალი ათჯერ, ათასჯერ მეტია. უკვე 10 მილიარდს მიაღწია“.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით რკინიგზის და სხვა მაგისტრალების დაცვის უზრუნველსაყოფად შეიარაღებული ძალების გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე თავდაცვის სამინისტროს მთავარ შტაბში, დამუშავთა სრულყოფილი გეგმა, სქემები, განისაზღვრა დისლოკაციის ადგილები. გეგმა არ ითვალისწინებდა ოპერაციაში მძიმე სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებას.

სახელმწიფო საბჭოზე გეგმის განხილვის და დამტკიცების შემდეგ, პირადად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ რესპუბლიკის იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს დაავალა შეიარაღებული ძალების გადაადგილების და მოქმედების გეგმა დაუყოვნებლივ შეეთანხმებინა აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, პირადად ვლადისლავ არძინბასთან, რის შესახებაც იგი წინასწარ იყო ინფორმირებული. ეს დავალება კიტოვანმა არ შეასრულა.

დადგინდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ შეიარაღებული ძალების გადაადგილება მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულებელყოფით, მძიმე სამხედრო ტექნიკის დასახლებულ პუნქტებში დემონსტრირებით, რამაც მეამბოხე სეპარატისტებს პროვოცირების საშუალება მისცა.

1992 წლის 14 აგვისტოს, დღის 12 საათზე აფხაზეთში გადაადგილებულ შეიარაღებულ ძალებს მეამბოხეებმა მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში. მოკლეს და დაჭრეს პოლიციის რამდენიმე მუშაკი. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გააგრძელეს გზა და მიაღწიეს სოხუმს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები სრულყოფილადაა დადგენილი საქმეზე შეკრებილი დოკუმენტური მასალებით, მრავალრიცხოვანი მოწმის, თვითმხილველთა ჩვენებებით და ნივთიერი მტკიცებულებებით.

ამრიგად გამოძიებით დადგინდა:

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილება მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 1 დეკემბრის კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილება განაპირობა უკიდურესმა აუცილებლობამ: ქვეყნის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე, სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე ორგანიზებული ბანდების სისტემატური თავდასხმების და, აქედან გამომდინარე, კატასტროფული კრიმინოგენური ვითარების აღკვეთის აუცილებლობამ.

3. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ შტაბში შედგა და დამტკიცდა დადგენილებით გათვალისწინებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და განხორციელების სრულყოფილი გეგმა, რომელიც გამორიცხავდა ექსცესს ძალოვან სტრუქტურებს და მოსახლეობას შორის.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (თ. კიტოვანი) არ შეასრულა სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარის დავალება, საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებამდე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუთანხმა სარკინიგზო და სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე თავდასხმების აღსაკვეთად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. საგანგებო მდგომარეობის განხორციელების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებში შეიარაღებული ძალების გადაადგილება მოახდინა სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებით, რაც მეამბოხე აფხაზმა სეპარატისტებმა აგრესიული ზრახვების აღსასრულებლად გამოიყენეს. ოჩამჩირის რაიონში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ცეცხლი გაუხსნეს, მოკლეს და დაჭრეს პოლიციის მუშაკები და ქვეყნის ძალოვანი უწყებები ჩაითრიეს საბრძოლო მოქმედებებში.

* * *

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის ქ. სოხუმში შესვლის შემდეგ აფხაზ ექსტრემისტთა სნაიპერებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს, რამაც უკიდურესად დაძაბა ვითარება.

1992 წლის 17-18 აგვისტოს ზღვიდან გადასხმული დესანტი განლაგდა დაბა ლესელიძეში.

18 აგვისტოს ლესელიძის მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე საქართველოს გვარდიის ნაწილი შევიდა გაგრაში, 19-21 აგვისტოს გაგრაში შევიდნენ სხვა საჯარისო ქვეგანაყოფებიც.

საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის პირველსავე დღიდან აქტიურ ღონისძიებებს ანხორციელებდა ცეცხლის შეწყვეტის, დივერსიული და ტერორისტული აქტების აღკვეთის, სატრანსპორტო კომუნიკაციების ერთობლივად დაცვის განხორციელებისა და მატარებლებისათვის ბადრაგის გაყოლების პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

1992 წლის 19-20 აგვისტოს ქ. სოხუმიდან გაყვანილი იქნა საქართველოს ეროვნული არმიის ნაწილები. ქალაქში წესრიგის დაცვას არეგულირებდა პოლიციის და შინაგანი ჯარის ქვეგანაყოფები ქალაქის მოსახლეობასთან ერთად. გუდაუთაში განლაგებული აფხაზი ხელმძღვანელები და მათი წამქეზებლები ვითარების დასარეგულირებლად კონსტრუქციულ დიალოგზე უარს აცხადებდნენ.

25-26 აგვისტოს რთული ვითარება შეიქმნა გაგრის ზონაში. აფხაზეთის რეგიონში რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთზე რუსეთის ფედერაციის სახელისუფლო შესაბამისი სტრუქტურების აშკარად ხელისშეწყობით დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიელ შეიარაღებულ ბოევიკთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების ინტენსიური გადმოსვლა, რამაც საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინაპირობა შექმნა. 26-28 აგვისტოს აფხაზ ბოევიკთა რაზმებმა რამდენიმე ლოკალური თავდასხმა განახორციელეს, ხოლო 29 აგვისტოს სეპარატისტებმა დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ზეპირი შეთანხმება, გაგრის ზონაში თავს დაესხნენ საქართველოს შეიარაღებულ შენაერთს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. იმავე დღეს ქვეყნის საჯარისო შენაერთებმა გადალახეს მდინარე გუმისთა, მაგრამ წინსვლა შეაჩერეს აფხაზეთის ტერიტორიის მითითებულ პარამეტრებში განლაგებულ რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილებთან შეიარაღებული მეტაკების რეალური საფრთხის გამო.

30-31 აგვისტოს, ასევე ინტენსიურად გრძელდებოდა აფხაზ და ჩრდილო კავკასიის შეიარაღებულ ბოევიკთა თავდასხმები გაგრის ზონაში განლაგებულ საქართველოს საჯარისო ფორმირებებზე და მოსახლეობაზე.

1992 წლის 3 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება აფხაზეთის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის და კრიზისის დაძლევის კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა სამხედრო, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების კომპლექსურ ღონისძიებებს.

ის მე-4 გვ.

დასკვნა

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის გადაადგილების და სამხედრო დამარცხების მიზეზების შესახებ



ეს ფოტო აქ გარდაცვლილმა ჩვენმა კოლეგამ გურამ მგალობლიშვილმა გადაიღო 1993 წლის 27 სექტემბრის დილას: იწვის დაცემული სოხუმი.



დასკვნა

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის გადაადგილების და სამხედრო დამარცხების მიზეზების შესახებ



(მესამე გვერდიდან)

უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების, დაშლის და აფხაზეთის ტერიტორიიდან გაძევების, ახალი შეიარაღებული ჯგუფების შემოსვლის აღკვეთის და კონფლიქტის ზონის მთელ პერიმეტრზე მკაცრი კონტროლის უზრუნველსაყოფად შეიქმნა საკონტროლო საინსპექციო კომისია.

დადგინდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა აღებული ვალდებულებანი, მაშინ, როდესაც გუდაუთაში განთავსებული აფხაზი ხელმძღვანელობა არავითარ რეაგირებას არ ახდენდა საქართველოს საჯარისო ნაწილებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე ბოევიკთა განხორციელებულ თავდასხმებზე, რამაც ვითარება უკიდურესად დაძაბა. გაგრის ზონაში რუსეთის ტერიტორიიდან გადმოხვეწილ ბოევიკთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები განსაკუთრებული სისასტიკით აწიოკებდნენ მოსახლეობას. არ განხორციელდა მოსკოვის შეთანხმების მოთხოვნა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შემოჭრილი შეიარაღებული ფორმირებების მიერ 15 სექტემბრამდე აფხაზეთის რეგიონის დატოვების შესახებ. ამ ქმედებებს საკონტროლო საინსპექციო კომისია ჯეროვან შეფასებას არ აძლევდა საქართველოს ხელისუფლების არაერთგზის მოთხოვნის და პროტესტის მიუხედავად.

1992 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და შეთანხმებების შესრულების კონტროლის, სამინისტროებისა და უწყებების, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კოორდინაციის კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავების, რეგიონში სახელმწიფო ინტერესების, მოქალაქეთა და ეროვნებათა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი.

ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო შენაერთების ერთიანი ხელმძღვანელობის და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად ქ. სოხუმში შეიქმნა მთავარი შტაბი და მასთან არსებული გაფართოებული სამხედრო საბჭო.

იმავე დღეს აფხაზი სეპარატისტების და ჩრდილოეთ კავკასიელ ბოევიკთა ფორმირებები მოულოდნელად თავს დაესხნენ გაგრაში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. განახორციელეს აშკარა აგრესია და 2-5 ოქტომბერს დაიპყრეს გაგრა, ლესელიძე, განთიადი და მიმდებარე ტერიტორიები, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები, მშვიდობიანი ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა უსასტიკესი ფორმებითა და მეთოდებით მკვლელობა, წამება, დარბევა, საცხოვრებელი სახლების და პირადი ქონების, ისტორიის და კულტურის ძეგლების განადგურება და ძარცვა, ქალების, მათ შორის, მცირეწლოვანი გოგონების გაუპატიურება, მოქალაქეთა მასიური დეპორტაცია მოჰყვა.

ამრიგად, მეამბოხე სეპარატისტების და მათი თანამზრახველების მიერ 1992 წლის ოქტომბერში გაგრაზე, ლესელიძეზე და განთიადზე თავდასხმის და ამ ტერიტორიების დაუფლების და ოკუპაციის ფაქტზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა:

გაგრა-ლესელიძის მონაკვეთზე საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე ორგანიზებული ბანდების სისტემატური თავდასხმების აღკვეთის მიზნით 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში გადაადგილებული საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის ნაწილი, კერძოდ: ეროვნული გვარდიის და გაგრის ბატალიონების, ასევე, „შავნაბადას“ და „მხედრიონის“ ფორმირებათა მებრძოლები 17-21 აგვისტოს დისლოცირებული იქნენ ქ. გაგრაში და მის მისადგომებთან.

გამოძიებით უცილობლად დადგინდა, რომ მეამბოხე აფხაზი სეპარატისტები თადარიგში მყოფი რუსი დაქირავებულების და ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკების მონაწილეობით ამზადებდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე ორგანიზებულ თავდასხმას.

სუვერენულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სეპარატისტთა მიერ პროვოცირებული შეიარაღებული დაპირისპირების შემდგომი ესკალაციის ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლებამ 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერა შეთანხმებას საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, რის გამოც გაგრასა და მიმდებარე ტერიტორიიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი გაყვანილი იქნა. სეპარატისტებმა მზაკვრულად გამოიყენეს საკონტროლო, შემრიგებლური კომისიის არაეფექტიანი მუშაობა და 2 ოქტომბერს მათთან დანაშაულებრივ ალიანსში მყოფ მძიმე ტექნიკით და სხვა საომარი საშუალებებით აღჭურვილ ბოევიკებთან ერთად მოულოდნელად გააჩაღეს საომარი მოქმედება გაგრა-ლესელიძე-განთიადის პლაცდარმზე, დაარღვიეს მოსკოვის ცნობილი შეთანხმების ყველა პუნქტი. გაგრის მონაკვეთზე საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა და დაიჭრა ასეულობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე.

გამოძიებით შეკრებილი მტკიცებულებებით გაგრა-ლესელიძე-განთიადში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხება განაპირობა:

1) საქართველოს შეიარაღებული ძალების მცირერიცხოვან კონტინგენტზე მეამბოხე სეპარატისტების და მათი მხარდამჭერი საომარი მოქმედებების საწარმოებლად სპეციალურად გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მრავალრიცხოვანი ბოევიკის მიერ ორგანიზებულმა და მოულოდნელმა თავდასხმამ.

ამასთანავე გამოიკვეთა:

1. საქართველოს სამხედრო ფორმირებებში დისციპლინის დაბალი დონე და სუსტი ორგანიზაცია.

2. სამხედრო სტრატეგიის და ტაქტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ შტაბებში კვალიფიციურ მეთაურთა უკმარისობა.

3. საჯარისო ფორმირებებში პირადი შემადგენლობა არ ფლობდა საბრძოლო მოქმედებების ჩვევებს.

ამასთან დაკავშირებით, გამოძიება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადაადგილებული შეიარაღებული ძალები შეესაბამებოდა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 1 დეკემბრის კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით წინასწარ დასახულ ამოცანებს: დაეცვათ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები და რკინიგზის ტრანსპორტი ორგანიზებული ბანდების ხელყოფისგან. სხვა ამოცანა ჯარის ნაწილის წინაშე არ იდგა და, ბუნებრივია, იგი არ იყო მზად საომარი მოქმედებების წარმოებისა და მასში მონაწილეობის მისაღებად.

4. სეპარატისტთა და მათი დამხმარე მყარად ორგანიზებული შეიარაღებული ძალების მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ საბრძოლო მოქმედებების წარმართვისას ვერ იქნა უზრუნველყოფილი სხვადასხვა სახეობის საჯარისო დანაყოფების მეთაურთა ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული მოქმედება.

5. მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეტაკებისას საჯარისო ნაწილების პირად შემადგენლობაში თავი იჩინა ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ, რამაც გამოიწვია პანიკა, ქაოსი და პოზიციების მიტოვება.

**საქართველოს
გენერალური
პროკურატურა.**

კონტროლის პალატა

დევნილების შემწეობაზე ხელის მოთბობა არავის შერჩება

ოცდაშვიდ სექტემბერს შვიდი წელიწადი მოიყრის თავს სოხუმის დაცემის ტრაგიკული თარიღიდან.

შვიდი წელიწადია უნიათობას ვაყვედრით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აფხაზეთში ქართველთა გენოციდის უღიარებლობის თვალსაზრისით, კვლავაც მოვუწოდებთ მაღალი ტრიბუნიდან ახლებური აზროვნებისაკენ, მაგრამ კოფი ანანი რისი მშველელია, როცა თავად ჩვენ წავუყრუებთ აფხაზურ-ქართულ კონფლიქტში რუსეთის დამპყრობლურ როლს, ამასობაში კი სამურზაყანოს სკოლებში აფხაზურ ენას გვიმკვიდრებენ დიმიტრი გულიას შრიფტით; როცა დევნილი ქართველების შინ უპირობო მიბრუნების სანაცვლოდ, საუკუნის წინანდელი რეპატრიანტების — მუჰაჯირების — მუსლიმანი აფხაზების ჩამოსაყვანად დაუკაპიწებია მკლავები არძინბას; როცა სიდუხჭირით გაწამებულმა ხალხმა ზურგი შეაქცია მთავრობის გაუთავებელ დაპირებებს და სიკვდილის შიშის მერამდენე დაძლევით იავარქმნილ კერიებს მიუბრუნდა.

ყოველივე ზემოთქმულსა და ჩვენი კორესპონდენტის სხვა მრავალ შეკითხვას უპასუხებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, კონფლიქტის წლებში გალის რაიონის შტაბის უფროსი ანზორ ზუნჯუა.

— ბატონო ანზორ, თქვენი ბიოგრაფიის კაცისათვის, ვიცი ამ წუთას რაოდენ ძნელია აფხაზეთის პრობლემებზე საუბარი, და მაინც, იქნებ გაგვიხსენებინათ ყველაზე ამაღლებული თუ ტრაგიკული მომენტი თქვენი ცხოვრებიდან.

— ბედნიერება და უბედურება განუყრელი ძმებია თურმე. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია თავად პიროვნება. ბედნიერი ჰგონია კაცს თავი, რომელიც ხალხის ნაყვლევი ფულით აგარაკებს იშენებს წყნეთსა თუ კოჯორში და ცხვირაბზუებული თვალს არიდებს მეზობლის გიტლიკანა ბავშვებს. იმაზე საცოდავი დაიარება ქვეყნად?

შვიდი წელიწადია სამასი ათასი უბედური დავიარებით აფხაზეთიდან, მაგრამ ნუ გეგონებათ დანარჩენ ქართველებზე ბედნიერი იყვნენ, ისინიც ჩვენს დღეში არიან — სამშობლოწართმეულები. თითქოს ბედნიერებაა ჩემთვის შვილიშვილის სალომეს შეძენა, მაგრამ მამის საფლავს აწურული რომ მიაკითხავ ხოლმე ეს ორი წელიწადია, პედაგოგი დედა თვალებამოღამებული რომ გეაყურადებს მშობლიური ეზო-კარიდან და მხოლოდ სიზმრებში შეგვიძლია დავუბრუნდეთ ჩვენს განუმეორებელ ბავშვობას? მე ცხოვრებაში მრავალჯერ მიცინია, მაგრამ ერთადერთხელ ვიტირე მდუღარე ცრემლით და თანაც აფხაზეთის დაცემის ბოლო დღეს, როცა ლიპიანი გენერლები „ბეტეერებით“ გარბოდნენ ენგურს გადაღმა, ხოლო ცენტრალურმა გზამ დაფეთებული ადამიანები, აბღავლებული პირუტყვი და ასიგნალებული მანქანები ვერ დაიტია. გავრბოდით კუდამოძუებით, ლამის გადაგვეთელა ერთმანეთი, ოღონდ საკუთარი სიცოცხლე გადაგვერჩინა. მივაცილებდით ჩემი შტაბის ბიჭები ამ შეძრწუნებულ მასას და საკუთარი უმწეობის გამო ვქვითინებდი. ეტყობა, მაშინ გამოვიგლოვე ყველაფერი. ერთადერთხელ მამის ცხედართან შემახსენა თავი იმ განცდამ, ეგ იყო და ეგ.

— ბატონო, ანზორ, ვატყობ შეკითხვა ღია ჭრილობაზე მარილის მოყრად გამომივიდა, მაგრამ კაცნი ვართ და რეალობას თვალები ხომ უნდა გავუსწოროთ? სოხუმის ამასწინანდელი ორმხრივი ხელშეკრულების შემდეგ როგორ გესახებათ აფხაზეთის დევნილი მთავრობის სტრუქტურების ბედ-იღბალი?

— მართალია, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება უპრეცედენტოა მთელს მსოფლიოში, საკუთარი სტრუქტურები აქვს და ავად თუ კარგად უმკლავდება ყოველდღიურ პრობლემებს, მაგრამ ეს ყველაფერი მისი თვინიერების საზღაური მგონია. იმართება ორმხრივი მოლაპარაკებები, თბილისში ჩამოდის არძინბა, ჟენევაში სისტემატურად იგზავნება დელეგაციები ოთხმხრივ მოლაპარაკებებზე, ბატონი თამაზ ნადარეიშვილი კი შვიდი წელიწადია აფიქსირებს თავის პოზიციას, მოითხოვს გაეროს მიერ ქართველთა გენოციდის აღიარებას აფხაზეთში, მოითხოვს მერვე მუხლის ამოქმედებას, რომელიც ფაქტობრივად ძალის დემონსტრირებას ნიშნავს და არა საომარი მოქმედებების გაშლას, მაგრამ განცხადებები განცხადებებად რჩება. ალბათ, მეტი სიმწვავე იყო საჭირო და აქ აფხაზეთის სტრუქტურები დიახაც შემაფერხებელი ბორკილები მგონია. თითქოს ვერ ველევით რაღაცას. გვერჩივნა კი ფარაჯები არ გაგვეხადა, ქუჩებში ვყოფილიყავით დაყრილები მრავალრიცხოვანი ჩვენი თანამოძმეების მსგავსად, იქნებ მაშინ უკეთ წარმართულიყო საქმე.

ომით წართმეულის მშვიდობიანი ხონჩებით დაბრუნება ისტორიას არ ახსოვს და რაღა ჩვენ ვიქნებით ასეთი იშვიათი გამონაკლისი ბედნიერები? ბატონ თამაზ ნადარეიშვილის პოზიცია გაცილებით მართებული მეჩვენება, ვინაიდან არძინბას სისხლიანი რეჟიმის პირობებში იქ ქართველ ერს აფხაზებთან ნორმალური თანაარსებობა არასდროს უწერია. სანამ საერთაშორისო სამართლით არ მოეკითხება პირსისხლიან სეპარატისტებს, დევნილების უპირობოდ მიბრუნების შემთხვევაშიც კი, ხალხის ცნობიერებიდან შიშის სინდრომს ველარაფრით აღმოვფხვრით. დამინებული კაცი კი არაფრით განსხვავდება მონისაგან.



— ვიცით, პროფესიით ეკონომისტი ბრძანდებით, ფინანსებისა და კრედიტების სპეციალისტი. კონტროლის პალატაში კონფლიქტის შემდეგ მოხვედით?

— რვა წლის წინათ.

— ასეთი სოლიდური სტაჟის პატრონი, ალბათ მშვენიერად ერკვევით ყოფილი და დღევანდელი ხელმძღვანელობის ხელწერაში.

— ბევრი თანამდებობა გამოვიცვალე ამ ცხოვრების გზაზე, სად არ მიმუშავია, რიგით ეკონომისტად თუ მეურნეობის დირექტორად, მაგრამ მაკონტროლებელი ორგანოებიდან ქვეყნის ჭირ-ვარამი მეტი გამჭვირვალობით მოჩანს თურმე. ყველაფერი ხელისგულზეა და განსაკუთრებული პატიოსნებით გამორჩეული ადამიანები სწორედ აქ არის საჭირო. არადა, როგორი სიტუაციაა, სულმოკლე ხალხმა დააქცია ქვეყანა და აქ მაკონტროლებელი ორგანოები ცოტას როდი სცოდავენ. აბა, კარგად დააკვირდით, ვინმეს თუ უნახავს მათი წუწუნი? ადვილი მისახვედრია, რომ მათ შემოსავლის სტაბილური წყარო აქვთ.

მე მივესალმები კონტროლის პალატაში ბატონ სულხან მოლაშვილის მობრძანებას და გულწრფელად მიხარია ისიც, რომ თავმჯდომარის პოსტზე მისი მოსვლის შემდეგ დავინიშნე.

ჩვენი ქვეყნის მთავარი გასაჭირი განუკითხაობა, დაუსჯელობის სინდრომი მიმაჩნია. სად გაგონილა; კაცმა სოფელი დააქცია და სანაცვლოდ სამსახურიდან განთავისუფლება ეაკმარეთ. ჯაჭვური რეაქციის მსგავსად სახელმწიფო უამრავი რგოლის ჰარმონიული თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდება ხოლმე და აქ კონტროლის პალატის თუნდაც უზუსტესი შემოწმება ვერანაირ შედეგს ვერ მოგვცემს, თუკი თითოეულ დანაშაულებრივ ფაქტზე დროულად არ მოვახდენთ რეაგირებას. საზოგადოების მიზანი არ უნდა იყოს მაინცდამაინც დაჭერა, დაპატიმრება, ადმინისტრაციული დასჯა, მაგრამ როდესაც მომთხოვნელობა აუცილებელია, იქ წაყრუება, თვალის დახუჭვა, დანაშაულებრივია.

წარუტაცია მავანს საზოგადო საკუთრება? კეთილი ინებე, ამხილე კიდეც და ყველაფერი იღონე იმისთვის, რომ უკლებლივ უკან მოატანინო!

ამ მხრივ ბატონი სულხანი მართლაც შეუდარებელია. სისტემაში მისი მოსვლიდან, სულ რაღაც ორიოდე თვეში უამრავი საქმეა აღძრული და კონტროლზე აყვანილი. გაივლის გარკვეული პერიოდი და, დარწმუნებული ვარ, სამართალდამცავ ორგანოებსაც მოეკითხებათ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

ფამილარობაში არ ჩამომერთმევა, თუკი ხმამაღლა ვიტყვი, რომ ბატონი სულხანის დამოკიდებულება აფხაზეთის კონტროლის პალატისადმი განსაკუთრებულია. პირველი შეხვედრიდან ახლაც ყურში ჩამესმის მისი ფრაზა: ანზორ, აფხაზეთი მარტო თქვენი კი არა, სრულიად საქართველოს ღია ჭრილობაა. უთანასწორო ბრძოლა დღესაც გრძელდება და აქ, კონტროლის პალატაშიც თუ დავმარცხდებით, აფხაზეთსაც ველარასდროს დავიბრუნებთ. მიდი ახლა და ამისთანა პიროვნებას უღალატე!

დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია ახალი კანონპროექტი, რომელიც ფართო უფლებებს გვანიჭებს და მერე ვნახოთ ვინ — ვის.

იხ. მე-6 გვ.

ჩვენ

იმედია, ღია ცის ქვეშ არ დარჩებიან...

სხვის კარზე სამადლოდ შეკედლებული კაცის ბედი რომ უმძიმესი ყოფილა, ამაში ჩვენივე უნიათობითა და უგერგილობით აფხაზეთის დაკარგვის გამო თავადვე დავრწმუნდით, როცა საკუთარ სახლ-კარსა და მშობლიურ კუთხეს იძულებით მოწყვეტილი ათეულ ათასობით ჩვენივე სისხლი და ხორცი ლტოლვილად იქცა და სხვისი ხელის შემყურე გახდა.

მათი ეს მძიმე და გაუსაძლისი ხვედრი მაშინ მთელმა საქართველომ გაითავისა და ხელისუფლებასთან ერთად დღემდე, ავად თუ კარგად, შეძლებისდაგვარად თანადგომასაც უწევენ, მაგრამ, სამწუხაროდ, თურმე საწინააღმდეგო ფაქტებიც ყოფილა. ამაში ამას წინათ, რედაქციაში სოხუმელი ლტოლვილის ნანული სერგიას სტუმრობამაც დამარწმუნა, რომელმაც განცხადებას ზედ მუდარით აღსავსე თხოვნაც მოაყოლა.

ნანული სერგიას მიერ რედაქციის შეწუხება კი, მისი და ასევე მათსავით ლტოლვილი ომარ ქვანიას ოჯახის გამოუვალმა მდგომარეობამ განაპირობა. გაჭირვებაში ჩავარდნილ, ამ, ისედაც გასაცოდავებულ ხალხს თანადგომის მაგიერ დღეს ბინიდან გამოსახლებას — რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ — ხელოვანი კაცი, პროფესიით მხატვარი ზაქარია თელია უპირებს.

საქმის ვითარებაში მკითხველის უკეთ გარკვევის მიზნით უმჯობესია თავად მათი განცხადების შინაარსს გავეცნოთ, რომელსაც ზაურ მიმინოშვილი, ნანული სერგია, ომარ ქვანია და ზაირა უნგიაძე აწერენ ხელს. „საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შუამდგომლობით, საბურთალოს რაიონის გამგეობამ (ახლანდელი ვაკის რაიონი) პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შვიდ ოჯახთან ერთად ჩაგვასახლა ნუცუბიძის პლატოს მესამე მიკრორაიონის მეორე კვარტალში მდებარე სავაჭრო ცენტრის გამოთავისუფლებულ შენობაში. ჩვენი ჩასახლების შემდეგ შენობის ნაწილი (150 კვ. მეტრი) ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარა-გამოსყიდვით გადაეცა ზემოაღნიშნულ პიროვნებას სახელოსნოს მოსაწყობად. აღნიშნულ ფართში მოხვდა ჩვენი ორი ოჯახი (აქედან ზ. მიმინოშვილის ოჯახს უჭირავს 30 კვ. მეტრი, ხოლო ზ. უნგიაძეს 10 კვ. მეტრი ფართი).

აღნიშნულ ფართზე ჩვენს ოჯახებს არანაირი პრეტენზია არა გვაქვს, რადგან ჩვენ აქ ჩასახლებულები და ჩაწერილები ვართ დროებით — აფხაზეთში დაბრუნებამდე“.

ახლა კი ზაქარია თელია მოითხოვს ბინიდან მათ გასახლებას, ხოლო თუ სად წავლენ ისინი, ეს მას სულაც არ ადარდებს. სამაგიეროდ ივიწყებს მთავარს. როცა მასზე ეს ფართი გაიცა, მისთვის ცნობილი იყო ის, რომ აღნიშნულ ნაწილს მათი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ დაეპატრონებოდა, რაზედაც იგი იმ დროს თანახმა იყო, მაგრამ... იჯარით აღებული ფართის პრივატიზაციის შემდეგ მან სრულიად საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა და მათ სასამართლოში უჩივლა, თან ცილიც დასწამა, თითქოს ისინი აქ ძალის გამოყენებით იყვნენ შეჭრილნი, რაც, რასაკვირველია, მტკნარი სიცრუეა. აქ, ალბათ, ისიც საკითხავია, თუ რამდენად სამართლიანად მოახდინა მან ფართის პრივატიზაცია.

მის მფლობელობაში ამჟამად დარჩენილ (110 კვ. მეტრი) ფართში მას, რასაკვირველია დროებით, ლტოლვილთა წასვლამდე, თავისუფლად შეუძლია სახელოსნოს მოწყობა, მაგრამ რატომღაც ჯიუტად ცდილობს დარჩენილი (40 კვ. მეტრი) ფართის მიერთებას და ლტოლვილებს იქიდან გაყრას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში 5-ჯერ გაიმართა სასამართლო პროცესი და მოსამართლეებსაც ხან ერთი და ხან მეორე მხარის სასარგებლოდ გამოჰქონდათ გადაწყვეტილება.

მიმდინარე წლის აპრილში კი თელიამ საოლქო სასამართლოს მიმართა, რომელმაც გააუქმა ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, აღნიშნულ ფართში ლტოლვილთა დატოვების შესახებ და ისინი იქ კონფლიქტის მოგვარებამდე 6 თვის ვადით დატოვა.

კონფლიქტის მოგვარებაში სასამართლომ თუ აფხაზეთის საკითხის დადებითად გადაწყვეტა იგულისხმა (და თუ ეს ახდა), ბარაქალა მათ, რადგან ლტოლვილებს დედაქალაქში ყოფნას, საკუთარ სახლ-კარში ყოფნა რომ ურჩევნიათ, ამაში, ცხადია, ეჭვი არავის ეპარება. ხოლო თუ მათი ეს ვარაუდი არ გამართლდა, გამოდის, რომ ჩვენ აფხაზეთიდან იძულებით გამოყრილებს თბილისიდანაც ვერეკებით, ოღონდ ამჯერად მშვიდობიანად.

ქუჩაში რეალურად დარჩენის საფრთხემ ისინი აიძულა დახმარებისათვის ხელახლა მიემართათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის, რომელიც, თავის მხრივ, რადგან სამაგიერო ფართის გამოყოფა არ შეეძლო, სასამართლოს წინაშე სოხუმში დაბრუნებამდე მათი იქ დატოვების შუამდგომლობით შეევიდა. ასეთივე თხოვნით მიმართა სასამართლოს ვაკის რაიონის გამგეობამაც, მაგრამ...

ამასობაში ზ. თელია (ამ ეტაპზე მისი მოთხოვნის მორალურ მხარეს თავი რომ დავანებოთ) გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ლტოლვილებს ერთი „დიდი მოხელით“ აშინებს, რომელსაც, მისი თქმით, თურმე სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

თუ რამდენად ძლიერია მხატვრის პროტეჟე, ეს „დიდი მოხელე“, ამას, ალბათ, საქმის შემდგომ ინსტანციაში განხილვის შემდეგ გავიგებთ.

მანამდე კი არცთუ ისე სასიამოვნო პერსპექტივის წინაშე მდგომი ლტოლვილები თავის მხრივ დახმარებას რედაქციას და ხელისუფლების წარმომადგენლებს სთხოვენ და იმედოვნებენ, რომ საქმეში მათი და ჩვენი ჩარევის შემდეგ ღია ცის ქვეშ არ დარჩებიან.

**თეიმურაზ
კინწურაშვილი.**

P. S. ცნობისათვის: ზაურ მიმინოშვილი მეომართა კავშირის წევრი და ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლების აქტიური მონაწილეა, რასაც თავის არეში მიღებული ჭრილობებიც ადასტურებს, ხოლო ომარ ქვანიას ერთადერთი ვაჟი აფხაზეთის ომში დაეღუპა.

თ. კ.

გვწერენ

რა ხდება გალის რაიონის ენგურისპირა სოფლებში?

ამ წერილში ვისაუბრებთ გალის რაიონის აღმოსავლეთ სასაზღვრო სოფლებზე — ოტობაიაზე, მეორე ოტობაიაზე, ფიჩორზე, გაგიდასა და განახლებაზე. ეგრეთ წოდებული ოტობაიას საექიმო უბანზე, რომელიც ამ სახით 1931 წლიდან არსებობდა. რასაც აღვნიშნავთ ოტობაიას საექიმო უბნის მოსახლეობაზე, იგი მთლიანად ესადაგება ნაბაკევის საექიმო უბნის მოსახლეობასაც, რომელშიც შედის ნაბაკევი, ზემო და ქვემო ბარღები. ოტობაიას საექიმო უბანს ემსახურებოდა 35-საწოლიანი საავადმყოფო სამშობიარო საწოლებით, გაერთიანებული საექიმო ამბულატორია და ოთხი საფერშლო-საბებიო პუნქტი.

1998 წლის მაისის ტრაგედიის შედეგად ცეცხლით განადგურდა საავადმყოფოს სამივე კორპუსი, ამბულატორიის შენობა, აფთიაქი, ექიმთა საცხოვრებელი ბინა. სოფლებში გადაწვეს 588 ოჯახი, ომის დროს გადარჩენილი ოჯახები იმის შემდეგ განადგურდა. სახლების უმრავლესობიდან აყრილია იატაკი, მოხსნილია სახურავი და კარ-ფანჯრები. ხალხი ქოხმახებში, საძროხე კარვებში, დამწვარი სახლების ცემენტის კიბის ქვეშ წარმოუდგენელ ნესტიან, ანტისანიტარიულ პირობებში ცხოვრობს. მაისის სისხლიანი ტრაგედიის შედეგად სოფლები დაიცალა, ხალხი ლტოლვილებად გადავიდა საქართველოს, თუ რუსეთის სხვადასხვა რაიონებში.

გალის რაიონის მოსახლეობის იმდროინდელმა აღრიცხვამ აჩვენა, რომ ადგილზე ღრმა მოხუცები, ინვალიდები და დალოგინებული ავადმყოფები — სულ 530 კაცი დარჩა.

აფაზეთის მთავრობის მოწოდების შედეგად (ითხოვდნენ დაბრუნებულიყვნენ ლტოლვილები საცხოვრებელ ადგილებში და მათ ფიზიკურ დაცვას ისინი კისრულობდნენ) გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სოფლებში დაბრუნება.

წლეულს, მედიცინის მუშაკებმა კარდაკარ შემოიარეს და აღწერეს რაიონში სტიქიურად შემოსული მოსახლეობა. აღწერის მონაცემებით, სულ შემოსულია 1552 კომლი, 5294 სული, პენსიონერი 721,0-დან 14 წლამდე 1245 ბავშვი, ორსული 8. ოთხ სოფელში — ოტობაიაში, II ოტობაიაში, ფიჩორსა და გაგიდაში გახსნილია საშუალო სკოლა, სადაც სწავლობს 403 მოსწავლე, მათ ასწავლის 58 მასწავლებელი. სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ყველაზე უკეთ გამოიყურება ოტობაიას საშუალო სკოლა (დირექტორი ილიკო ცეკვაშვილი). აფხაზებმა ამ სოფლების არაერთხელ დარბევის შემდეგ, მათ პატრულირებას თავი დაანებეს და ჭუბერხინჯისა და რეფისაკენ გადაიწიეს.

აღნიშნულ სოფლებს იცავს მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო ძალების შტაბი გენერალ მაიორ იურდანოვის მეთაურობით, რომელიც მოთავსებულია სოფელ ოტობაიას სასოფლო ცენტრში. ხალხს ხშირად აკითხავს და საიმედო სიტყვებით ისტუმრებს სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალი კოროპკო. მართალია, ამ სოფლებში პატრულირება შეწყვიტეს, მაგრამ ბოევიკები ზოგჯერ ბეტეერებით შემოიჭრებიან, ვიღაც ვიღაცეებს პატიმრობაში აიყვანენ და გარბიან, რაც ხალხში ძლიერ ნერვიულ სტრესებს იწვევს, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეთა შორის. მოსწავლეებს შიშის ზარს სცემს ბეტეერის, ტანკების თუ სატვირთო მანქანების გამოჩენა, ვერტმფრენების დაშვება სკოლის ეზოში და ასე შემდეგ.

გაჭირვებული ხალხის უმძიმესი ეკონომიური, კრიზისული და სტრესული მდგომარეობის გამომხატველია ის, რომ ამ ბოლო 2 წელიწადში შვიდმა კაცმა თავი ჩამოიხრჩო.

სკოლის მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმებამ მძიმე დაავადებები გამოავლინა, რაც გამოწვეულია არსებული პირობებით.

შემოწმდა 403 მოსწავლე. აქედან 55 აღმოაჩნდა გულის სისხლძარღვთა ფუნქციონალური ნევროზი, გულის ცემით წუთში 90-100. 38 ბავშვს აღმოაჩნდა ანტისანიტარიულ პირობებში ცხოვრებით გამოწვეული კანის დაჩირქებითი პიოდერმიტები, 18 ბავშვს არარაციონალური კვებით გამოწვეული ჰიპოვიტამინოზი. 32 ბავშვს სასუნთქ გზებში სიცხიანი და უსიცხო გრიპოზული მდგომარეობა, 3 ბრონქიალური ასთმა, 2 ნერვიულ-დეპრესიული მდგომარეობა შარდის შეუკავებლობით, 12 ბავშვი უჩიოდა უძილობას გამოწვეულს ფსიქოგენური დეპრესიებით. 54 წელიწადია, რაც ამ სტრიქონების ავტორი, სკოლებს სამედიცინო თვალსაზრისით ვამოწმებ, მაგრამ, ასეთი მძიმე სურათი არასოდეს მინახავს. რაც, რა თქმა უნდა, მძიმე სისხლიანი ომის შედეგებით არის გამოწვეული და სამწუხაროდ, დღესაც არ არის ჩამქრალი.

იხ. მე-6 გვ.

თვითმხილველი

ჩვენი თავი ჩვენვე დავამარცხეთ

როგორც აფხაზეთის ომის მონაწილემ და აფხაზეთში გაზრდილმა კაცმა, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ ომზე, რომელსაც აფხაზებისა და ქართველების ომს ეძახიან. ეს კი სწორი არ არის. საომარი ჩვენ და აფხაზებს არაფერი გვქონდა. აფხაზებსა და ქართველებს შორის მრავალი საუკუნის მანძილზე ნათესაური კავშირი იყო. არ არსებობს აფხაზეთში არც ერთი ქართული და არც ერთი აფხაზური ოჯახი, ერთიმეორეში ნათესაობა არ აკავშირებდეთ. გვქონდა კეთილმეზობლური ურთიერთობა, ერთად ვმუშაობდით, ვმეგობრობდით, ერთად ვიტანდით ჭირსა თუ ლხინს. მყავდნენ მეზობლები: ძმები სერგეი, ჯუნკა და ვოვა ლოპუები, ძმები ჭიჭიკო, ბორის და ფაზიკ ლეიბები და კიდევ მრავალნი, რომლებსაც ბრძოლაშიც რომ შემხვედროდნენ, ტყვიას არ ვესროდი; და, მე მგონი, ისინიც არ მესროდნენ, ვინაიდან კარგის მეტი მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრების პერიოდში ერთიმეორისათვის არაფერი გაგვიკეთებია. ამიტომ მინდა ვთქვა, რომ ეს ომი იყო რუსეთ-საქართველოს ომი და შეცდომა იყო, რომ თავის დროზე ეს არ დაფიქსირდა.

ჩემი აზრით, დღეს არ არის არც საქართველოში, არც რუსეთში და არც ჩრდილო კავკასიაში ნორმალურად მოაზროვნე კაცი, რომელმაც ეს არ იცის. ომს ამზადებდნენ ჯერ დასავლეთის სპეცსამსახურები, რომლებსაც სოციალისტური ბანაკის დაშლა სწყუროდათ, შემდეგ კი რუსეთის შოვინისტური ძალები, რომლებმაც დააფინანსეს ერთი მუჭა აფხაზი სეპარატისტები, რომლებმაც სისხლი მოუწამლეს ხალხს, ახალგაზრდობას, ქართველობას მტრად უხატავდნენ, რამაც, ბოლოს და ბოლოს, გამოიღო ნაყოფი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კი ვერაფერს აკეთებდა, ვინაიდან მათზე ზეწოლას ახდენდნენ რუსეთის შოვინისტური ძალები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე. ეს ომი 1992 წლის აგვისტოში არ დაწყებულა, ომის სამზადისი სტალინის სიკვდილის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის გენერალური მდივნობის დროს დაიწყო. რუსეთის ბნელი ძალებისა და ზოგიერთი აფხაზი სეპარატისტის ერთობლივი მცდელობით დაიწყო ამ განზრახვის განხორციელება: 1968, 1978 და 1989 წლების გამოსვლები...

მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებას და აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ყურები უნდა გამოგვებერტყა და სეპარატისტთა ცდა ძირში უნდა ამოგვეძირკვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული, რის ნაყოფსაც ახლა ვიმკით, არა მარტო ჩვენ, არამედ თვით აფხაზი ხალხიც. ამ ომმა, როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს მრავალი ახალგაზრდა სიცოცხლე წაართვა.

ყოველდღე 100-150 ჭურვი ეცემოდა სოხუმს და ინგრეოდა ეს ლამაზი ქალაქი. რაში ენაღვლებოდათ შოვინისტებს და ჩრდილოკავკასიელ მძარცველებს ქართველების მიერ აშენებული უმშვენიერესი კუთხე, რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ აფხაზებს ჰყავდათ CY-27 ტიპის თვითმფრინავები, რომელთაგან ერთი ჩამოვაგდეთ სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშის ტერიტორიაზე და რომელსაც მართავდა გუდაუთში მივლინებაში მყოფი რუსი მფრინავი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ჩვენ მოძველებული ტანკები T-55 გვყავდა, აფხაზებს — T-72 ტიპის ახალთახალი ტანკები. მათ „ბმპ“, „ბრმ“, უახლოესი გამოშვების „გრადები“ და ქვემეხები ჰქონდათ, ჩვენ კი საწვავისა და ჭურვების ნაკლებობას განვიცდიდით, ვინაიდან ზუგდიდის მხრიდან ბლოკირებული ვიყავით.

იხ. მე-6 გვ.

იუგოსლავია: საით იხრება სასწორი

ამჟამად მოქმედი პრეზიდენტისათვის ციფრები ერთობ არასახარბიელოდ გამოიყურება. დამოუკიდებელი გამოკითხვის თანახმად, მას მნიშვნელოვნად უსწრებს ძირითადი მეტოქე, ვოისლავ კოშტუნიცა, მაგრამ ციფრები სულაც არ არის მთავარი ბალკანეთში და მილოშევიჩის მომხრენი დარწმუნებული არიან, რომ მათი პრეტენდენტი, ასე თუ ისე, გამარჯვებული გამოვა პრეზიდენტის არჩევნებში.

„კოშტუნიცა ჩვენგან ბევრ ხმას ვერ წაიღებს“, — გულდაჯერებით ამბობს სვეტისლავ დურლევიჩი, კოსოვოს სტპრჩის სერბული ანკლავის მუნიციპალური საბჭოს მდივანი. იგი წევრია სერბეთის სოციალისტური პარტიისა, რომელსაც მილოშევიჩი უდგას სათავეში, და პასუხს აგებს სტპრჩიში არჩევნების მოწყობისათვის.

ხელმოუწერელი, დაუთვლელი ბიულეტენები, რომლებიც საკვირაო კენჭისყრისათვის იყო მომზადებული, დურლევიჩს მაგიდის ქვეშ უწყვია სამ პლასტმასის პარკში.

ახლახან გარედაქტირებული იუგოსლავიის საარჩევნო კანონები, რომც არ გინდოდეს, მოგანდომებენ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ხოლო მილოშევიჩის სავალალო მდგომარეობა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ასეთ საქციელს პრაქტიკულად გარდაუვალს ხდის.

მარტო დურლევიჩი როდი უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას მილოშევიჩს. დასავლელი დიპლომატები, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურენი პროვინციებში, და პესიმისტურად განწყობილნი სერბები, რომლებიც ამტკიცებდნენ, არჩევნებზე მაინც წავალთო, დარწმუნებული არიან, რომ კენჭისყრის შედეგი წინასწარ არის გადაწყვეტილი.

„მიმაჩნია, რომ სლობოდან მილოშევიჩი გაიმარჯვებს, და ეს მოხდება დიდი ფალსიფიკაციის წყალობით, — ამბობს მაღალი თანამდებობის დასავლელი დიპლომატი, რომელიც კოსოვოში მუშაობს, — მილოშევიჩი დარწმუნებულია, რომ აკონტროლებენ სიტუაციას, სხვაგვარად იგი, უბრალოდ არ დაუშვებდა არავითარ არჩევნებს“.

ალბათ, დღემდე გაურკვეველი ერთადერთი საკითხი ის არის, გაიმარჯვებს მილოშევიჩი პირველივე ჯერზე, თუ ამისათვის მეორე ტური დასჭირდება, ანუ დათანხმდება, გაახანგრძლივოს პოტენციურად აფეთქების მომასწავებელი სიტუაცია მეორე ტურამდე, რომელიც ორი კვირის შემდეგ გაიმართება.

კანონის თანახმად, თუ ხუთ კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ დაძლია 50-პროცენტიანი ბარიერი, მაშინ ორი კანდიდატი, რომლებიც ყველაზე მეტ ხმებს დააგროვებენ, ერთმანეთს შეხვდება მეორე ტურში. გამოკითხვების თანახმად, პირისპირ უშუალო შეჯიბრებისას კოშტუნიცას უპირატესობა კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება. ამიტომ წამყვან ანალიტიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მილოშევიჩი შეეცდება, მოხსნას ყველა საკითხი პირველ ტურში.

ნიუ-იორკის მართლქომაგთა ორგანიზაცია **Human Rights Watch**-ის მონაცემებით, არჩევნების მოწყობისათვის პასუხისმგებელ საარჩევნო და ხმის დამთვლელ კომისიებში თითქმის ყველგან შედიან მხოლოდ პროსამთავრობო პარტიების წარმომადგენლები. ფედერალურ საარჩევნო კომისიასა და ადგილობრივ კომისიებში მილოშევიჩის მომხრეთა და ოპოზიციის მომხრეთა თანაფარდობა შეადგენს 6:1-ზე. ამასთან, უშუალოდ უბნებში მყოფი საარჩევნო კომისიის წევრები თითქმის ყველანი, უკლებლივ, ეკუთვნიან ახლანდელი პრეზიდენტის მომხრეთა კოალიციას.

„ამომრჩეველთა ამომწურავი სიისა და საიდენტიფიკაციო ნომრების არარსებობა პრაქტიკულად არ იძლევა საშუალებას, ზუსტად დადგინდეს იმ პირთა რაოდენობა, ვინც სხვადასხვა უბანსა თუ საარჩევნო რაიონში გაიარა რეგისტრაცია კენჭისყრისათვის. ამომრჩევლები არ აწერენ ხელს გვარების სიაში, ამის მაგივრად საარჩევნო კომისიის წევრი უბრალოდ შემოხაზავს ამომრჩევლის გვარის წინ დასმულ ნომერს, სანამ ბიულეტენს გასცემდეს, რაც ხელს უწყობს უამრავ მაქინაციებს“, — ნათქვამია იგივე ცნობაში.

GOTOV JE!
GOTOV JE!
GOTOV JE!
GOTOV JE!

„კენჭისყრის შედეგები იწერება მხოლოდ ციფრებით და არა სიტყვებით მაშინ, როდესაც, ჯერ კიდევ წინა წლების არჩევნებში დოკუმენტურად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ციფრებს უბრალოდ გვერდით უწერდნენ მმართველი სოციალისტური პარტიისათვის აღნიშნულ შედეგებს უკვე მას შემდეგ, რაც ხმის დამთვლელ კომისიებს დამთავრებული ჰქონდათ მუშაობა“, — განაგრძობს **Human Rights Watch**-ი.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაეხსნა ხელ-ფეხი, იუგოსლავიის მთავრობამ არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა დამოუკიდებელ საერთაშორისო მეთვალყურეებს და გამონაკლისი დაუშვა მხოლოდ ლიბიისა და ერაყის წარმომადგენლებისათვის.

კოსოვოშიც კი, სადაც საერთაშორისო გაერთიანებას შეეძლო, გაეგზავნა თავისი მეთვალყურენი — ეს შესაძლებლობა ხელიდან გაშვებული აღმოჩნდა. გაეროს კოსოვოს მისიამ თავდაპირველად უარყო თვით ის იდეა, რომ ნება დაერთო მილოშევიჩისათვის, გაემართა აქ თავისი არჩევნები. მაგრამ ეს მეტისმეტად არადემოკრატიულად გამოიყურებოდა, ამიტომ გაერომ შეცვალა გადაწყვეტილება და არჩევნებისათვის ლეგიტიმურობა რომ არ მიენიჭებინათ, გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს, არ გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები და მეთვალყურეები.

ამის მაგივრად, ისინი არჩევნებში „უბრალო“ მოწმეებად გამოდიოდნენ. კერძოდ, გაეროს სურდა, დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ კოსოვოს ალბანელი მოსახლეობა, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებზე არ გამოცხადდა, — და ამით მიეცა მილოშევიჩისათვის ფალსიფიკაციის საუცხოო საბაბი.

„ბევრმა კოსოვოელმა ალბანელმა, ორშაბათს რომ გამოიღვიძა, გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ, თურმე, კვირას მილოშევიჩისათვის მიუცია ხმა“, — ამბობს მაღალი თანამდებობის ვაშინგტონელი მოხელე.

კლინტონის ადმინისტრაცია, როგორც ჩანს, უკვე შეურიგდა მილოშევიჩის გამარჯვების აზრს, კენჭისყრის რეალური შედეგის მიუხედავად. მას იმედად ისღა დარჩენია, რომ თუ არჩევნები გაყალბდა, მაშინ, იუგოსლავიის ოპოზიცია სწრაფად მოიკრებს მთელ ძალებს, რათა ამხილოს თაღლითობა და სახელი გაუტეხოს მილოშევიჩს, რომელიც ყოველნაირად ებღაუჭება ძალაუფლებას.

ეს ნაწილია ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც დასჭირდება ხელისუფლებისგან მილოშევიჩის ჩამოშორებას და სერბეთში დემოკრატიული ინსტიტუტების ამენებას, ამბობს ვაშინგტონელი მოხელე.

მაგრამ ახლანდელი არჩევნების პროცესში სერბეთის ლიდერს ხელთა აქვს ყველა თულფი (ე. წ. კოზირი – რედ.): იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს სამხედრო ოპერაციის დამთავრებიდან განვლილი ერთი წლის მანძილზე მან წარმატებით მოუთაქა ხელი მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელ საშუალებებს სერბეთში და წარმატებით აიცილა თავიდან შეერთებული შტატების ცდა, შთაებერა მათთვის ახალი სიცოცხლე.

ამავე დროს, მილოშევიჩმა გამოიყენა სახელმწიფო ტელევიზია, რათა ხელაღებით გაეშავებინა ხალხის თვალში ოპოზიციის კანდიდატები, მიაკრა მას მოღალატეებისა და ნატოს აგენტების იარლიყები.

მაგრამ კოშტუნიცამ, მცოდნე იურისტმა და ყოფილმა პროფესორმა, თითქოს, გამონახა საერთო ენა უბრალო სერბებთან. მას არ გაუტეხავს სახელი სერბეთის ოპოციაში მიმდინარე კინკლაობისა და ცილისწამების კამპანიებში მონაწილეობით, და ყოველნაირად ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ის, რომ მისი სახელი ეხსენებინათ და შეერთებულ შტატებთან დაეკავშირებინათ. კოსოვოს ომის დროს იგი მედგრად იცავდა იუგოსლავიის უფლებას, ჩაეხშო ალბანური სეპარატიზმი, და მწვავედ აკრიტიკებდა ნატოს სამხედრო ოპერაციას, რომელსაც უწოდა სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში უკანონოდ ჩარევა.

იგი სერბულ სახელმწიფოს მხურვალე მომხრეა. მას ფიცხი ხასიათი აქვს და გესლიანად ესხმის თავს ამერიკულ „ამპარტავნებას“. ამავე დროს, აქვს სავსებით ევროპული თვალსაწიერი და გულწრფელად ერთგულია დემოკრატიის იდეალებისა.

იმის ნიშანი, რომ მილოშევიჩის რეჟიმი ანერვიულდა, გახდა გადაწყვეტილება, შაბათს რომ გამოაცხადეს ბელგრადში: გაეგზავნათ იუგოსლავი ჯარისკაცები ჩერნოგორიის საარჩევნო უბნებში.

მილოშევიჩის რეჟიმმა, აგრეთვე, ბრალად დასდო ოპოზიციას, რომ მათ განზრახული აქვთ, შექმნან იატაკქვეშა ან დევნილი მთავრობა ჩერნოგორიის ტერიტორიაზე. ასეთი ბრალდებები შეიძლება გახდეს საბაბი ყველაზე მკაცრი ღონისძიებების გამოყენებისა, თუ სერბები ქუჩაში გამოვლენ „მილოშევიჩის გამარჯვების“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მილოშევიჩის ისეთი ერთგული მომხრენიც კი, როგორიც არის დურლევიჩი, რომელიც მის ინტერესებს წარმოადგენს სტპრჩეში, გრძნობენ საფრთხეს. „მე ვფიქრობ, მილოშევიჩს გაუჭირდება პირველ ტურში გამარჯვება, — ამბობს იგი — ეს თქვენ, ამერიკელები, აფინანსებთ და ყოველნაირად უმაგრებთ ზურგს ოპოზიციას“. მაგრამ დურლევიჩი დარწმუნებულია, რომ შეერთებული შტატების ყველა ცდა, გავლენა მოახდინოს იუგოსლავიის პრეზიდენტის არჩევნებზე, მარცხით დასრულდება. „იმიტომ, რომ თქვენ ვერასდროს ვერ გამონახავთ სერბებთან საერთო ენას“, წერს დასასრულ **ტომ ჰენდლი** გაზეთ „დე ჩიკაგო ტრიბუნში“.

ГОТОВ JE!
ГОТОВ JE!

ინფორმაცია არ დადასტურდა

აზერბაიჯანის ვაშინგტონის საელჩომ არ დაადასტურა ინფორმაცია ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შესახებ, იუწყება „გაზეტა.რუ“. ბაქოს დიპლომატიური წარმომადგენლობის პრესმდივნის ელვინ სულეიმანოვის თქმით, ალიევი ამჟამად გრიპის დიაგნოზით წევს კლივლენდის საავადმყოფოში. იქვეა აზერბაიჯანის ელჩიც.

როგორც პრესმდივანმა განაცხადა, ალიევი შეერთებულ შტატებში ჩავიდა ათასწლეულის სამიტში მონაწილეობისა და აზია-ამერიკის სავაჭრო პალატაში მუშაობისათვის. პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნება სწორედ გრიპის გამო გადაიდო და იგი უახლოეს დღეებში გამოემგზავრება. აქამდე „გაზეტა. რუმ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ჰეიდარ ალიევი ორშაბათ საღამოს გარდაიცვალა აშშ კლივლენდის კლინიკაში.

ვითარება მწვავდება

პრაღაში გრძელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ სიღატაკესთან და მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების დავალიანებასთან ბრძოლის პრობლემებს: გრძელდება, აგრეთვე, ეკონომიკის გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა აქციები.

IMF-WB-WTO
IMMEDIATE CANCELLATION OF DEBTS
IMF-WB out!
AKBAYAN
MASP

პროტესტების ორგანიზატორებმა სამშაბათს გადაკეტეს იმ შენობის მისასვლელები, სადაც მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტების მოხელენი ბჭობდნენ, რათა არ მიეცათ დელეგატებისათვის გარეთ გამოსვლის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებმა აკრძალეს დემონსტრაციების მოწყობა, „პირდაპირი მოქმედების მოძრაობის“ წარმომადგენელმა აქტივისტებმა თოკები შემოიხვიეს და გადმოეკიდნენ საავტომობილო ხიდზე, რომელიც პრაღის კონგრესების ცენტრს აკავშირებს შუა ქალაქთან. პროტესტანტები აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ, რამდენიმე დღეს დარჩნენ ხიდზე.

არადა, როგორც ინდოეთის ფინანსთა მინისტრმა და მსოფლიო ბანკის განვითარების კომიტეტის წევრმა ჯასვანთ სინჰამ განაცხადა, გლობალიზაცია შეესაბამება მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით ულატაკესი ქვეყნების ინტერესებს. მსოფლიო ბანკის მეთაურმა ჯეიმს ვულფენსონმა დასძინა, რომ გლობალიზაცია, ალბათ, გარდაუვალია, და დემონსტრანტები ცდებიან, როდესაც აცხადებენ, რომ ამ პროცესს საერთაშორისო ინსტიტუტები აკონტროლებენ. ამასთან თქვა, რომ ესმის მუშების შეშფოთება — თავიანთი სამუშაო ადგილების ბედის გამო, და მაინც, არის შესაძლებლობა, მოახდინონ გავლენა ცვლილებათა სიჩქარესა და ხარისხზე.

ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა ხაზი გაუსვა, რომ თუ ნავთობის ფასების ზრდა გაგრძელდება, ეს პროცესი „კატასტროფულ შედეგებს“ მოუტანს მესამე სამყაროს ქვეყნებს. თავის მხრივ, ვულფენსონმა გამოთქვა იმედი, რომ ნედლეულის ფასები დაიკლებს, მაგრამ ბანკი მზად არის, აღმოუჩინოს დახმარება ღარიბ ქვეყნებს, და განზრახული აქვს, „განიხილოს იმ სახელმწიფოთა ვალის შემცირების ოდენობა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზარალი მიადგათ საგანგებო გარემოებათა გამო“.

ამასთან, საპროტესტო გამოსვლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთი სანახევრო ზომები ვერაფერს უშველის განვითარებადი ქვეყნების ვალებს და მოითხოვეს კრედიტის გადასახდელთა სრული გაუქმება.

U-2 როკ-ჯგუფის ლიდერი ბონო, რომელიც მხარს უჭერს გლობალიზაციის მოწინააღმდეგეებს, შეხვდა ვულფენსონს, რომელმაც განაცხადა, რომ ძალიან უყვარს მომღერალი და მისი დიდი ხათრი აქვს, „მაგრამ ვერ დაეთანხმება 100 პროცენტით ვალების სრული გაუქმების საკითხში“.

ვალების გაუქმების მომხრენი ამტკიცებენ, რომ საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული ტვირთის შემსუბუქება ვერაფერი შეღავათია, ვინაიდან ღარიბი ქვეყნები მაინც იძულებული იქნებიან, უფრო მეტი უხადონ მდიდარ სახელმწიფოებს, ვიდრე შეუძლიათ, ჯანდაცვისა და განათლების განვითარებას მოახმარონ, წერს დასასრულ **იან ლედერი**, ბი-ბი-სის მიმომხილველი.

იალტიდან — მალტამდე

ცივი ომის ისტორიიდან:

რას ასწავლიან „სკოლაში“

ჩასაფრებული დამრღვევი სულგანაბული ელოდა, როდის დადგებოდა საჭირო მომენტი — ანუ, როდის დაწვებოდნენ დასაძინებლად მისი „მსხვერპლნი“, მერე კი, თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა. ვიეტნამის ომის ვეტერანი, მღვდელი როი ბურჟუა რამდენიმე საათით ადრე მოვიდა ბენინგის ფორტში, აძვრა ხეზე იმ ყაზარმის მახლობლად, სადაც სალვადორელი ჯარისკაცები იყვნენ დაბინავებულნი, ერთხანს შეიცადა, მერე კი თავის საპროტესტო აქციას შეუდგა. ბურჟუამ ჩართო მძლავრი მაგნიტოფონი და არე-მარეს მოეფინა სალვადორის მთავარეპისკოპოსის ოსკარ რომეროს გამოსვლის ჩანაწერი. რომერო მოუწოდებდა თანამემამულე ჯარისკაცებს, რომლებიც ამერიკის არმიაში გადიოდნენ წვრთნის კურსს, არ ეხოცათ თავიანთი ძმები. მოგვიანებით, სან-სალვადორში პარაკლისის გადახდის დროს რომერო მოკლეს. სამ ბრალდებულთაგან ორნი ამერიკის არმიის სპეციალური სკოლის კურსდამთავრებულნი იყვნენ.

თავისი აქციისათვის ბურჟუას მიესაჯა 18 თვის პატიმრობა ფედერალურ ციხეში, მაგრამ მისმა პროტესტმა დასაბამი მისცა უფრო მასშტაბურ დემონსტრაციებს „მკვლელების სკოლის“ წინააღმდეგ, როგორც მას უწოდებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ცივი ომის ხანის დაწყების შემდეგ შეერთებული შტატები შეშფოთდა, რომ კომუნისტები შეეცდებიან, შეაღწიონ აშშ სამხრეთელი მეზობლების ტერიტორიაზე და დაამყარებენ იქ მემარცხენე რეჟიმებს. არმიამ ე.წ. ამერიკების სკოლას — „ას“ დააფუძნა პანამაში 1946 წელს. 1984-ში, ნაპამის არხის შეთანხმების პირობებისამებრ, სკოლა გადატანილი იქნა ფორტ ბენინგში (ჯორჯიას შტატი).

„ამერიკების სკოლის“ დაარსების შემდეგ აქ მომზადება გაიარა ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის 22 ქვეყნის 60 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე აქ ასწავლიდნენ „სახელმწიფო მშენებლობის ხერხებს, შემდეგ კი, 1961 წლიდან პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის მითითებით, სასწავლებლის მუშაობა გარდაიქმნა შეიარაღებული პროკომუნისტური აჯანყებების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ამ სკოლის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ „ამერიკების სკოლის“ კურსდამთავრებულნი „პასუხს აგებენ ლათინურ ამერიკაში ადამიანის უფლებათა ყველაზე საზარელი დარღვევებისათვის“.

აი, მხოლოდ ზოგიერთი იმ სახელგავარდნილ პიროვნებათაგან, რომლებიც თავის დროზე სწავლობდნენ „ამერიკების სკოლაში“:

— პანამის ყოფილი ლიდერი მანუელ ნორიეგა, რომელიც ამჟამად ხანგრძლივი ვადის პატიმრობას იხდის ამერიკის ციხეში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულობებისათვის.

— სალვადორელი რობერტო დ'ობიუსონი, რომელმაც ჩამოაყალიბა „სიკვდილის რაზმები“, ის რაზმები, რომერო და ათასობით სხვა მშვიდობიანი მცხოვრები რომ მოკლეს სალვადორის სამოქალაქო ომის დროს;

— არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი გენერალი ლეოპოლდო გალტიერი, რომელსაც ბრალად ედება ათასობით კაცის „გაქრობა“ 70-იანი წლების არგენტინის „ბინძური ომის“ დროს.

„ას“ ამტკიცებს, რომ ათიათასობით ჯარისკაცთაგან, რომლებიც სკოლაში გადიოდნენ წვრთნას, სულ 300-ზე ოდნავ მეტს თუ დაედო ბრალად ადამიანის უფლებათა დარღვევა. ჯო ლეინერი, ამ სკოლაში ათი წლის მუშაობის სტაჟის მქონე ინსტრუქტორი ამბობს, რომ კრიტიკოსების არგუმენტაცია ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული და არავითარი კავშირი არ არსებობს კურსდამთავრებულთა დანაშაულობებსა და სკოლაში სწავლას შორის.

მაგალითად, ამბობს ლეიერი, დ'ობიუსონი „რადისტთა მომზადების კურსებს გადიოდა 70-იანი წლების დამდეგს. ადამიანებს სურთ, გამოიტანონ შორსგამიზნული დასკვნები და ვარაუდობენ, რომ სკოლამ, რომელმაც ასწავლა მას რადიოგადამცემის ხმარება და მორზეს ანბანი, იმავდროულად გაწვრთნა იგი სიკვდილის ბატალიონების ორგანიზებაში“.

სკოლა ამტკიცებს, რომ იგი ვერ აგებს პასუხს იმ ცალკეულ ადამიანთა მოქმედებისათვის, რომლებსაც ერთს ასწავლიდნენ და სულ სხვას სჩადიოდნენ. სკოლის პროგრამა ყოველთვის შეიცავდა კურსებს ჟენევის კონვენციების შესაბამისად ომის წარმოების ძირითადი წესების დაუფლებაში.

მაგრამ „ას“ სკოლის ირგვლივ დავა განსაკუთრებით გაამწვავა 1992 წლის ანგარიშმა, რომელსაც პენტაგონმა 1996 წელს ახსნა საიდუმლოების ჟალალა. ამ ანგარიშში მოყვანილი იყო ნაწყვეტები სახელმძღვანელოდან, „ას“ სკოლაში რომ გამოიყენებოდა 80-იან წლებში; როგორც ირკვევა, სახელმძღვანელოს ავტორები მოწყალე თვალით უყურებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორიც არის ცემა-ტყეპა, ცრუ დაპატიმრება, სიკვდილით დასჯა და მოწინააღმდეგის ცხედრისათვის გამოსასყიდის აღება.

ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ სკოლის პროგრამა გაფართოვდა; მასში გაჩნდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებებისა და ძალის გამოყენების ტექნიკური პრობლემების კურსები. „ჩვენს სკოლაში არასდროს და არავისთვის უსწავლებიათ წამების ხერხები და არც არასდროს ასწავლიან, — თქვა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას სკოლის კომენდანტმა პოლკოვნიკმა გლენ უაიდნერმა. — ჩვენ კვლავინდებურად ვუძღვებით სამხედრო მომზადებას, მაგრამ აქ არაფერ შუაშია წამების მეთოდები, რომლებსაც მამა ბურჟუა გვაბრალებდა“.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ სკოლის მიზნები შეიცვალა და მისი პროგრამა მთლიანად დაეთმო რეგიონში აშშ საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მხარდაჭერას — დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას, კანონის პატივისცემას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების თანახმად ეკონომიკის განვითარებას.

ცივი ომის დასრულების მიუხედავად — შესაძლოა, სწორედ ამის გამო ბევრს უნდოდა, დაეხურა „ას“ სკოლა. 1998 წლის ნოემბერში შვიდი ათასმა კაცმა, მათ შორის, მსახიობმა მარტინა შინამ, მოაწყვეს დემონსტრაცია სკოლის ჭიშკართან. ისინი მოითხოვდნენ სკოლის დახურვას. ვაშინგტონში ცდილობდნენ, შეემცირებინათ სკოლის წლიური ბიუჯეტი. მაგრამ ლეიერი ამბობს, რომ მისი სასწავლებლის საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცივი ომის შემდგომი ეპოქის ცენტრალური და სამხრეთი ამერიკისათვის.

„თუ ენახავთ, სად მუშაობენ ახლა ჩვენი კურსდამთავრებულნი, — ამბობს იგი, — დაერწმუნდებით, რომ ისინი არიან ყველგან: მშვიდობისმყოფელ მისიებში, განაღმვის მისიებში, ამა თუ იმ ქვეყნის გამჭვირვალე სამხედრო ბიუჯეტის შექმნის კომისიებში, სამხედრო რელსებიდან სამოქალაქო რელსებზე მთავრობის გადაყვანის პროგრამებში... ეს დემოკრატიზაციაა. რამდენიც უნდა აქოთ და ადიდოთ პროდუქტი, რომელიც არავის არ სჭირდება, მას არავინ არ იყიდის; ჩვენ კი საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ“.

ბრიუს კენედი,
სი-ენ-ენის მიმომხილველი.

ელექტროსადენები კიბოს იწვევს

ინგლისელმა მეცნიერებმა გამოიტანეს ერთსულოვანი დასკვნა, რომ ელექტროგადამცემი ხაზები ხელს უწყობენ კიბოს დაავადებების, განსაკუთრებით ფილტვების სიმსივნის განვითარებას. მაგრამ Hational grid კომპანია, რომელიც ბრიტანეთის ელექტროგადამცემ ხაზებს განაგებს, არ ეთანხმება მეცნიერებს.

ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ბი-ბი-სის არხით გამოსვლისას გააკეთეს განცხადება, რომ ელექტროგადამცემი ხაზების მახლობლად მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას კიბო უვითარდება. თანაც, მეცნიერთა თქმით, კიბო ემართებათ მხოლოდ იმათ, ვისი საცხოვრებელი სახლებისკენაც უბერავს ხაზებიდან ქარი. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მათი აღმოჩენა ემყარება ჯანმრთელობაზე ელექტრული ველების დამანგრეველი გავლენის თეორიას, რომელიც ბრისტოლის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორმა დენის ჰენდშოუმ შეიმუშავა. მან აღმოაჩინა, რომ ელექტროგადამცემი ხაზი აიონებს გარემომცველ ჰაერს, რომელიც ჯანმრთელობისათვის საშიში ხდება, ვინაიდან დაყოფილია დადებითს და უარყოფითს მუხტებად. სწავლულმა წამოაყენა „აეროზოლის ჰიპოთეზა“: თუ ასეთ ჰაერს შეისუნთქავთ, მაშინ დამუხტული ნაწილაკები ფილტვებში ილექება. პროფესორი ჰენდშოუ თვითონაც გააოგნა თავისმა აღმოჩენამ, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ თეორიას, რომ ელექტროგადამცემ ხაზებს მაგნიტური ველები არ გააჩნიათ.

ბრისტოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ონკოლოგიური განყოფილების მეცნიერთა ჯგუფმა ეპიდემიოლოგი ექიმის ალან პრისის მეთაურობით განაგრძო კვლევა და გამოიტანა დასკვნა, რომ დაიონებული ჰაერი ხელს უწყობს კიბოს წარმოშობას. როგორც ბი-ბი-სის პროგრამით გამოსვლისას თქვა პრისმა, მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ კიბოს დაავადებათა შეყრის ყველაზე მეტი საფრთხე ემუქრებათ იმათ, ვინც ელექტროგადამცემი ხაზებიდან 400 მეტრ და უფრო ახლო მანძილზე ცხოვრობს. „ჩვენ გამოვიკვლიეთ სამხრეთ-დასავლეთი ინგლისის ყველა კიბოიანი მცხოვრები და დავადგინეთ, რომ კიბო და, განსაკუთრებით, ფილტვების სიმსივნე მეტწილად ემართებათ იმათ, ვინც ელექტროხაზებიდან 400 მეტრის ფარგლებში ცხოვრობს“, — განაცხადა მეცნიერმა.

ბიოელექტრომაგნიტური გამოსხივების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ახლახანს გაიმართა გერმანიაში, ექიმმა პრისმა დაასახელა ზოგიერთი ციფრი. მისი თქმით, ელექტროგადამცემი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ ადამიანთა შორის კიბოს წარმოშობის შესაძლებლობა 29 პროცენტით იზრდება. კითხვაზე, თუ რატომ არ გამოქვეყნებულა დანარჩენი შედეგები, ექიმმა პრისმა თქვა, რომ სურს, გამოკვლევა მოაწყოს მთელი ინგლისის მასშტაბით, რათა დაადასტუროს თავისი შედეგი.



მუმია გაალხვეს და ისევ გაყინეს

იტალიელმა მეცნიერებმა გაალხვეს ალპების ერთ-ერთ უღელტეხილზე 9 წლის წინათ ნაპოვნი უძველესი მუმია, აიღეს ანალიზისათვის მისი ქსოვილებისა და ძვლების სინჯები, რის შემდეგაც კვლავ გაყინეს.

მუმიის ასაკი დაახლოებით 5300 წელიწადს შეადგენს. იგი კარგად შეინახა ყინულში ზღვის დონიდან 3000 მეტრ სიმაღლეზე. შემორჩენილია ტანსაცმელი — თხის ტყავის შარვალი და მოსასხამი, გარდა ამისა, იქვე იპოვეს სპილენძისტარიანი ნაჯახი და კაპარჭი.

პოვნის დღიდან განვლილი ცხრა წლის განმავლობაში იტალიელ მეცნიერებს მუმია გაყინული ჰქონდათ. ახლა კი, მათი აზრით, ახალი ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა, საბოლოოდ გაალხონ იგი ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიადგეს.

სინჰუა იუწყება

ჩინეთის სტატისტიკური უწყების მონაცემებით, ამჟამად ქვეყნის დედაქალაქში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 15,3 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1996 წლიდან მოყოლებული, პეკინში ყოვეწლიურად საშუალოდ 8 მილიონი კვადრატული მეტრით იზრდება საცხოვრებელი ფართობი.

ბოლო სამი წლის მანძილზე პეკინში კაპიტალდანდებათა საერთო მოცულობამ უძრავი ქონების ათვისებაში შეადგინა დაახლოებით 20 მილიარდი დოლარი, აქედან საცხოვრებელი სახლების მშენებლობას მოხმარდა 10 მილიარდი, რაც უძრავი ქონების დარგში გაწეული კაპიტალდაბანდებათა დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

* * *

წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წლის დამლევს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 8,6 ტრილიონ იუანს, ანუ გადააჭარბებს 1 ტრილიონ ამერიკულ დოლარს. წლის პირველ ნახევარში ეკონომიკურმა მატებამ 8,2 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე წლის დამლევს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ჩინეთში 1000 ამერიკულ დოლარს მიაღწევს.

ახლახან ქვეყანაში აღინიშნა საწვავის ფასების ზრდა, რის შედეგადაც 1 ტონა ბენზინისა და დიზელინის საქარხნო ფასმა შესაბამისად 210 და 300 იუანით მოიმატა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

კონტროლის პალატა

დევნილების შემწეობაზე ხელის მოთბობა არავის შერჩება



(მეოთხე გვერდიდან)

— ხომ ვერ დააზუსტებდით, რა სიახლეზეა საუბარი?

— კანონპროექტი მართლაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, ჯერ მაზზე პარლამენტს არ უმსჯელია და ნება მომეცით თავი შევიკავო ანალიზისაგან. დავძენდი იმას, რომ დოკუმენტი წლის ბოლოს უსათუოდ შევა ძალაში და აი, იქიდან მოყოლებული, საქმეც შედარებით უკეთ წაგვივა.

— ამას რა ჯობს, ბატონო ანზორ. ახლა იმის თაობაზეც ვთქვათ, თუ რას წარმოადგენს თავად აფხაზეთის ბიუჯეტი და როგორია კონტროლის პალატის წვლილი მის ფორმირებაში?

— დევნილობაში მყოფ აფხაზეთის მთავრობას სულ 64 საბიუჯეტო ორგანიზაცია ერიცხება, რომელშიც 4268 კაცია დასაქმებული.

— მაინც რა თანხაზეა საუბარი?

— აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წლევანდელი ბიუჯეტი 7,2 მილიონ ლარს შეესაბამება, მათ შორის ტრანსფერის სახით 5 მილიონ 200 ათასი ლარია, დანარჩენი ადგილობრივი შემოსავლები და მიუხედავად საერთო კრიზისული მდგომარეობისა, საქართველოს ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ახერხებს ბუდემოშლილი თვისტომის ბიუჯეტის დაფინანსებას. ეს რაც შეეხება სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ საგადასახადო პოლიტიკაში ბევრი რამე შეიცვლება მომავალში, სტრატეგიის თუ ტაქტიკის თვალსაზრისით. სხვანაირად გაგვიჭირდება ქვეყნის გამოყვანა შექმნილი სავალალო ვითარებიდან. მხედველობამია მისაღები, აგრეთვე, ძალოვანი სტრუქტურების ყოვლად გაუმართლებელი თვითნებური ინიციატივები, რომლებიც ხშირად არღვევენ პრეზიდენტის 1997 წლის №563 ბრძანებულებას და სრულიად უკანონოდ შედიან ობიექტებში თავიანთი მერკანტელური მიზნების დასაკმაყოფილებლად.

ბატონი სულხან მოლაშვილი იურისტი კაცია და, დარწმუნებული ვარ, ამ განუკითხაობასაც დაუდებს საზღვარს.

— ბატონო ანზორ, საქართველოში დღეს ბევრი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ტრიალებს, რომელთაც დევნილი მოსახლეობის აუტანელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რატომღაც ყველაზე ბოლოს ახსენდებათ.

— სხვისი ჭირი, ღობეს — ჩხირიო, თქმულა. გადამთიელია მშველელი, როდესაც ღვიძლმა და სისხლ-ხორცმა დაგვაქცია?! ამ შვიდი წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით შემოსულია 150 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული ტვირთი. დამეთანხმებით, რომ ფრიად სოლიდური მონაცემებია, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ — უმეტესი ნაწილი არადანიშნულებით მიედინება. მე კი წელგამართული მინდა ვიყო ჩემს ხალხთან და, როგორც დევნილი მოსახლეობის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თამამად ვაცხადებ: ყველაფერს მოვიძიებთ, ყველაფერს გამოვიკვლევთ და რა რანგის, რა თანამდებობის ხალხიც უნდა იყოს მასში გახვეული, დანდობა არავის ექნება. თუკი ჩემი კომპეტენცია საკმარისი არ აღმოჩნდება, ბატონი სულხან მოლაშვილის თანადგომის იმედიც მაქვს, — ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებს.

აი, პატარა მაგალითს მოვიშველიებ. 1999 წელს აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის მიერ შემოტანილია 3300 ტონა პურის ფქვილი, 64 ტონა ქათმის ხორცი, მაიონეზი და სხვა პროდუქტები. სად კულტურა, განათლება და სად სასოფლო-სამეურნეო ნაწარმიო, იკითხავთ, მაგრამ უფრო საგანგაშო ის გახლავთ, რომ ამ ტვირთის ასავალ-დასავალი არსად იძებნება, კაციშვილმა არ იცის. და, რაც მთავარია, დევნილ მოსახლეობას მისგან ერთი კილოგრამიც არ მიუღია. ახლა ამ საკითხს უშიშროების სამინისტროსთან ერთად ვსწავლობთ და დარწმუნებული ვარ ბევრი წაიმტვრევს ფეხს. ქვეყნის პრეზიდენტისა და სხვათა ავტორიტეტით უამრავი ტვირთია დღემდე შემოსული, მაგრამ იგი გაწამებულ ხალხამდე არ მიღწეულა, კონკრეტული პიროვნებები ლაღობენ მისით და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დევნილების ლუკმაპურზე ხელის მოთბობა არავის შერჩება!

სხვას გეტყვით, არანაკლებ საგანგაშოს! პრეზიდენტის უშუალო ძალისხმევით დევნილებს შეუფერხებლად მიეწოდება ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება, თავს არ ზოგავენ ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი თუ აფხაზეთის ომში ჩვენი უმაგალითო თანამესანგრე, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე. ყოველთვიურად წვეთ-წვეთობით კოწიწდება საჭირო თანხა და დროულად ირიცხება საქართველოს საფოსტო ბანკში, რათა ადგილებზე ოპერატიულად მოხდეს მათი გაცემა. მაგრამ როგორი სურათია სინამდვილეში? ვიტყოდი — აუტანელი! ასეთი სიმწრით მოზიდული თანხა თვეში მხოლოდ 4-5 დღე რიგდება, ჭყლეტაში, გაგანია სიცხეში, ხშირად ღამის თევებით, როცა იგი უპრობლემოდ უნდა გაიცემოდეს მთელი თვის მანძილზე. ამ მანკიერ პრაქტიკაში არის დამარხული ძაღლის თავიც. საფოსტო ბანკის მმართველი სერგო იაკობიძე სრულიად გაუმართლებელი მოტივაციით ახდენს ნაშთის დაგროვებას, ერთობლივად ჩარიცხულ თანხას ნაწილ-ნაწილ, ნაკუწ-ნაკუწ მიაწოდებს რეგიონებს, ეტყობა დევნილთა ფული ფინანსური მანევრირების უებარი წყაროა.

ამასთან, მინდა გავაფრთხილო ყველა ის უწყება, რომელიც ე. წ. მკვდარი სულების შეუდარებელი მორგია. უახლოეს პერიოდში ჩვენ დავიწყებთ ფართომასშტაბიან გამოხშირვებს და ბედმოშლილი ხალხის უბედურებაზე აშენებულ სამარცხვინო „კეთილდღეობას" ყველას წავამწარებთ. მიუხედავად რანგისა და თანამდებობისა.

— ბატონო ანზორ, შესაშურია თქვენი შემართება, სიტყვას საქმეც თუ მოჰყვა.

— ერთ რამეში დანამდვილებით შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მთელი არსებით იმ ამქარს ვეკუთვნი, რომელსაც ბატონი სულხან მოლაშვილი ვაჟკაცურად მეგზურობს. ერთ-ერთი გაზეთის ამასწინანდელი გამოკითხვით, დღევანდელი კონტროლის პალატა და მისი ხელმძღვანელი დასახელებულია წესიერების ნიმუშად. ამაზე მეტი ჯილდო სხვისთვის დამითმია.

იმედიან განწყობას გიქმნის ბატონ ანზორთან საუბარი.

სად აფხაზეთი და სად კონტროლის პალატაო, — იფიქრებს გაუცნობიერებელი მკითხველი. სწორედაც რომ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. კორუფციამ ისე ღრმად მოიკიდა ფეხი ჩვენს საზოგადოებაში, რომ მავანს სახელმწიფოს მიერ დევნილებისთვის ბოძებული მცირედ დახმარებაზე ხელის მოთბობაც აღარ ესირცხვილება.

ერთხელ უკვე ვწერდი — სირცხვილი აბსოლუტურად პიროვნული კატეგორიაა-მეთქი. სამწუხაროდ, გამეორება მიხდება.

რაღაცის ან ვიღაცის ხომ უნდა შეგვრცხვეს, ბოლოს და ბოლოს!

კონფლიქტს შეწირული 20 ათასი მეომრისა თუ მშვიდობიანი მცხოვრების ყვედრებით ჭომზირალი სულებისთვის თვალის გასწორებას აღრ ვაპირებთ?

არის ჩვენს შორის ვინმე ცოცხალი?

აი, სიცოცხლე კი უკვე აღარ არის პიროვნული კატეგორია.

ბონდო მძინარაშვილი.

თვითმხილველი

ჩვენი თავი ჩვენვე დავამარცხეთ

(მეოთხე გვერდიდან)

კარგად მახსოვს, რა წვალებით, თვითმფრინავებით ჩამოგვქონდა ტყვიები და ხელყუმბარები. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავში საბრძოლო მასალის შეტანა არ შეიძლებოდა, სხვა გზა არ იყო. არტილერიისა და „გრადებისათვის" ჭურვები ფოთიდან სეინერით სკურჩაში შემოგვქონდა და ასე წვალებ-წვალებით ახერხებდა მებრძოლთა მომარაგებას მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილე შეიარაღების დარგში გენერალ-ლეიტენანტი ვანო გურგენიძე. მაგრამ ადგილზე ბატალიონებში უდისციპლინობა იყო გამეფებული. ამას ხელს უწყობდნენ მოღალატე ოპოზიციონერებიც, რომელთაც ჩვენგან მიჰქონდათ ტყვია-წამალი, შემდეგ კი აფხაზებთან გადაჰქონდათ ტყვარჩელში.

მეტი სიძნელეები იყო, რა თქმა უნდა, ჯავშანსატანკო სამსახურში, ვინაიდან ტანკს ერთ გამართვაზე 900 ლიტრი საწვავი სჭირდება. ჩემი საქმე ძირითადად მათი მომარაგება იყო საწვავით და ჭურვებით. ხშირად უკმაყოფილება მომდიოდა მე-2 საარმიო კორპუსის ზურგის მომარაგების უფროსთან თამაზ ცირამუასთან. ხშირად ერთ ტანკზე 900 ლიტრის ნაცვლად 100 ლიტრ საწვავს მაძლევდა და როდესაც შევეკამათებოდი, მეტყოდა, ზუგდიდმა ეშელონი რომ არ გამოატარა, ჩემზე კარგად შენც იცი და მე რა ვქნაო. ეს სიმართლე იყო. 100 ლიტრ საწვავს ტანკი ორ საათში დაწვავს და პოზიციაზე თუ მიხედი, უკან გამობრუნება გაგიჭირდება. აფხაზებსა და რუსებს კი ამისი პრობლემები არ ჰქონდათ, ვინაიდან როდესაც დასჭირდებოდათ, მაშინვე შემოიტანდნენ საწვავსა და ტყვია-წამალს გუდაუთიდან.

როგორც ყველამ ვიცით, 1993 წლის 15-16 მარტს მოწინააღმდეგეს გადაწყვეტილი ჰქონდა სოხუმის აღება, მაგრამ ჩვენი ბიჭების ვაჟკაცობის, არტილერისტების იმლამინდელი გმირული მუშაობის შედეგად, ეს ვერ განახორციელა და დიდი დანაკლისის შემდეგ იძულებული გახდა უკან დაეხია. ჩვენს გენერალიტეტს გამბედაობა რომ გამოეჩინა და კონტრშეტევაზე გადავსულიყავით, შესაძლებელი იყო რამდენიმე კილომეტრით წინსვლა, ვინაიდან მტერმა ძირითადი შეტევის ძალა დაკარგა და დემობილიზებულიც იყო. მაგრამ აქაც შეცდომა იქნა დაშვებული.

შემდეგ, მტერმა რომ დაინახა ერთი ასეთი დანაკლისი კიდევ და მის ბანაკში მეომარი აღარ დარჩებოდა, მოლაპარაკებებზე და დროის გაყვანის ტაქტიკაზე გადავიდა, რათა როგორმე 16 მარტს მიღებული დანაკლისი შეევსო. მან უაზროდ ჩათვალა მდინარე გუმისთაზე პირდაპირი შეტევა, რადგან დაინახა, რომ ჩვენი არტილერისტები მიზანს არ აცდენდნენ და გადაწყვიტა გაეჭრა გზა სოფელ ახალშენისაკენ. ეს გზა მთელი სამი თვის განმავლობაში გაჰყავდათ. როდესაც ახალშენიდან და კამანიდან მოსახლეობა მიდიოდა და ამის შესახებ ცნობებს აწვდიდა ჩვენს გენერლებს, ეს უკანასკნელნი მათ პანიკიორებად ნათლავდნენ და თავიდან იშორებდნენ, ან უცხადებდნენ, გაიყვანონ და შემდეგ ჩვენ გამოვიყენებთ ამ გზასო...

როდესაც ამ გზით მტერმა სოფლები ახალშენი, კამანი და შრომა აიღო და სიმაღლეზე განალაგა თავისი არტილერია, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა მთელი სოხუმი და ჩვენი პოზიციები, თავზე გრიგალივით გვაყრიდნენ ჭურვებს. წამოგვიყენეს ულტიმატუმი — დაგვედო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ჯარისა და ტექნიკის აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოხუმის მთლიანი დანგრევით იმუქრებოდნენ.

ამ პერიოდში ჩამოფრინდა ედუარდ შევარდნაძე. თუ 16 მარტს გენერლებმა განაცხადეს, სოხუმში ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო, ახლა ყველამ ერთად (სამხედრო საბჭოს 28 წევრმა 2-ის წინააღმდეგ) განაცხადა, სამშვიდობო ხელშეკრულების დადება საჭიროო.

ეს მორიგი სამშვიდობო ხელშეკრულება ისეთივე აბსურდული იყო, როგორც 1992 წ. 4 სექტემბრისა (რის შედეგადაც დაეცა გაგრა) და 27 ივლისისა, რომლის საფუძველზეც გამოვიყვანეთ მძიმე ტექნიკა და დაეცა სოხუმი.

ტექნიკის გაყვანამ ძლიერ დაგვაზარალა, თუმცა ტანკებისა და „ბმპ"-სათვის საწვავი არ გვქონდა, ხოლო არტილერიისთვის — ჭურვები. „გრადებისათვის" სულ 130 ცალი ჭურვი გვქონდა, რაც 3-4 დანადგარს თუ ეყოფოდა ერთ გაწყობაზე. მაგრამ უფრო მეტი ზიანი მოგვიტანა ქართველი ჯარისკაცების გაყვანამ.

27 ივლისის ხელშეკრულების თანახმად, არა მარტო ქართველი ჯარისკაცები გამოვიყვანეთ, არამედ განთავისუფლდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილი ბატალიონები, სადაც მრავალი ახალგაზრდა პატრიოტი ირიცხებოდა. თუ კი მანამდე, ადგილობრივ ბატალიონში 490 კაცი ირიცხებოდა, ამ ხელშეკრულების თანახმად მათი რიცხვი განახევრდა და დარჩენილებიც გულგატეხილი იყვნენ. 3 ცელაში გამოდიოდნენ და აქედან თითო ცელაში 40-45 კაცი თუ იყო. ამიტომ, როდესაც მტერმა მოულოდნელად შემოგვიტია, ცოცხალი ძალაც აღარ გვყავდა საკმარისად.

20 სექტემბრისათვის ამ გულგატეხილმა ბიჭებმაც დატოვეს პოზიციები და მტერს უკვე ამ დროისათვის შეეძლო სოხუმის აღება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ, ხელშეკრულების თანახმად, გაწმენდილ იქნა საომარ პოზიციებზე დანაღმული მინდვრები და გზები. დასკვნითი აკორდი იყო ყოფილი პრეზიდენტის ჩამოფრენა 24 სექტემბერს გროზნოდან ზუგდიდში.

ზუგდიდში გაიმართა მიტინგი, სადაც ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 3-4 დღეში დაეცემა სოხუმი, მას შემდეგ წავალთ დედაქალაქისაკენ, დავიბრუნებთ დაკარგულ თბილისს და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ამ განცხადებას მისი გულშემატკივრების დიდი ოვაცია მოჰყვა. მართლაც, 3-4 დღეში სოხუმი ფაქტობრივად უომრად დაეცა და დაიწყო სვლა თბილისისაკენ. ექსპრეზიდენტის მომხრეებმა გადმოლახეს სენაკი, აბაშა, სამტრედია და ქუთაისს მიადგნენ...

მე ედუარდ შევარდნაძის დაცვას ვედექი გვერდში სინოპში და ყოველ ღონეს ვხმარობდი მტერი არ მოგვეპაროდა (სინოპში ხომ ტყე სულ ახლოს 30 მეტრში იყო შტაბიდან) და როცა სახელმწიფოს მეთაური დილის 5 საათამდე არ გამოდიოდა, ჩემს პირად მანქანას იქვე, პატარა კიბესთან ვაყენებდი, რათა თუ დესანტი შემოიპარებოდა, პირველი შევგებებოდი ტყვიას.

როდესაც 26 სექტემბერს 23 საათზე კავშირი გაწყდა ქიული შარტავასთან, ბატონმა ედუარდმა მინისტრთა საბჭოში წასვლა გადაწყვიტა. მისი დაცვა და დაცვის უფროსი გურამ ჯანიაშვილი წინ აღუდგნენ ამ გადაწყვეტილებას. მეც თავი შევუყავი მანქანის წინა სარკმელში (სადაც ის იჯდა) და ვუთხარი, იქ უკვე მტერია და თქვენი იქ წასვლა არ შეიძლება-მეთქი. იმ მომენტში მისი იქ წასვლა მართლაც ძალზე საშიში იყო. ჩვენი პრეზიდენტი მშიშარა არ არის, მან მაინც მოახერხა ჯაბა იოსელიანთან და დაცვის ბიჭებთან ერთად მშვიდობის პროსპექტით 300 მეტრში მისული იყო მინისტრთა საბჭოს შენობასთან, თავისი თვალით ეხილა ბრძოლები და გაეაზრებინა სიტუაცია (მარტო დაცვის ბიჭები როგორ უაზროდ ეწინააღმდეგებოდნენ ტანკებსა და „ბმპ"-ზე ამხედრებულ 300 ბოევიკს).

მეორე დღეს — 27 სექტემბერს 18 საათზე ჩვენ აგუძერაში გადმოვედით. იქ იმდენი ავტომანქანა შეიკრიბა, რომ ტერიტორია სულ გადათეთრდა. გენერალ-ლეიტენანტმა ვანო გურგენიძემ მთხოვა ყველა მანქანა ძველი რაიკომის შენობასთან გადაგვეყვანა და ჩვენც იქით გადავინაცვლეთ.

ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. 28 სექტემბერს დავადექით სვანეთის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზას. ეს გოლგოთის გზა ბევრად უფრო მეტად მსხვერპლიანი იქნებოდა, რომ არა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ მიღებული ზომები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველდღიურად საქართველოს, უკრაინის და სომხეთის მცირე ავიაციის ვერტმფრენები ორ-ორ რეისს აკეთებდნენ მოხუცებისა და ბავშვების, სნეულებისა და ფეხმძიმე ქალების გადასაყვანად. ამან საგრძნობლად შეამცირა სვანეთ-ჭუბერის გზაზე დაღუპულთა რიცხვი.

11 დღე ვიყავი საკენში და კარგად ვხედავდი ყოველივეს. ჩემს თავს მხოლოდ მაშინ მივეცი უფლება დამეტოვებინა საკენი, როდესაც იგი განთავისუფლდა ლტოლვილებისაგან. ჩამოვედი თბილისში. თვალის ერთი გადავლებით შეიძლებოდა დაგენახა ადამიანს თუ რა დღეში იყო ქალაქი. ადიდებული მდინარე რომ ნაფოტს მიაქანებს, სწორედ ისეთი.

პირველ ხანებში თავი ნათესავებს შევაფარე. უთენია ჩავდგებოდით ნაძალადევის რაიონში პურის მაღაზიის რიგში, 3-4 საათის შემდეგ დარეკავდნენ ფურნედან და იტყოდნენ: დღეს პური არ იქნება, რადგან მუქი არ გვქონდაო. წავიდოდით ფურნეში და იქ ავტომატმომარჯვებული ხალხი დაგვხვდებოდა. ისე წავიდნენ 100-100 ცალ ტყვიას, თითქოს იქვე ნაგვის ყუთიდან ამოეღოთ.

ქუჩაში 3-4 საათში სულ ათი მანქანა თუ გაივლიდა. აქედან 5 „მხედრიონს" ეკუთვნოდა და 5 კიდევ — მილიციას. დანარჩენი ხალხი გარეთ ცხვირს ვერ ყოფდა. მიდიოდა ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა არა მარტო გამოჩენილი ადამიანებისა (გ. ჭანტურიას, გ. გულუას, ს. ხაბეიშვილის და სხვა). თვით საავადმყოფოში დაჭრილი დაჭრილს კლავდა. იტაცებდნენ ბავშვებსა და მოზრდილებსაც — ფულის გულისათვის ქართველი ქართველს არ ინდობდა.

და რაოდენ საწყენია, რომ ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი ვერ ხედავს, თუ რა სიგანის გზა გაუკვალა ჩვენმა პრეზიდენტმა საქართველოს არა მარტო დასავლეთისა და ევროპისაკენ, არამედ რუსეთისკენაც, მას ყველა მეზობელ ქვეყანასთან სურს კეთილმეზობლური ურთიერთობა, ისე, როგორც შეეფერება XXI საუკუნესა და ცივილიზებულ ადამიანს. უნდა დასრულდეს ომები, უნდა დამთავრდეს სხვისი ტერიტორიებიდან მიწების ჩამოგლეჯა. ადამიანებმა უნდა მიატოვონ ადამიანთა კვლა. უნდა ვისწავლოთ ადამიანის პატივისცემა, ვინც უნდა იყოს, რომელი ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელიც უნდა იყოს ის.

ნამდვილმა პატრიოტებმა კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ დღეს ისედაც ბევრი გვყავს გარეშე მტერი. ამიტომ ყოველი ქართველი ერთ მუჭად უნდა შეიკრას და ერის საქმე აკეთოს, ერთად გადაწყვიტოს საჭირბოროტო საკითხები. მხარში ამოვუდგეთ ჩვენს პრეზიდენტს, კვანტს კი ნუ ვუდებთ. შევიგნოთ, რომ ის არავისზე ნაკლები ქართველი არ არის და არც არავისზე ნაკლებად არ სტკივა გული თავის ქვეყანასა და ერზე.

როსტომ ლომიძე,
მე-2 საარმიო კორპუსის ჯავშანსატანკო სამსახურის ყოფილი უფროსი.

გვწერენ

რა ხდება გალის რაიონის ენგურისპირა სოფლებში?

(მეოთხე გვერდიდან)

საექიმო ამბულატორიაში 4 ექიმი ყოველდღიურად ღებულობს 40-60 ავადმყოფს. ასევე, ამბულატორიულად დამოუკიდებელ მიღებას აწარმოებენ მეორე ოტობაიას, ფიჩორის, გაგიდის და განახლების საფერშლო პუნქტის გამგეები: ლალი ხუფენია, ლეილა ქირია, მარინა ძაძუა, ეკა ფაცაცია, ექიმმა ფაცაციამ საქმე ისეააწყო, დახმარებისათვის მეზობელი სოფლებიდანაც აკითხავენ.

მიღებული ავადმყოფებიდან სისტემატურად გვხვდება მეტად მძიმე დაავადებები.

ამ უბნის მოსახლეობას არავითარი კავშირი არა აქვს გალის რაიონული ცენტრის სამედიცინო დაწესებულებებთან თუ სავაჭრო ობიექტებთან, არა აქვთ არც სატელეფონო და არც სატრანსპორტო კავშირი. ხალხი ყოველგვარი გასაჭირის დროს ზუგდიდში დადის. ავტობუსები დღეში რამდენიმე რეისს აკეთებს. ზუგდიდში წასვლა-წამოსვლა 4 ლარი ღირს, ხალხს კი ამის საშუალება არა აქვს.

უბანში შემოსულ 0-დან 14 წლამდე 1245 ბავშვიდან პროფილაქტიკური აცრები სქემის მიხედვით მხოლოდ 35 პროცენტს გაუკეთდა. უსახსრობის გამო მშობლებს ასაცრელად ბავშვები ზუგდიდში ვერ მიჰყავთ. ასეთი მძიმე მდგომარეობის შესახებ მოვახსენეთ საქართველოსა და აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებს ა. ჯორბენაძეს და ე. ბერიას, სახელმწიფო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის დირექტორს თ. კალანდაძეს. ვთხოვეთ ოტობაიას საექიმო ამბულატორიისათვის გამოეყოთ ამცრელი კაბინეტი, იმ პირობით, რომ აღნიშნული კაბინეტი მომსახურებოდა მეზობელ სოფლებს ნაბაკევს, ზემო და ქვემო ბარლებს. მადლობის მეტი რა გვეთქმის, გამოიყო ამცრელი კაბინეტი, სამედიცინო მაცივართან ერთად, რომელსაც მოჰყვება ყველა სახის ასაცრელი ვაქცინები — როგორიც არის დიფტერიაზე, ყივანახველაზე,,წითელაზე, პოლიომელიტზე, ტუბერკულიოზზე, ტეტანუსზე და აგრეთვე 0,5-გრამიანი შპრიცი 10,000 ცალი, ცივი ყუთები ყინულის ელემენტებით, მთლიანად სახელმწიფო ფასებში კაბინეტი ღირს 3507 ლარი. მარტო ამცრელი კაბინეტის თბილისიდან ოტობაიაში ჩამოტანა ადმინისტრაციას 160 ლარი დაუჯდა. წლეულს, აცრები პირველად 2 ივლისს დავიწყეთ. პირველ დღეს 82 ბავშვი აიცრა, რადგან არც ერთი დაავადებაზე აცრილები არ იყვნენ, თითოეულს სქემის მიხედვით 4-4 აცრა გაუკეთდა.

იმის გამო, რომ დამწვარ, დანგრეულ ეზო-კარში, სტიქიურად შემოვიდა ხალხი და ბავშვებთან ერთად პირდაპირ მიწურებში ცხოვრობენ, ყოველივე ეს კი როგორც აღვნიშნე, ძლიერ უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე, ხოლო ნერვული განცდები კი უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის დამღუპველია, ხალხს არაერთხელ ვურჩიეთ: ნუ შემოვლენ მანამ, სანამ ცხოვრებისთვის ელემენტარული პირობები არ შეიქმნება. პასუხი ასეთია: რა ექნათ, გაჭირვებამ, შიმშილმა გვაიძულა. ბავშვებს აქ ხახვასა და მჭადს მაინც არ მოვაკლებთო.

ხშირად სოფლებში წითელი ჯვრისა და გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელები მანქანებითა და ვერტმფრენებით შემოდიან. ვთხოვეთ, მიეხედათ გაჭირვებული ხახისათვის, მათთვის გამოეყოთ თანხები და შეეკეთებინათ განადგურებული სახლები, მაგრამ ყველა ერთი და იგივეს იმეორებს; როგორც კი შეთანხმდებიან აფხაზები და ქართველები დაუყოვნელივ დავიწყებთ დახმარებასო. ამის შემდეგ ჩვენს თხოვნას რაღა ძალა აქვს.

ერთადერთი, რაც ამ გაჭირვებულ ხალხს გააჩნია — ეს არის საექიმო ამბულატორია და ამ ბოლო დროს შეძენილი — ამცრელი კაბინეტი შესაძლებლობის ფარგლებში მოსახლეობას ეძლევა სამკურნალო მედიკამენტები და შესახვევი მასალები. ამ მხრივ, საქმიან დახმარებას გვიწევს ზუგდიდის ლტოლვილთა პოლიკლინიკა მთავარი ექიმის მზევინარ გამახარიას ხელმძღვანელობით, თუმცა, როგორც გავიგეთ, პოლიკლინიკას ჩვენი დახმარება, თურმე, აუკრძალა გაეროს რომელიღაც ხელმძღვანელმა პირმა და რამდენიმე თვის მანძილზე არაფერს გვაძლევდნენ, მედიკამენტებით მომმარაგებელი დონორი ორგანიზაცია ფეტელავამ თვითონ მოძებნოსო. გალის რაიონის მთავარი ექიმის დალი ხორავას ჩარევით საქმე ისევ გამოსწორების გზას დაადგა.

რა თქმა უნდა, მძიმე ავადმყოფების გაგზავნა ზუგდიდის სამედიცინო დაწესებულებების სხვადასხვა განყოფილებებში გვიხდება. უანგარო სამედიცინო დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობის ღირსია რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების გამგე გურამ კვარაცხელია, რაიონული პოლიკლინიკის ქირურგი შოთა ხარაშვილი, რენტგენოლოგი პალიკო ლამანძია, ლარინგოლოგი თამაზ ჯანაშია, ქალაქის საავადმყოფოს მთლიანი შემადგენლობა ჯემალ აბშილავას ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ნეიროქირურგ, პროფესორ ნაპოლეონ მესხიას მაღალი კვალიფიკაცია და დაუოკებელი ზრუნვა ავადმყოფებისადმი. მან გალის სამმართველოს პასუხისმგებელ მუშაკს ბიძინა გამისონიას უმძიმესი ოპერაცია გაუკეთა და სიცოცხლე შეუნარჩუნა. ასეთი კი უამრავი შემთხვევაა.

შრომისა და ომის ვეტერანებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვანო მოროხია, მას ყველა ვეტერანის ბინის მისამართი აქვს და თუ რაიმე ჰუმანიტარული დახმარება მიიღო, არც ერთი მათგანი უყურადღებოდ არ რჩება.

ვინ არ ჩიოდა პენსიებისა და დახმარებების თვეობით თუ წლობით მიუღებლობაზე, ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს საქმე მოგვარდა. მან საოცარი გარდატეხა შეიტანა ამ დარგში, აგვისტოს პენსიებიც მიიღო ხალხმა. ყველა გვეკითხება, რატომ არ გვაძლევდნენ პენსიებს და დახმარებებს დროულად, როცა ამის საშუალება ყოფილაო.

როგორც აღვნიშნე, მძიმე ავადმყოფების გაგზავნა ზუგდიდში გვიხდებოდა, იმის გამო, რომ მეორე ოტობაიას ხიდი ჩამტვრეული იყო, პირდაპირ, მოკლე გზით ავადმყოფებს ვერ ვაგზავნიდით, იძულებული ვიყავით ისინი გაგვეგზავნა შორიდან მოვლით, განარჯიას მუხურით, მოხრეშილ, ღრო-ჩოღრო განადგურებული გზით, რაც ართულებდა ისედაც მძიმე ავადმყოფების მდგომარეობას. ყოველივე ეს მხედველობაში მიიღეს მეორე ოტობაიას სოფლის თავკაცებმა ვ. სექანიამ, ზ. თაკალანძემ, მ. გუდაბაიძემ, მ. ტაბაღუამ, მათი დახმარებით ხალხმა ხიდი აღადგინა, რითაც ხსენებული სოფლების მოსახლეობას ეშველა.

არ შეიძლება განსაკუთრებით და მწვავედ არ აღვნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნულ სოფლებში უტიფრად გაანადგურეს 100-წლოვანი ტყე-პარკი, როგორც ხალხმა, ისე სამშვიდობო ძალების მებრძოლებმა. მედპერსონალმა ხალხთან ერთად, ვერტმფრენით ჩამოსულ სამშვიდობო ჯარების სარდალ გენერალ კოროპკოს სთხოვა დახმარება, შეეწყვიტათ მებრძოლებს დეკორატიული ხეების განადგურება. კოროპკო შეგვპირდა და პირობა მართლაც შეასრულა.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, დღეისათვის ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საკითხზე: 1999 წლის დეკემბერში ს. ოტობაიას, მეორე ოტობაიას, ფიჩორის, გაგიდისა და განახლების მრავალათასიან მშრომელებს ოფიციალურად შეხვდნენ გალის რაიონის ხელმძღვანელები ქიმმარია და ლომია, სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი იურდანოვი და სოხუმიდან მრავალი პასუხისმგებელი მუშაკი.

ქიმმარიამ ხალხს მოახსენა: გამოვაგზავნით 15 პოლიციელს და ისინი დაგიცავენ ნიღბიანი ბანდიტებისაგანო. ჩვენთან მოდის ცნობები, რომ თქვენს ხალხს მოსვენებას არ აძლევენ ყაჩაღები, გვართმევენ თხილს და სხვადასხვა სახის ქონებასო. ხალხმა ამ წინადადებაზე ქიმმარიას უარი უთხრა, — მაშინ ქიმმარიამ თქვა, თქვენ უბნების მიხედვით გამოყავით ახალგაზრდები, ავტომატებს კი ჩვენ მივცემთო. ხალხმა უპასუხა, არ გვინდა თქვენი ავტომატები, ბრიგადების და უბნების მიხედვით გამოვყოფთ ჩვენს ბიჭებს, მათ შევაიარაღებთ სანადირო თოფებით და ისინი დაგიცავენო. დღემდე ამ მხრივ უაღრესად დაძაბულია მდგომარეობა, ხშირია ყაჩაღობის შემთხვევები. ხალხი ძალიან შეწუხებულია. მართლაც, საჭიროა რომ ახალგაზრდები უბნების მიხედვით გამოიყონ და სოფელში პატრულობა დაიწყონ. თუ ამ საქმეში არ ჩაერევა გალის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება, მდგომარეობა სერიოზულად გართულდება.

ზუგდიდში დისლოცირებულ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს ოთარ ყოლბაიას ამის საშუალება აქვს.

ბათლომე ფეტელავა,
გალის რაიონის სოფელ ოტობაიას საექიმო ამბულატორიის მთავარი ექიმი, აფხაზეთისა და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

გულისთქმა

... მეც ბევრჯერ მიქვითინია

მრავალთა ბედი გავიზიარე — დამრჩა სოფელში უპატრონოდ მამაპაპისეული სახლ-კარი...

ვიფიქრე, აფხაზეთიდან ვინმე დევნილს დროებით ჩავასახლებ — მადლია, იცხოვრებს, დათესავს, მოიყვანს, მოიხმარს და აქაურობასაც მიხედავს-მეთქი. ჰოდა, გამაცნეს სოხუმელი ვახტანგ ლომიძე მეუღლითა და ორი ბოკვერა ბიჭით. შესანიშნავი ხალხი გამოდგა — გულიანი, მუყაითი... ოღონდ, დიდ ნაღველს რა მოუხერხონ, აღარ იციან, ნაღველს, რომელსაც აფხაზეთის, სოხუმის მონატრება ჰქვია...

ექსპრომტი, რომელსაც გთავაზობთ და შოთა ნიშნიანიძის „ხარის" გავლენით დაიწერა, ეძღვნება ვახტანგ ლომიძეს და, ცხადია, აფხაზეთიდან ყველა დევნილს.

აგრემც შენს ნაჯაფ მარჯვენას,
ლომურ ქედს ვენაცვალები,
როგორ არ გინდა, მიჩვენო,
ეგ ცრემლიანი თვალები.

კაცი სოხუმში ლაღობდი
ნათესავით და მოყვრითა,
რას იფიქრებდი, ცხოვრება,
თუკი ასეთ ბედს მოგვგვრიდა.

ხნავ, ეჭიდები აქ მიწას,
როგორც უთქმელი ღვინია,
რას იზამ, მმაო, თქვენს ბედზე
მეც ბევრჯერ მიქვითინია.

იქნებ აღსრულდეს სურვილი,
ყველას რომ ასე გვწყურია —
კვლავაც იხილოს ქართველმა
მირმველი დიოსკურია.

სწორედ იქ მინდა დავლოცო,
(და, იმედი მაქვს, მომიწევს),
ეგ შენი ორი ბოკვერი,
ეგ შენი ორი ლომიძე.

ვილენ მარდალეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Sydney 2000

ყულაბა თანდათან გვიმძიმდება

საქართველოს ეოკის პრესსამსახურის უფროსი კახა ბერიძე კომპანია მაგთი GSM-ის დახმარებით გვატყობინებს.

26 სექტემბერი.

გუშინდელი დღე სიდნეიში ფეხბედნიერი გამოდგა საქართველოს წარგზავნილებისთვის – ჩვენს სპორტულ ყულაბას, ფაქტობრივად, ორი მედალი შეემატა: ერთი რეალური და ერთიც „პოსლეზე“.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სამტრედიელმა ფალავანმა (რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს), ევროპის ჩემპიონატის 1997 წლის ბრინჯაოს და 1999 წლის ვერცხლის მედალოსანმა აკაკი ჩაჩუამ ჩინებულად განვლო ჯგუფური ეტაპი. პირველ წრეში მან წმინდად დაამარცხა ჩინელი იუ მინჯუნი, შემდეგ 6:5 მოუგო სომეხ ვალონიკ გალუსტიანს. მეოთხედფინალში უზბეკ ბახოდორ ყურბანოვს სძლია (3:2), ნახევარფინალში კი თავად დათმო შეხვედრა რუსეთელ ვარტერეს სამურგაშევთან (მან ოლიმპიადის ჩემპიონობა მოიპოვა) 4:7. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში შვეიცარიელ ბეტ მოტცერს დააყრევინა ფარ-ხმალი (6:2) და ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი.

დავით სალდაძე, მიქაელ ლიუნგბერგი და გარეტ ლოუნეი კვარცხლბეკზე.

ქართველ „კლასიკოსთაგან“ მედლის მოპოვების შანსი აქვს ბათუმელ მუხრან ვახტანგაძესაც (85 კგ.). მან პირველ წრეში ესტონელ ტოობის პროოფელს სძლია 7:4, შემდეგ კი – ყირგიზ რაატბეკ სანატბაევს (2:1). მეოთხედფინალში დღეს ვახტანგაძე ბელორუს სპორსტმენს შეხვდება.

რაც შეეხება დანარჩენ ჩვენს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს (ალექსანდრე ცერცვაძე, კობა გულიაშვილი, ტარიელ მელელაშვილი, გენადი ჩხაიძე, მირიან გიორგაძე), მათ მაყურებლებში გადაინაცვლეს.

საგულისხმოა ისიც, რომ 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში უკრაინის სახელით მოასპარეზე დავით სალდაძემ მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ახლა კი „პოსლეზე“, მაგრამ აუცილებლად მისაღები მედლის შესახებ: გუშინ ფოთელმა მოკრივემ ვლადიმერ ჭანტურიამ (91 კგ.) მეოთხედფინალში 18:13 სძლია უზბეკ რუსლან შაგაევს, ნახევარფინალში გავიდა და, ფაქტობრივად, ბრინჯაოს მედალი გაინაღდა, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ჭანტურიამ 28 სექტემბერს მედალს ფერი შეუცვალოს – ამისთვის ნახევარფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე სულთანახმედ იბრაგიმოვის დამარცხებაა საჭირო. მეორე ნახევარფინალურ წყვილში კუბელი ფელიქს სავონი და გერმანელი სებასტიან კობერი შეხვდებიან ერთმანეთს.

აქვე მინდა ისიც გაუწყოთ, რომ მეოთხედფინალში მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ ქართველი მოკრივე „მამლუქები“ – სელიმ ფალიანი და აკინ კაკაურიძე, რომლებიც თურქეთის სპორტულ ღირსებას იცავდნენ.

გუშინ ქართველმა ძალოსანმა ვალერი სარავამ (+105 კგ.) სიდნეის ოლიმპიურ ფიცარნაგზე სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია გამოცდილ მეტოქეებს და საბოლოოდ მე-17 ადგილზე გავიდა.

საპატიო კვარცხლბეკი.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

54 კგ. 1. კვონ ხო სიმი (კორეა), 2. ლასპარო რივასი (კუბა), 3. იონგ გუნ კანგი (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა).

63 კგ. 1. ვარტერეს სამურგაშევი (რუსეთი), 2. ხუან ლუის მარენი (კუბა), 3. აკაკი ჩაჩუა (საქართველო).

ხუან ლუის მარენი, ვარტერეს სამურგაშევი და აკაკი ჩაჩუა კვარცხლბეკზე.

76 კგ. 1. მურატ კარდანოვი (რუსეთი), 2. მეტ ჯეიმს ლინდლანდი (აშშ), 3. მარკო ილი-ხანუკსელა (ფინეთი).

97 კგ. 1. მიქაელ ლიუნგბერგი (შვეიცარია), 2. დავით სალდაძე (უკრაინა), 3. გარეტ ლოუნეი (აშშ).

საგზატკეცილო ჯგუფური ველორბოლა. ქალები. 1. ლეონტიენ ვან მორსელი (ჰოლანდია), 2. ხანკა კუპფერნაგელი (გერმანია), 3. დიანა ზილიუტე (ლიტვა).

საპლაჟო ფრენბურთი. კაცები. 1. აშშ (ბლენტონი-ფონოიმოანა), 2. ბრაზილია (ზე მარკო-რიკარდო), 3. გერმანია (ახმანი-ხაგერი).

წყალში ხტომა: ტრამპლინი 3 მ. კაცები. 1. სიუნ ნი (ჩინეთი), 2. ფერნანდო პლატასი (მექსიკა), 3. დმიტრი საუტინი (რუსეთი).

სინქრონული ცურვა. დუეტი. 1. ოლგა ბრუსნიკინა-მარია კისელიოვა (რუსეთი), 2. მია ტაკიბანა-მიხო ტაკედა (იაპონია), 3. ვირჟინი დედიე-მირიამ ლინიო (საფრანგეთი).

ძალოსნობა. + 105 კგ. 1. ჰუსეინ რეზეზადე (ირანი), 2. რონი ველერი (გერმანია), 3. აშოტ დანიელიანი (სომხეთი).

სოფთბოლი. 1. აშშ, 2. იაპონია, 3. ავსტრალია.

ფეხბურთი. ნახევარფინალი. ესპანეთი – აშშ 3:1 (2:1), ჩილე – კამერუნი 1:2 (0:0).

ჩოგბურთი. კაცები. ნახევარფინალი. თომას ჰაასი (გერმანია) – როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:3, 6:2, ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) 6:4, 6:4.

ქალები. მე-3 ადგილისთვის: მონიკა სელეში (აშშ) – ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:1, 6:4.

წყალბურთი. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-ესპანეთი 8:5 (რუსეთის გუნდში ყველაზე შედეგიანად ითამაშა რევაზ ჩომახიძემ. მან ესპანელებს 3 გოლი გაუტანა).

სპორტული ტანვარჯიში. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით, რუმინელ ანდრეა რადუკანუს სპორტულ ტანვარჯიშში სიდნეის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი ჩამოართვეს. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მისი დოპინგ-ტესტის დადებითი შედეგი, თუმცა, რუმინელისთვის გუნდური პირველობის „ოქრო“ და ბჯენითი ხტომის „ვერცხლი“ არ ჩამოურთმევიათ. როგორც გაირკვა, მთავარი დამნაშავე ყოფილა რუმინეთის გუნდის ექიმი, რომელიც რადუკანუს აკრძალულ პრეპარატებს აძლევდა.

ანდრეა რადუკანუ: მშვიდობით ოქროს მედალო.

სიდნეის ოლიმპიადაზე ეს მეორე შემთხვევაა, როცა ოლიმპიური ჩემპიონი ისჯება დოპინგის მიღებისთვის. პირველად ამგვარი სანქციისთვის ბულგარელ ძალოსანს ივანოვს ჩამოერთვა ოქროს მედალი.

ოქროს დუეტი: ოლგა ბრუსნიკინა და მარია კისელიოვა.

ოლიმპიადის არაოფიციალური გუნდური ჩათვლა

ქვეყანა	ოქრო	ვერცხ.	ბრინჯ.	სულ
1 აშშ	25	15	23	63
2 ჩინეთი	22	14	14	50
3 რუსეთი	17	14	20	51
4 ავსტრალია	12	20	12	44
5 საფრანგეთი	12	13	7	32
6 იტალია	11	6	11	28
7 რუმინეთი	10	4	4	18
8 ჰოლანდია	8	5	3	16
9 ინგლისი	6	8	5	19
10 გერმანია	5	11	16	32
11 კორეა	5	6	8	19
12 იაპონია	5	6	4	18
13 პოლონეთი	4	4	1	9
14 ბულგარეთი	4	3	2	9
15 შვედეთი	4	3	1	8
16 უკრაინა	3	7	5	15
17 კუბა	3	6	2	11
18 უნგრეთი	3	1	1	5
19 ესპანეთი	3	0	2	5
20 საბერძნეთი	2	4	1	7
21 ჩეხეთი	2	1	3	6
22 ფინეთი	2	1	1	4
23 ავსტრია	2	1	0	3
24 ლიტვა	2	0	2	4
25 ირანი	2	0	0	2
26 სლოვენია	2	0	0	2
27 თურქეთი	2	0	0	2
28 შვეიცარია	1	5	3	8
29 ინდონეზია	1	3	2	6
30 სლოვაკეთი	1	3	1	5
31 მექსიკა	1	2	0	3
32 ბელორუსი	1	1	8	10
33 კანადა	1	1	5	7
34 ახ. ზელანდია	1	0	3	4
35 ეთიოპია	1	0	2	3
36 ლატვია	1	0	1	2
37 ხორვატეთი	1	0	1	2
38 აზერბაიჯანი	1	0	0	1
39 კოლუმბია	1	0	0	1
40.მოზამბიკი	1	0	0	1
57 საქართველო	0	0	3	3

ღიმილის დოზა



– სად არის ოლიმპიური ოქრო?

– პაპაი ოქრო მე ვარ!

ვახტანგ კუციას ნახატი.

განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცნობებთ, რომ ბანკებში სს „ვითა ბანკი“, შპს „ლომბანკი“, სკბ „კობა“, კბ „პირამიდა“, შპს „სიგმა ბანკი“, შპს „იბერია ბანკი“, კბ „ელვა“, სს „გეობანკი“, შპს კბ „ელდორადო“, შპს „ქართულ-იტალიური ინდუსტრია ბანკი“, შპს „საინვესტიციო-სავაჭრო ბანკი“, სს კბ „ოლიმპი“, კბ „საქართველო“, სს „ივერთბანკი“, სს კბ „აისი“, კბ „კოლხიდა“, სს „მაგისტრალბანკი“, შპს „ჯორჯიანინვესტბანკი“, სს „რეკონსტრუქციისა და განვითარების ქართული ბანკი“, სს „თბილიინტერბანკი“, სს „არაგვიბიზნეს ბანკი“, სს კბ „ტრანსკავკასია“.

მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი ლეონიძის ქ. 3/5 ტელეფონი 99-03-27.

კალათბურთი

ევროპული დებიუტის წინ

დღეს თბილისის „მაქაბი – ბრინკუორდის“ კალათბურთელთა გუნდის ევროპული ნათლობაა – კორაჩის თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო მატჩში **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდები სპორტის სასახლეში ბელორუსიის ოთხგზის ჩემპიონს „გროდნო-93“-ს მასპინძლობენ. თამაში 19 საათზე დაიწყება და მას რუსეთ-უკრაინის მსაჯთა ინტერნაციონალური ბრიგადა გაუძღვება. ფიბა-ს კომისარია ლიტველი იუოზას იანკაუსკასი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მაქაბელთა თავკაცმა გუშინ პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა:

– დღევანდელი შეხვედრა ორ თარიღს ემთხვევა – უპირველეს ყოვლისა, 27 სექტემბერი რომ სოხუმის დაცემის დღეა, ამიტომ აფხაზეთიდან ლტოლვილები დარბაზში უბილეთოდ დაიშვებიან. ამ სევდიანმა ფაქტმა განაპირობა საამაყო იუბილის – საქართველოს სპორტულ-კულტურული ორგანიზაცია „მაქაბის“ დაფუძნების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პროგრამის მნიშვნელოვანი შეკვეცა. იგი სადღეისოდ გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ აღნიშნული მიზეზის გამო მხოლოდ რამდენიმე პატრიოტული შინაარსის ნომრით შემოვიფარგლებით შეხვედრის წინ.

მეტოქის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ იგი ბელორუსიის ნაკრების საბაზო კლუბს წარმოადგენს და უკვე სამჯერ მონაწილეობდა კორაჩის თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირში, ახლახან კი ამხანაგური მატჩი ლიტვის ვიცე-ჩემპიონს – „ალიტუსს“ მოუგო. მალე „გროდნო-93“ სუპერლიგაში ჩაებმება, სადაც, ალბათ, ბათუმის „ბასკოსთანაც“ მოუწევს დუელი. საგულისხმოა, რომ 1994 წელს სამი გროდნოელი კალათბურთელი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

საკუთარი კოზირები ჩვენც გვაქვს. კერძოდ, დავიმატეთ რამაზ გოგობერიშვილი („აზოტი“) და დავით თორთლაძე (სტუ), რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო სარბიელზე დაგვეხმარებიან. დამაიმედებლად მესახება ორი ტანმაღალი კამერუნელი ლეგიონერით გაძლიერება, რომლებმაც დაცვაში უნდა მოგვიხსნან პრობლემები. მართალია, დიდიე ტატჩუმი და ქოვილეტ ტოუჯანი ჯერ მხოლოდ 19 წლის არიან, მაგრამ უკვე გააჩნიათ რუსეთის ჩემპიონატში სარატოვის გუნდის შემადგენლობაში თამაშის გამოცდილება. სხვათა შორის, ისინი ერთ-ერთმა სომეხმა ბიზნესმენმა მარშან თავის სამშობლოში წაიყვანა კალათბურთის ასაღორძინებლად, მაგრამ... შავკანიანთა დუეტის თემას ერთი ინფორმაციით ამოვწურავ: მათი გადმობირების ფინანსური მხარე ჩვენმა პეტერბურგელმა მეგობარმა კონსტანტინე მირელაშვილმა მოაგვარა და ისინი საჩუქრად გამოგვიგზავნა.

რეზიუმეს სახით მოგახსენებთ, რომ, მართალია, სტუმრები კლასით და შეთამაშებით ობიექტურად გაცილებით ძლიერები არიან, მაგრამ მრავალრიცხოვან ქომაგთა მხარდაჭერით „მაქაბი“ სასწაულის მოხდენას შეეცდება.

გუნდები დღევანდელი შეხვედრისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადებიან.

„გროდნო – 93“

სერგეი ქარმუხამედოვი (ოლიმპიური ჩემპიონის ალჟან ჟარმუხამედოვის ვაჟი), ალექსი პინტიკოვი, იური ჩერნიაკი, ანდრეი კლემეზი, არსენ ბესსმერტნი, ოლეგ კვაშუკი, ანდრეი ვასილევსკო, იური კაჩანი, დენის კორშუკი, ედვარდ პრიიმა, პეტრე კრიმიკი და რომან საფრონოვი (214 სმ).

მთავარი მწვრთნელი – **ალექსანდრე ბორისოვი.**

კლუბის პრეზიდენტი – **ლეონიდ კატოკი.**

„მაქაბი – ბრინკუორდი“

შალვა კრიხელი, გოჩა წოწელია, ბექა ნოზაძე, დავით და ირაკლი ბერიშვილები, დიდიე ტატჩუმი, ქოვილეტ ტოუჯანი, ირაკლი შანიძე, დავით თორთლაძე, ალექსანდრე ფერიაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, რამაზ გოგობერიშვილი, კონსტანტინე ქოქოსაძე, თემურ მანველაშვილი, თორნიკე ჯანელიძე, მამუკა ფიცხელაური, დავით გალაბაძე.

კლუბის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი **ჯამლეტ ხუხაშვილი.**

სურათზე: „მაქაბი – ბრინკუორდი“ სიურპრიზს გვპირდება.

დრო და თამაში გვიჩვენებს

დღეს ქართულ სპორტში რამაზ გოგობერიშვილი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. ბავშვობიდანვე უზომოდ შრომისმოყვარე რამაზს საკალათბურთო კარიერის იღბალი მუდამ თან სდევდა. როგორც ყოველთვის, ახლაც „აზოტის“ ღირსებას დაიცავს. იგი საკმაოდ პრინციპული და შეუპოვარია, რაც მის პოპულარობას ხელს უწყობს.

– რამაზ, რამდენად მნიშვნელოვანია კალათბურთი შენს ცხოვრებაში?

– უპირველეს ყოვლისა, კალათბურთი ჩემთვის მეორე ოჯახია. უკალათბურთოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია...

– როგორ ემზადება „აზოტი“ 2000–2001 წლის ეროვნული ჩემპიონატისათვის და არის თუ არა გუნდში რაიმე ცვლილება?

– სიმართლე გითხრათ, წლეულს უფრო ძლიერი შემადგენლობით გამოვალთ მოედანზე, ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რომ გავხდეთ საქართველოს ჩემპიონები. ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რა მოხდება ფინალში, ყველაფერს მაინც თამაში გადაწყვეტს. ასევე, გუნდს შეემატა ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი მამუკა ტურაშვილი და კიევიდან დაგვიბრუნდა ზვიად ბაბიაშვილი.

– როგორ მოხვდი „მაკაბის“ შემადგენლობაში კორაჩის თასზე სათამაშოდ, გუნდში დარჩენას ხომ არ აპირებ?

– „მაკაბის“ კლუბში დროებით ვარ, მხოლოდ კორაჩის თასზე ვითამაშებ. ამის სურვილი ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის დროს გამოთქვეს კლუბის მესვეურებმა, მეც წარმატების მოპოვებისათვის შეძლებისდაგვარად მივეხმარები.

– და ბოლოს, რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?

– ნამდვილად არა ვარ იმ ასაკის, რომ კალათბურთიდან წასვლაზე ვიფიქრო. მენეჯერისაგან ტელეფონის ზარს ველოდები. თუ მოწვევა გამომიგზავნეს, ალბათ, კვლავ წავალ საზღვარგარეთ სათამაშოდ. მომავალში რა მოხდება, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

მირანდა ზედელაშვილი,
საქინფორმის კორესპონდენტი.

ჭადრაკი

„მატჩი“ ფიშერი – კასპაროვი გრძელდება

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვიუწყებოდით, რომ საჭადრაკო თემებზე მწერალ ჟურნალისტებს შორის მოეწყო გამოკითხვა. მათ უნდა დაესახელებინათ ყველა დროის უძლიერესი მოჭადრაკე. არჩევანი გასაგებია, მსოფლიო ჩემპიონებს შორის ხდებოდა. ყველა დანარჩენი დიდი მოჭადრაკე მორს ჩამოიტოვეს მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონმა რობერტ ფიშერმა და მეცამეტე ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. აი, მათ შორის კი არ იყო ქულათა დიდი განსხვავება, მაგრამ მაინც ამერიკელმა (ის კი არ ვიცით, რამდენად შეიძლება ეწოდოს ფიშერს ამერიკელი – იგი ბუდაპეშტში ცხოვრობს და ამერიკის სახელსაც კი ვერ უხსენებ) გადასწონა – ფიშერი ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკედ მიიჩნიეს. ცნობილმა დიდოსტატმა ევგენი სვეშნიკოვმა, ისიც კი თქვა, რომ კასპაროვის ახლანდელი უმაღლესი რეიტინგი „დაბადა“ ჭადრაკის და მისი წოდებების ნამდვილმა ინფლაციამ და იგი სინამდვილეში ფიშერის მაშინდელ რეიტინგს ნამდვილად ჩამოუვარდება. შეიძლება ასეც იყოს.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში გავრცელდა სხვა აზრიც. ხომ არ შეიძლება ფიშერი და კასპაროვი ასე შევადაროთ: მათი შედეგებით მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების, ვთქვათ, პირველ ათეულებთან. ცხადია, ეს ათეულები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია – ფიშერი სხვა დიდოსტატებს ეთამაშებოდა, კასპაროვი სულ სხვებს და მაინც, მაინც...

დავიწყოთ ფიშერით. იგი მსოფლიოს მეათე ჩემპიონ ბორის სპასკის ბევრჯერ ეთამაშა და ორი პარტიით მეტი მოუგო. ამას მოჭადრაკეთა ენაზე +2 ჰქვია. ჩვენც შემდგომი საუბარი ამ ენით გავაგრძელოთ.

მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანთან ფიშერის ანგარიში იყო +4, განთქმულ დანიელ ბენტ ლარსენთან +8, ვიქტორ კორჩნოისთან თანაბარი ანგარიში, ეფიმ გელერთან – 2, მსოფლიოს მერვე ჩემპიონ მიხეილ ტალთან – 2, ლაიოშ პორტიშთან +4, ლევ პოლუგაევსკისთან – თანაბარი ანგარიში. ვოლფგანგ ულმანთან +2, ლეონიდ შტეინთან +1, მაშ ასე, ფიშერი აგებდა გელერსა და ტალთან.

ახლა იმ ათეულს გადავხედოთ, რომელთანაც კასპაროვს უხდებოდა, უხდება და მოუხდება შეხვედრა.

ვიშვანათან ანანდთან კასპაროვს 10 მოგებით მეტი ანუ +10 აქვს, ალექსანდრ მოროზევიჩთან +2, ალექსეი შიროვთან +9, გატა კამსკისთან +3, პეტერ ლეკოსთან +2, მაიკლ ადამსთან +5, ვასილი ივანჩუკთან +6, ბორის გელფანდთან +8, ევგენი ბარეევთან +7, ვლადიმირ კრამნიკი ერთადერთია, ვისთანაც კასპაროვს თანაბარი ანგარიში აქვს (სამ-სამი მოგება, (ყაიმებს ნუ ჩავთვლით). როგორც ხედავთ, ამ თვალსაზრისით, კასპაროვის უპირატესობა ფიშერთან აშკარაა, რაც იმითაც „მაგრდება“, რომ ფიშერი თავისზე უფრო ხნიერ მოჭადრაკეებს ხვდებოდა (ასეა უკლებლივ ათივე შემთხვევაში), ხოლო კასპაროვი მხოლოდ თავისზე უფრო ახალგაზრდებს.

ასე რომ, ისტორიული „მატჩი“, რობერტ ფიშერსა და გარი კასპაროვს შორის გრძელდება. საჭადრაკო მიმომხილველები და ისტორიკოსები მათ შემდეგშიც არაერთგზის შეაპირისპირებენ. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა მათი უშუალო შეხვედრაც, მაგრამ ეს ხომ უფრო ოცნების სფეროა.



გივი გამრეკელი.

ყოველი მხრიდან

თუ მეცნიერებს დავუჯერებთ

ორი ცნობილი უნივერსიტეტის მეცნიერებმა სცადეს განეჭვრიტათ იმ მედლების რაოდენობა, რასაც ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრები მოიპოვებდა სიდნეის თამაშებზე. თავიანთ გამოკვლევებში მათ გააანალიზეს ბევრი ფაქტორი, მათ შორის, ისეთი ციფრებიც კი, როგორიცაა ამ ქვეყნის მოსახლეობა, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, თამაშებზე გამოსვლა ბოლო 40 წლის განმავლობაში და ა.შ. მეცნიერი მისნების აზრით, დიდი, არც თუ მდიდარი ქვეყნების სპორტსმენები იმდენსავე მედალს მოიპოვებენ, რამდენსაც მათი მეტოქე პატარა, მაგრამ მდიდარი ქვეყნები. ამის დასტურად ასახელებენ ესპანეთსა და ბრაზილიას, რომლებმაც წინა ოლიმპიადაზე თანაბარი რაოდენობის მედლები მოიპოვეს.

Yale and Dartmouth College-ს პროფესორებს მიაჩნიათ, რომ სიდნეის თამაშებზე ყველაზე უკეთ გამოვლენ აშშ (97 მედალი), გერმანია (63), რუსეთი (59), ჩინეთი (49) და ავსტრალია (52). მათი კოლეგები **WellesleyCollodge**-დან კი ფიქრობენ, რომ ამერიკელები მოიპოვებენ 90 მედალს, ჩინელები – 85, გერმანელები – 61, ავსტრალიელები – 54, რუსები – 29 მედალს. სხვათა შორის, აკრიტიკებენ რა ერთმანეთის მოსაზრებებს, სწავლულები ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ მშობლიური კედლები დაეხმარება ავსტრალიელებს, მოიპოვონ დამატებით 13 მედალი მაინც.

ტომპსონი – მიწათმფლობელი

სპრინტერმა ბარბადოსიდან ობადელე ტომპსონმა 100 მეტრზე სირბილში მესამე ადგილი დაიკავა. იგი ამ ქვეყნის პირველი სპორტსმენია, ვინც ოლიმპიური მედალი მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ბარბადოსმა დამოუკიდებლობა 1960 წელს მიიღო. „ჩვენ ბრინჯაო მოვიპოვეთ!“ – ხარობდნენ ეროვნულ განსაცმელში გამოწყობილი კუნძულელები.

ბარბადოსის ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის პატრონმა ჩარლზ ვილიამსმა გადაწყვიტა, მთელი ერის სახელგანთქმულ მორბენალს აჩუქოს 10 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობი. „ჩვენ ძალზე ვამაყობთ, ობადელათი, თუ ის 200 მეტრზეც გაიმარჯვებს, მას კიდევ გამოვუყოფთ მშვენიერი მიწის ნაკვეთს“ – განაცხადა ემოციურმა ოლიგარქმა.

აგრესიული ტური

ძალზე აგრესიული გამოდგა ბუენოს-აირესში მიმდინარე მეთოთხმეტე კატეგორიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტური. ის ცნობილი მოჭადრაკის მიგელ ნაიდორფის ხსოვნას ეძღვნება.

მეშვიდე ტურში პოლგარმა დაამარცხა მილოში, ლეიტაომ – ფლორესი, მილოვმა-რიკარდი, ხოლო ბოლოგანმა – პიორეტი. ამ ტურში ერთადერთ ყაიმზე კარპოვი მორტს შეუთანხმდა.

ისე რომ, 7 ტურის შემდეგ ტურნირს უნგრელი პოლგარისა და მოლდაველი ბოლოგანის დუეტი ლიდერობს – მათ 5,5-5,5 ქულა აქვთ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კარპოვი ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩა. 4,5 ქულა მოაგროვეს მორტმა.

სურათზე: სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონის სერგეი კლიუგინის ოქროს ნახტომი.

ახალბედა მოცურავის სახელობის სოფელი

აღმოსავლეთ აფრიკის პატარა სახელმწიფოს ეკვატორულ გვინეის წარმომადგენელმა ოლიმპიურ თამაშებზე, 22 წლის მოცურავემ ერიკ მოუსამბანიმ სიდნეიში პირველად ნახა 50-მეტრიანი აუზი. „ცურვა მხოლოდ წლეულს, იანვარში ვისწავლე ნიანგებით სავსე პატარა სრუტეში, ოცნებაც არ შემეძლო, რომ როდესმე ოლიმპიადაზე გამოვიდოდი“, – განაცხადა ახალბედა მოცურავემ, რომელიც თამაშებზე FINA-ს სპეციალური პროგრამით მოხვდა. ცურვის, ეროვნული ფედერაცია ეკვატორულ გვინეაში მხოლოდ წლინახევრის წინ შეიქმნა.

როგორც თავად ერიკმა აღიარა, მას არ უნდოდა 100 მეტრზე ცურვა, რადგან ეშინოდა... დახრჩობისა.

ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ აფრიკის ულარიბესი ქვეყნის წარმომადგენელმა საკვალიფიკაციო ტურნირი იმიტომ მოიგო, რომ... მისი მეტოქეები ნიგერიიდან და ტაჯიკეთიდან ფალსტარტის გამო შეჯიბრებიდან მოხსნეს. სიდნეიში მან 100 მეტრი 1 წუთსა და 53 წამში გაცურა (საშუალო დონის მოცურავეები ამ დროში ორჯერ გრძელ დისტანციაზე ცურავენ), მაგრამ მას გადაჭედილი ტრიბუნები ოვაციით შეხვდნენ.

ოლიმპიადაზე სახელის მოხვეჭის შემდეგ მის სოფელს სახელი გადაარქვეს: ახლა მას ჰქვია „ადგილი, სადაც ერიკ-მოცურავე დაიბადა“.

სპორტის რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 260. ოთხშაბათი, 27 სექტემბერი, 2000 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ქართველ მანდილოსანთა კრებული — ეკატერინე ციციშვილი-რჩეულიშვილისა (პირველ რიგში, ზის მარცხნივ) დგანან: მაკრო რჩეულიშვილი-გომელაურისა, ნინო რჩეულიშვილი, დარო რჩეულიშვილი — ქართული დრამატიული დასის წევრი.
თბილისი, 900-იანი წლების დასაწყისი.
ფოტო მოგვაწოდა მანანა ხომერიკმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.

ავტორის პოზიცია

„ინსტრა“ განმარტავს

„საქართველოს რესპუბლიკის“ 23 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „დოლარებით მოკირწყლული გზები“ ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს საერთაშორისო გადამზიდავი სატრანსპორტო ჯგუფი „ინსტრა“.

როგორც „ინსტრას“ გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ჩხეიძემ და კომპანიის მენეჯერმა გია წიფურიამ განმარტეს, „ინსტრა“ ახალი ბორნის მფლობელის „უკრფერის“ (უკრაინა) და „ბმფ“ (ბულგარეთი) გენერალური წარმომადგენელია საქართველოში და მათ ძირითად საქმიანობის სფეროს საერთაშორისო გადაზიდვები წარმოადგენს. მუდმივი კონტაქტი აქვთ როგორც ფოთის პორტთან, ასევე საქართველოს რკინიგზასთან.

მათი განმარტებით, საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში რკინიგზა ყველაზე მობილური და სანდო ტრანსპორტია. რაც შეეხება წერილში აღნიშნულ ფაქტს, რომ ფოთის რკინიგზის სადგური თითქოს ყოველი ვაგონის მომსახურებაზე არაოფიციალურად 10 დოლარს ითხოვს, როგორც „ინსტრას“ გენერალური დირექტორი ამბობს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან რკინიგზას უშუალოდ ბორანთან ურთიერთობა არა აქვს. მას თავად პორტის თბომავალი ემსახურება, ამიტომაც რკინიგზას არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად არავინ არაფერს მისცემს.

და კიდევ, ყველა ორგანიზაციას, მათ შორის სატრანსპორტო პოლიციასაც, ვინც ამ პუბლიკაციაშია ნახსენები, მინდა ვუთხრა, რომ წერილი „დოლარებით მოკირწყლული გზები“ მთლიანად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მიერ მთავრობის სხდომაზე წაკითხული მოხსენების ოფიციალური ტექსტიდან მომზადდა, რის თაობაზეც ხსენებული წერილის დასაწყისშივე მივუთითებდი. ამიტომაც ფაქტების გადამოწმება აუცილებლად აღარ ჩავთვალე.

შოთა მაჭარაშვილი.

შემოდგომის თბილისი

მადლობა მაესტრო ჯანსუღ კახიძეს

გუშინწინ მსმენელებით გადაჭედილ თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ჭეშმარიტად განუმეორებელ საღამოზე ქართველმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ გვაზიარა გუსტავ მალერის სწორუპოვარ მუსიკას — მეცხრე სიმფონიას.

მაესტრო ჯანსუღ კახიძემ რამდენიმე დღით ადრე საზოგადოებას ამცნო, რომ 25 სექტემბერს მუსიკალური ცენტრის კარი ღია იქნებოდა მუსიკის მოყვარულთათვის. მართლაც, უამრავი მსმენელი, მათ შორის, დიდი ნაწილი — ვისაც უფულობის გამო სხვა დროს ასეთი ფუფუნების საშუალება არა აქვს, ჭეშმარიტი დღესასწაულის მონაწილე გახდა.

კონცერტის შემდეგ მადლიერი აუდიტორია დიდხანს მიესალმებოდა ამ დღესასწაულის შთამაგონებელს და შემოქმედს.

მეც ამ საოცარი სანახაობის ერთი მონაწილეთაგანი გახლდით და „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით სამადლობელთან ერთად, თხოვნასაც შევკადრებ მაესტროს: კვლავაც (როცა შესაძლებლობა ექნება), გააღოს მუსიკალური ცენტრის კარი და ამით სიხარული მიანიჭოს მსმენელებსაც და საკუთარ თავსაც!

გივი შეყილაძე.

ავტორის ფოტო.

გვწერენ

ძალიან მდიდარი „პარტიზანის“ შესახებ

როცა ფსევდოპარტიზანი დათო შენგელია დააპატიმრეს, ატყდა პრესაში და ტელეეკრანზე დაფიდარბა. აქაოდა „ტყის ძმების“ მეთაურს პროვოკაცია მოუწყეს, არაფერი სჭირდა დასაკავებელი, ძალოვნებმა ხელისუფლების დაკვეთა შეასრულესო და ცნობილი მხედრიონელი შენგელია, რომელმაც გაფცქვნა სამეგრელო ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს, ლამის ანგელოზად გამოაცხადეს.

ჟურნალისტთა ის ნაწილი, რომელიც დათო შენგელიას გადაეფარა, ზუგდიდლების მტკიცებით, ფსევდოპარტიზანის ნაყიდი გახლავთ. ცნობილია, რომ შენგელია სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზე „მოგრიალე“ კონტრაბანდას „კურატორობდა“.

ზოგიერთ ჩვენს კოლეგასაც უნაწილებდა თურმე უკანონო ტვირთის მონაგარს (ამას დაბეჯითებით ამტკიცებენ ზუგდიდში). ამიტომაც სწორედ ისინი ცდილობენ დღეს „კონტრაბანდისტის“ გათეთრებას.

მინდა შევახსენო მკითხველებს: „ტყის ძმები“, როგორც პარტიზანული რაზმი, სამი წლის წინათ დაიშალა; დათო შენგელია და მისი ერთი ჯგუფი კი ზუგდიდში დარჩა ხელის მოსათბობად და კარგადაც გაქსუვდნენ აფხაზეთიდან შემოტანილი კონტრაბანდით.

ე. წ. ჟურნალისტებს ავიწყდებათ, რომ „ტყის ძმების“ ყოფილი მეთაური უკვე ოთხი წელიწადია აწიოკებს სამეგრელოს მოსახლეობას, ლტოლვილებს, ძარცვავს მათ, თხილის მოსავალს პირწმინდად ართმევს, იარაღს აჟღარუნებს, ნარკოტიკებით „ერთობა“, უახლოეს თვეებში უმეუარმა შენგელიამ ზუგდიდის ცენტრში, პუშკინის ქუჩაზე ასი ათას დოლარად შეიძინა სასახლე, იყიდა რიგით მეოთხე მსუბუქი მანქანა — „მერსედესი“ — ჯიპი, 1999 წლის მოდელი, 80 ათას დოლარად.

იქნებ მიპასუხონ ჩემმა კოლეგებმა და ზოგიერთმა პოლიტიკოსმაც: — შენგელიას მფარველებმა — რა სახსრებით და როგორ გამდიდრდა ფსევდოპარტიზანი?

სამეგრელოს მოსახლეობა მიესალმება დათო შენგელიას იზოლაციას და მადლობას უხდის ძალოვან სტრუქტურებს ამისათვის, ლტოლვილი მოსახლეობა იმედს გამოთქვამს, რომ ღირსეულად დაისჯება დამნაშავე და რეგიონში სიმყუდროვე დაისადგურებს.

კლარა აბრამია.

პოლიცია

სპეცტანსაცმელი საჩუქრად

გუშინ დიდუბის რაიონის გამგებელმა გიორგი ჩაჩანიძემ და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსმა თემურ ლომთაძემ ამავე რაიონის პოლიციის თანამშრომლებს საჩუქრად 179 ცალი პოლიციელის ტანსაცმელი გადასცეს.

ეს სპეციალური ტანსაცმელი — გიორგი ჩაჩანიძის თქმით, გამგეობის თხოვნით სააქციო საზოგადოება „მაუდის“ კოლექტივმა უსასყიდლოდ შეკერა. ინსპექტორმა დავით ძმანაშვილმა აღნიშნა, რომ ათი წელიწადია პოლიციაში მუშაობს და ფორმა ჯერ არ შეუცვლია. დღეს, მართლაც, დიდი საქმე გაკეთდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის, დასძინა მადლიერმა ინსპექტორმა.

ნანა სულავა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ღიმილის დოზა

ერთსართულიანი სახლის ეზოში შედის ფოსტალიონი. ყეფით გამოვარდება უზარმაზარი დოგი. ფოსტალიონს მუხლები მოეკვეთება:

დოგის პატრონი ქალი:

— ნუ გეშინიათ, ძაღლი კასტრირებულია.

ფოსტალიონი:

— იცით, მადამ, მე სულ სხვა რამე ვიფიქრე.

* * *

ერთი ქალბატონი მეორეს ეუბნება:

— მე და ჩემი და 60 წლისა ვართ.

— ღმერთო ჩემო, — უპასუხებს მეორე, — და თქვენ არ გეშინიათ, როდესაც ასეთ პატარა გოგონას შინ მარტოს ტოვებთ?

* * *

— მასია, რომელი უფრო მძიმეა — კილოგრამი რკინა, თუ კილოგრამი ბამბა?

— აბა, რა შეკითხვაა! — კილოგრამი კილოგრამია.

— შენ ასე ფიქრობ? მაშინ მიპასუხე: კილოგრამი რკინა ფეხზე რომ დაგეცეს, უფრო გეტკინება, თუ კილოგრამი ბამბა?

* * *

ზოგიერთი რჩევა ქალბატონებს, ვინც ავტომანქანას მართავს:

— თუ ავტომობილის უკან გასახედ სარკეში არაფერი ჩანს, ამოიღეთ ეს სარკე თქვენი ჩანთიდან;

— თუ წინ ვერაფერს ხედავთ, გადმოდით მანქანიდან და დახურეთ კაპოტი.

— თუ არ მუშაობს საყვირი, — იყვირეთ;

— თუ ძრავა ჩაქრა, შეწყვიტეთ ყვირილი.

— თუ გსურთ მანქანის დამუხრუჭება, ნუ მიაწვებით ხელებით საჭეს — ფეხით მონახეთ საჭირო პედალი.

და, საერთოდ, მშვენიერია, როცა ქალი მანქანის საჭეს უზის. მაგრამ მშვენიერებას უკეთ აღიქვამ მაშინ, როცა იგი არ მოძრაობს საათში 100 კილომეტრის სიჩქარით.

გამოფენა

ვერნერ რუდიგერის მეორე სამშობლო

თბილისის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში ამ დღეებში გერმანელი მხატვრის ვერნერ რუდიგერის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

აკადემიის რექტორმა, პროფესორმა სოსო ქოიავამ შეკრებილთ მოკლედ გააცნო მხატვრის ბიოგრაფია და განაცხადა, რომ მალე რუდიგერის შემოქმედებას მიეძღვნება სამხატვრო აკადემიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენცია.

მხატვრის შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს სამხატვრო აკადემიის, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებმა. ერთ-ერთმა ორატორმა ვერნერ რუდიგერის შემოქმედებას ეთნოგრაფიულ-დოკუმენტური მხატვრობა უწოდა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების უმრავლესობა ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის ძეგლებს ასახავს.

მხატვარმა ტილოზე გადმოიტანა ჩვენი ქვეყნის აწ უკვე დაკარგული, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ხუროთმოძღვრული ძეგლები. დარბაზში შეკრებილნი თვალცრემლიანი შესცქეროდნენ დაკარგულ საუნჯეს გერმანელი მხატვრის წყალობით დროებით „დაბრუნებულს“.

ნახატებს შორის საყურადღებოა ეკეკის ეკლესია, რომელიც 1960 წელს ააფეთქეს და მის ადგილზე მეჩეთი ააგეს. ეს ნახატი ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ჯალას ეკლესიის გვერდით მიდგმული მინარეთი კი უნებლიედ შეგვახსენებს, რომ ჩვენი ქრისტიანული ძეგლები ახლა მაჰმადიანურ სამყაროშია. ყურადღებას იქცევს უდაბნოში ეულად მდგომი ჩანგლის ეკლესია. მწვანე საბურველში გახვეულა ოშკი მატბერდი და ზარზმა. დიდებული სანახავია ოპიზა, ბერთას მონასტრის ნანგრევები, ეს ჭეშმარიტად ქვაში აჟღერებული სიმფონია.

ვერნერ რუდიგერს ქართველი ქალისთვისაც მიუძღვნია თავისი შემოქმედების ნაწილი. ყველა სურათში ეროვნული კაბით შემოსავს ქართველი ქალი. ერთი პორტრეტისთვის კი, სადაც ქალი ყრმით დაუხატავს „ქართველი მადონა“ უწოდებია.

საინტერესოა, რატომ მიუძღვნა ამ უცხო კაცმა მთელი თავისი შემოქმედება საქართველოს?

ვერნერ რუდიგერი ჯერ კიდევ 1968 წელს დაინტერესდა საქართველოთი — ალია მელამვილის წიგნით „გურჯისტანი“. ხოლო ბუკინისტურ მაღაზიაში შემთხვევით შეძენილი 1924 წელს გამოცემული წიგნი „კავკასიის ისტორიული ნარკვევების კრებული“ მისი შემდგომი შემოქმედების ამოსავალი წერტილი გახდა.

1972 წელს იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ხელოვნების მუზეუმში შუა საუკუნეების ქართული ძეგლების ფოტოსურათები უნახავს და სწორედ ამან მისცა დასაბამი საქართველოს ისტორიული წარსულით და ხუროთმოძღვრებით მის დაინტერესებას. იგი ამ დროს თურქეთში მუშაობდა და ამიტომ შესძლო დოკუმენტურად აესახა ქართული არქიტექტურის ეს ბრწყინვალე ნიმუშები.

საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა მხატვარმა ქართულიც შესანიშნავად ისწავლა. მან გამოფენაზე შეკრებილთ ქართულად მიმართა, საქართველოს მეორე სამშობლო უწოდა და დასძინა, რომ ქართული კულტურა იმდენად მდიდარია, ქართული ისტორია იმდენად საინტერესო, რომ მას მთელი მსოფლიო უნდა იცნობდეს.

დასასრულ გამოითქვა აზრი, აღძრან შუამდგომლობა ვერნერ რუდიგერის ღირსების ორდენით დაჯილდოებისათვის. ამ წინადადებას ყველა მოწონებით შეხვდა. ეს იქნება ქართველი ერის მადლიერების გამოხატვა იმ დიდი სიყვარულისა და ზრუნვისათვის, რაც მხატვარმა ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოავლინა.

გამოფენა სამხატვრო აკადემიაში 30 სექტემბრამდე გაგრძელდება.

მაია რაჭველიშვილი,
საქინფორმის კორ.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.







ხელოვნება

ნანა ნიჟარაძე

ქალბატონი ნანა ნიჟარაძის უდროო სიკვდილმა შეაძრწუნა ოჯახის წევრთა, ნათესავთა და მისი ნიჭის და დიდი ქალობის უამრავ თაყვანისმცემელთა გულები. რა დასანანია ასეთი მშვენება, სილამაზე, მიწისთვის, თანაც ასე ნაადრევად. სილამაზე ხომ იმისთვისაა გაჩენილი, რომ ზეობდეს, ადამიანის თვალსა და გულს ატკბობდეს და ახარებდეს, სულს ამაღლებდეს. ოჯახი ხომ ყოველთვის სიყვარულის, სათნოების, ლმობიერებისა და თავგანწირვის ტაძარია. ქალბატონ ნანასაც ჰქონდა თავისი ნავსაყუდელი, ჰყავდა ქმარი და ვაჟიშვილები, ქმნიდა და აშენებდა მომავალს, ელოდა ოჯახის გამრავლებას, შვილიშვილებში გახარებას.

ქალბატონ ნანა ნიჟარაძეს ცხოვრების კიბე სიმწიფის წლებში ჩაუტყდა. იგი იყო დიდებული გვარისა და ტრადიციების მქონე ოჯახიდან, იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, საქართველოს ქალთა ეროვნებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს პრესცენტრის უფროსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი, საზოგადოება „გვარიშვილობის“ წევრი.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა ნანა ბესარიონის ასულ ნიჟარაძისათვის.

ნოდარ სეთურიძის ოჯახი.

ტელევიზია

ოთხშაბათი, 27 სექტემბერი

08.00 ალიონი 09.30 „ძილის წინ“ 09.45, 20.50 „შავი მარგალიტი“ 10.30 „100 გრადუსი“ 11.10, 18.15 „სენტროპე“ 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 12.40 ტელეზღაპარი 13.00 ნაშუადღევი 14.05, 15.15 ჩოგბურთი 16.30 ჯემი 17.00 50/50 17.50 რამპა 18.00 ველტნიკი 19.05, 04.10 ვიდეოპატრული-02 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 „XX საუკუნე“ 22.10 აფხაზეთი - მესამე გზა 22.40 „საქმე“ 23.45 „ძილის წინ“ 00.00 „მე ქალი ვარ“ 00.35 „კომუნიკატორი“ 01.10 „მაგნოლია“.

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 20.00 „სენ-ტროპე“ 20.50 კალათბურთი 21.30 მრავალთათვის საკეთილოდ 21.40 ოპტიმისტები 22.00 ინფორმაცია 22.15 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 პროფესიონალი 23.15 „დავით გურამიშვილი“.

07.00 მუსიკა 07.30 მულტფილმები 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 „ბლანკოს ქვრივი“ 09.50 „სასწრაფო“ 10.40 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“ 11.10 „სიყვარულის სახელით“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფ. 15.15 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 17.00 ტომი და ჯერი 17.25 „მოდელების აკადემია“ 18.00, 21.00, 22.50, 03.00 კურიერი 18.20 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“ 18.55 „ლუისი და კლარკი“ 19.50 მხ. ფ. 21.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 23.40 ჩემპიონთა ლიგა. „არსენალი“ - „ლაციო“. 01.40 სიმფსონები 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 03.10 კლასიკა.

09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი“ 09.15 დოკ. ფ. 09.40 მედ-ინფო 10.00, 19.20 მხ. ფ. 10.25 „ქართული პანგები“ 10.35, 21.10 მხ. ფ. 11.20 მხ. ფ. 19.00, 19.45, 22.00 მუს. ტალღა 20.25 სტუდია დიალოგი 22.30 მხ. ფ. 00.15 „ნოსტალგია“ 00.20 მხ. ფ. „ოვაცია“.

14.00, 21.30 „მილედი“ 14.45 „მანანა“ 15.45 მხ. ფ. 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 17.15 მხ. ფ. 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 21.00 „ვარსკვლავები“ 22.15 მხ. ფ. 23.45 მუსიკა 00.20 „მთიელი“.

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 „დობერმანი“ 12.15 პროგრამა „სალონი“ 14.00 „დოყლაპია“ 17.00 ხმა გამარჯვებული მორნმუნისა 17.30 მულტფილმი 18.30 „საყვარელი“ 20.00 „თინეიჯერი“ 21.30 თეატრალური შეხვედრები 22.45 მხ. ფ.

08.00 „ტონიკი“ 10.00 მხ. ფ. 12.05, 20.50, 22.35, 00.25 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 დოკ. ფ. 19.10 მხ. ფ. 21.05 „ლექსი-3“ 22.50 მხ. ფ. 00.40 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15 მულტფილმი 09.40 „სახლში დაბრუნება“ 11.45, 21.00, 22.05, 00.15 მუსიკა 11.45, 21.20 დოკ. ფ. 12.35 მხ. ფ. 14.25, 19.20 „დისქავერი“ 15.00 „შურისძიება“ 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.15 მულტფილმი 18.30 მხ. ფ. 20.15 „ევროპის სტადიონებზე“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა 22.25 მხ. ფ. 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.30 მხ. ფ.

09.30, 19.00, 01.00 „დღეს“ 19.30 მულტფილმები 20.20 „იმერული ესკიზები“ 21.25 ირინა ბოკუჩავას საავტორო გადაცემა „საუკუნის დანაშაული“ 22.00 „დღეს“ 22.35 „პრესინგი“ 22.50 „აგატა“ 00.30 დოკ. ფ. 01.30 „შელკუნჩიკი“ 03.00 კონცერტი 04.00 „სეთოლა“

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ჟურნალისტიკის ღვაწლმოსილი მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, რედაქციის საილუსტრაციო-სამხატვრო განყოფილების გამგე
ზივი (ნოდარ) მაისურაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კვიროსი კეკელია, ნაირა, ბიჭუნა, ზურა კეკელიები ოჯახებით იუწყებიან
ბაჩუკი ვალერის (კუკუ) ძე პატარაიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 28, 29 IX, დაკრძალვა 30 IX. მარტვილის რაიონი, სოფელი ბანძა.

მეუღლე თინა, შვილები ირინა, გია, ავთო, რძლები ირმა, მანანა ტორონჯაძეები, თამარ ნემსაძე, სიძე პაკო კიკნაძე, შვილიშვილები თინა, თამუნა, ზაზა, შვილთაშვილები ნინო, ნიკოლოზ ტორონჯაძეები, გვანცა, ბექა კიკნაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნიკოლოზ (გივი) სიმონის ძე
ტორონჯაძე
პანაშვიდი: 26, 27 IX, 5 სთ. დაკრძალვა 28, IX 3 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 47, მე-2 კორპუსი, I სადარბაზო

შვილები მამუკა, გიორგი ხერხეულიძეები, შვილიშვილები სოფიო, ქეთევანი, გრიგოლი, ბიძინა, ანა, მამუკა, ელენე, რძლები ნანა გურგენაძე, მაია გურაბანიძე, მარინა ალადაშვილი, მძახლები მეგი სამხარაძე, ივლიტა, ნოდარ გურაბანიძეები, ლია თავაძე, ალიკო ალადაშვილი, სიძე ზურაბ ბუბუტეიშვილი, ძმისწულები მაია, ქეთი, სოსო, ირაკლი, იზო ხაინდრავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვენერა ხაინდრავა-ხერხეულიძე
პანაშვიდი 26, 27 IX, 5 სთ. გამოსვენება 28 IX, 3 სთ. ჭავჭავაძის პრ. 62, IV სადარბაზო.

კრწანისის რაიონის პროკურატურა უთანაგრძნობს ლევან გვაზავას დედის
მერი (დოდო) მელიქიშვილი-გვაზავას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება
ნატო (ვენერა) შენგელიას
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ყურადღება, ყურადღება!

30 სექტემბერს (შაბათს) 10 სათიდან საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივმოქმედ მრავალდარგოვან სადისკუსიო კლუბში (ალექსანდრე ყაზბეგის 45, VI სართული) გაიმართება პროფესორ გივი კილასონიას მოხსენების, თემაზე — „ფერმერი და წარმოების ოპტიმიზაციის პრობლემები“-ს მოსმენა-განხილვა.

მობრძანდით, დასწრება თავისუფალია.

სადისკუსიო კლუბის კოორდინატორი,
აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე

შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“ აცხადებს ტენდერს 80 ტონა P-50 ტიპის 12,5-მეტრიანი ნახმარი რელსის გაყიდვაზე.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მეტროპოლიტენის სატენდერო კომისიაში ა/წ 10 ოქტომბრამდე.

მისამართი: თბილისი, ვაგზლის მოედანი — 2, მეტროპოლიტენის სამმართველო, 11 სართული, ოთახი № 10.
ტელეფონები: 99-72-47, (899) 50-88-60.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ ბოჭიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძოწულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა —
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.